

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი  
FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS  
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

---

ISSN 1512-1305

# **თემილა**

**სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**

მე-5 საერთაშორისო კონფერენციის  
(„სამართლის აქტუალური პრობლემები“) მასალები

## **THEMIS**

**SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

**5 th International Conference  
(„Current Problems of Law“) Materials**

**№12(14)-2020**

**თბილისი-TBILISI  
2020**

შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი,  
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ საზრისის ძიებას მივუძღვნი.  
**ბურდაევი**

*Maybe I do not realize meaning of the life,  
but I will devote the life to search of this sense.*  
**Burdaev**

### სარედაქციო კოლეგია:

ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. ბრანტი,  
ჯ. გაბელია, ი. გაბისონია, ზ. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, მ. კარტოზია, ე. ლამიხი,  
ნ. ნიორაძე, ზ. როგავა, ზ. რუხაძე, თ. შომერუსი, ზ. ძლიერიშვილი, ჯ. ხეცურიანი,  
ქ. ჯინჭარაძე.

### Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), A. Brant, Z. Dzlierishvili, J. Gabelia,  
I. Gabisonia, Z. Gabisonia, J. Gakhokidze, K. Jincharadze, M. Kartoziya, J. Khetsuriani, E. Lammich,  
N. Nioradze, Z. Rogava, Z. Rukhadze, T. Shomerus.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2020  
<http://gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ვალერი ხრუსტალი,  
გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის  
პროფესორი, სამართლის დოქტორი

## სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის კანონიერი ძალა /თეორიული და პრაქტიკული ასპექტები/

### აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია საკითხი იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილზე.

თეორიისა და მოქმედი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა: კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებს, ამართლებს სარეზოლუციო ნაწილს.

ნაშრომში დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატოს ნორმა, რომლის საფუძველზეც მხარე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს საქმის გამრჩევ სასამართლოს და მოითხოვს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილიდან იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ამოღებას, რომლებსაც კავშირი არა აქვს სარეზოლუციო ნაწილთან.

### ძირითადი ნაწილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თავდაპირველი რედაქციით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღნიშნულიყო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარებოდა სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფდა ამა თუ იმ მტკიცებულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი გადატანილ იქნა ამავე მუხლის მესამე ნაწილში, კერძოდ, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, ხოლო სამოტივაციო ნაწილში მისათითებელი დარჩა მხოლოდ სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად კანონიერ ძალაში შედის მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და არა მისი აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი.

ასეთ შეხედულებას ავითარებდნენ ცნობილი რუსი პროცესუალისტები ი. ე. ენგელმანი, ე. ვ. ვასკოვსკი, ვ. ლ. ისაჩენკო და სხვები. მაგალითად, ი. ე. ენგელმანის თეორიის თანახმად სასამართლოს მოსაზრებები (გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი) არ შედის კანონიერ ძალაში და ამიტომ სააპელაციო (საკასაციო) გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ

„მოთხოვნა რეზოლუციის შეცვლის შესახებ, რომელსაც შეუძლია მხარეთა უფლების დარღვევა. რამდენადაც მხარეს, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არა აქვს საბაზი იშუამდგომლოს რეზოლუციის შეცვლის შესახებ, მას არ შეუძლია შემოიტანოს აპელაცია ასეთ გადაწყვეტილებაზე“<sup>1</sup>.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად გადაწყვეტილების აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი არ შედის კანონიერ ძალაში და მისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისაგან დამოუკიდებლად გასაჩივრება არ შეიძლება<sup>2</sup>. გერმანელი მეცნიერის ვოლფანგ გოლაზოვსკის მოსაზრებით „პრინციპული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ აღიარებულ სამართლებრივ შედეგს (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს), რომელიც იძენს კანონიერ ძალას. მაშასადამე კანონიერი ძალა არ შეუძლია შეიძინოს: დადგენილ ფაქტებს, სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლებს, პრეიუდიციულ სამართლებრივ ურთიერთობებს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), შესაგებელს (ასევე ზოგიერთი გამონაკლისის გარდა)“<sup>3</sup>.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების შესახებ პირველად დაამუშავა პროფესორმა დ. პოლუმორდვინოვმა, რომელიც თავდაპირველად მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომლის თანახმად კანონიერ ძალაში შედის მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ შემდგომ მან შეცვალა თავისი პოზიცია. მისი აზრით გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მარტო ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო, არამედ მის სამოტივაციო ნაწილზეც, რომელიც მოიცავს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას ყველა თავისი ელემენტით, ანუ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ სამართლებრივ ურთიერთობას<sup>4</sup>.

შემდგომში ეს შეხედულება გაიზიარა ყველა საბჭოთა მეცნიერმა პროცესუალისტმა<sup>5</sup>. იგივე პოზიციას განუხრელად იცავდნენ სასამართლოებიც<sup>6</sup>.

ამ შეხედულების დასაბუთებისას იშველიებდნენ სხვადასხვა არგუმენტს და, მათ შორის, კანონმდებლობას, რომელიც ამ ნაწილში არ შეცვლილა და დღესაც შენარჩუნებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან და დამტკიცებას არ საჭიროებს „ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ“. ამავე კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად „გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა

<sup>1</sup> Энгельмань И.Е., Курс русского гражданского судопроизводства, издательство Крюгера И.М., 1912, стр. 380; Загоровский А. Очерки гражданского судопроизводства, издательство Новороссийского университета, 1892, стр. 282;

<sup>2</sup> ასეთი შეხედულება, რომელიც ემყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, ფართოდაა გავრცელებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში. იხ. Rosenberg, Schwab, Gottwald, Zivilprozessrecht. 1993, ს. 926. – ციტირებულია: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 378.

<sup>3</sup> Голазовский В., Окончателность судебных решений и их пересмотр по немецкому праву, Сборник первой Кавказской конференции судей 2002, GTZ, стр.65-76.

<sup>4</sup> Полумордвинов Д.И., Законная сила судебного решения, издательство АН Грузии, 1964г., с.172.; იხ. ასევე, ლორთქიფანიძე ნ., საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური სამართლის მეცნიერების თვალსაჩინო მონაპოვარი. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1964 წელი, #6, გვ. 71-75

<sup>5</sup> Мелников А. и др. коллектив авторов, Курс советского гражданского процессуального права, Т.II, 1981, с.230.

<sup>6</sup> Бюлетень Верховного Суда СССР, 1979, №5, с.13(п.6).

განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი“.

ამრიგად, „სხვა პროცესში“, რომელშიც ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ, დაინტერესებულ მხარეს აღარ შეუძლია (უფლება არა აქვს) „სადავო გახადოს“ წინა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით „დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი“. ეს ფაქტები ითვლება როგორც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი და ამიტომ, როგორც უდავო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა – „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამ ნორმის „ბ“ ქვეპუნქტით ასეთს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ე.ი. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას (დადგენილ ფაქტებს) პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება ამ ახალ დავაში“<sup>7</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარე ასაჩივრებს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილს, სადავოდ ხდის დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ისე, რომ არ ითხოვს მისთვის ხელსაყრელი სარეზოლუციო ნაწილის შეცვლას, ან გაუქმებას. ამ მიმართებით საქართველოში ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, დაუშვებლად არის მიჩნეული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის გასაჩივრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის მოტივით დატოვა განუხილველი. განჩინებაში მითითებულია:

„... სააპელაციო საჩივარი წარდგენილია არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის, არამედ დადგენილი ფაქტის მიმართ, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საფუძველი გადაწყვეტილების სამოტივაციო და არა სარეზოლუციო ნაწილია, რაც, როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ისე – დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დაუშვებელია. ამ მხრივ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სრულ წინააღმდეგობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკით დადგენილ ნორმის განმარტებასთან, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას“.

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე #33/419-02

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება და კანონმდებელი არ გამოყოფს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილს, თუმცა კანონში რაიმე შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველს არ იძლევა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და კოდექსის ნორმათა ურთიერთშეჯერებითა და ერთობლიობაში განმარტებით დგინდება, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით პირდაპირი და ზუსტი პასუხია სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

გადაწყვეტილების ფარგლებსა და მის იურიდიულ ძალაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციაზე. ხსენებული ნორმის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ერთი შეხედვით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრების აკრძალვამ შეიძლება მხარის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს სამომავლო დავაში, რადგანაც სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი შესაძლოა მის წინააღმდეგ მოქმედებდეს და ფაქტის პრეიუდიციულობიდან გამომდინარე, მას წაერთვას მტკიცების საშუალება, თუმცა, ეს ასე არ არის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ისე ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებისას უნდა შეფასდეს თავად ამ გადაწყვეტილების ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, რომლის აღწერილობით ნაწილში გადმოცემულია ნორმით განსაზღვრული შედეგის განმაპირობებელი აბსტრაქტული ელემენტები და ამ ელემენტების შესაბამისად, სარჩელის წარმატებას განაპირობებს ის, დადგინდა თუ არა ნორმის წინაპირობები. თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლო გაცდება ნორმის შედეგელობას და დაადგენს იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც სამართლებრივი შედეგისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ბუნებრივია, არც ამ და არც სხვა პროცესში

ამგვარ ფაქტს სამართლებრივი ძალა არ მიენიჭება და სხვა, ახალი დავის წამოწყების შემთხვევაში, ის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იქნება...“<sup>8</sup>

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თანამედროვე ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუძემდებლის, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის განმარტებები:

1. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ვრცელდება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან მასზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობაზე და ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, ანუ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილზე.
2. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, როგორც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება ამ სარეზოლუციო ნაწილისგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს, რადგან მისი გაუქმებით საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილს, გამოიწვევს მის ფაქტობრივ გაუქმებასაც.
3. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის კანონიერი ძალის შედეგი ისაა, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს აქვს პრეიუდიციული (წინასწარგადამწყვეტი) მნიშვნელობა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ<sup>9</sup>.

ექვს არ იწვევს, რომ სსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლების თანახმად კანონიერ ძალაში შედის არა მარტო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, არამედ აღწერილობითი ნაწილიც, რომელშიც ჩამოყალიბებულია სასამართლოს დასკვნები იმ ფაქტების (სამართლებრივი ურთიერთობის) არსებობა-არარსებობის შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, უფრო ზუსტად, მის სარეზოლუციო ნაწილს.

ამასთან ერთად, აქვე უნდა ვთქვათ ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა: არც ისე იშვიათად სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში გვხვდება მსჯელობები ისეთი ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, რომლებსაც სარჩელში ჩამოყალიბებული და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებისათვის არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილად მიჩნეულ ზოგიერთ ფაქტს არა აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, რადგან ვერ ასაბუთებს მოსარჩელის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს. მოთხოვნა არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე. ამიტომ, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებსაც კანონი უკავშირებს ამ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. თუ მოთხოვნა ემყარება სახელმეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ უნდა დამტკიცდეს ფაქტები, რომლებიც ამ

<sup>8</sup> სუსგ 2019. #9. გვ. 132-141, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1-ელი მარტის განჩინება, საქმე #ას-1293-2018. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-1190-2018; 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე # ას-797-750-2012; 2010 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე #ას-334-311-2010; 2009 წლის 7 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-710-1011-09 – საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი <http://www.supremecourt.ge/>

<sup>9</sup> თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 379-381.

ურთიერთობის წარმოშობას უკავშირებს კანონი. მაგალითად, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის საზღაურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ შეიძლება დასაბუთდეს ისეთი ფაქტებით, როგორებიცაა ნარდობის ხელშეკრულების არსებობა, სამუშაოს ხასიათი, რომელიც ამ ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ამ სამუშაოს შესრულების ფაქტი, ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებული იყო ნარდობის ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულებისათვის. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მოპასუხის შესაგებელი – ზემოთ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს შეიძლება დაემატოს სხვა ფაქტებიც. მაგრამ, ვიმეორებთ, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ ისეთი ფაქტობრივი გარემოებები (სამართლებრივი ურთიერთობა), რომლებსაც კანონი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმას.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებულია სასამართლოს უფლება, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. მსგავსი ნორმა მოცემულია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც. კერძოდ, ამ კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, არითმეტიკული შეცდომები და მსგავსი აშკარა უზუსტობები, შესაძლებელია გასწორდეს მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დაშვებულია ისეთი უზუსტობანი, რომლებზეც ვერ გავრცელდება ამავე კოდექსის 319-ე მუხლით გათვალისწინებული წესები, აგრეთვე, არის ხარვეზები, ბუნდოვანება ან წინააღმდეგობები, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, შესაძლებელია, შეტანილ იქნას შუამდგომლობა უსწორობების შეტანის შესახებ. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენით. შუამდგომლობის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე. განჩინების მიღებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებმაც არსებითად განიხილეს საქმე და გამოიტანეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ცვლილების შეტანა არ იწვევს სარეზოლუციო ნაწილის ცვლილებას<sup>10</sup>.

## დასკვნა

კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილად იქნება მიჩნეული ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც არა აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, რადგან ვერ ასაბუთებენ მოსარჩელის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს, მომავალში მოსალოდნელი გართულებისა თუ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეს უნდა მიეცეს უფლება სადავო გახადოს გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი ნაწილი (კერძოდ, მოითხოვოს ამ ფაქტობრივი გარემოებების ამოღება), ისე, რომ არ შეეხოს და არ მოითხოვოს მისთვის ხელსაყრელი სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა ან გაუქმება.

<sup>10</sup> гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого, издательство “Wolters Kluwer”, 2006.



მითითებული საკითხი საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას. სასურველია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის მსგავსი ნორმის მიღება, რომლის საფუძველზეც მხარე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს საქმის გამრჩევ სასამართლოს და მოითხოვს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილიდან იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ამოღებას, რომლებსაც კავშირი არა აქვს სარეზოლუციო ნაწილთან.

**Valeri Khrustali,**  
Grigol Robakidze University  
Professor, Doctor of Law

**The Validity of the Descriptive Part of the Judgment**  
**/Theoretical and Practical Aspects /**

**Abstract**

The present paper deals with the question whether the validity of a court decision applies to the descriptive part of the decision.

Based on the analysis of the theory and the existing case law, the paper concludes: Only the factual circumstances established by the descriptive part of the judgment enter into force, which are justified by law, justify the resolution part.

The paper raises the question of adding a norm to the Civil Procedure Code, whereby a party, in a reasoned motion, applies to the court of appeals and requests to remove from the descriptive part of the judgment those established factual circumstances which have no connection with the resolution part.

**by Prof.Dr. Dr. h.c. Eliko Ciklauri-Lammich** Project Leader,  
The Transition from Totalitarianism to the Rule of Law  
- Criminal Policy in the Countries of the Former Soviet Union,  
Max Planck Institute for Foreign and International Criminal Law,  
Freiburg i.Br./Germany  
**by Ref. jur. Theodor S. Lammich (Freiburg i. Br.)**

## **Legal Education in Germany – an Outdated System?**

### **Abstract**

Legal education in Germany is largely based on the Prussian legal education of the late 19th and early 20th centuries. More than a hundred years later, more and more representatives of politics and university are advocating a comprehensive reform. These critiques will be discussed in this essay.

The legal education is the responsibility of the federal states. Therefore, it can be a little different depending on the location. But there are a few similarities in all training systems. This is above all the two-stage nature of legal education. This means that the training is divided into a university and a post-university section. There is neither a Bachelor's degree nor a Master's degree. The first section ends after a standard study period of nine semesters with a state examination and a university examination.

The state exam consists of six written exams, one oral exam and counts to 70%. The exam covers all three major areas of law: civil law, public law, criminal law. The university exam consists of examinations in a focus area, which the student chooses in the fifth semester. Both together is the first state examination. The failure rate is on average 30%. The university part begins with a two-year preparatory service at a civil court, administrative court, criminal court, a law firm and an elective part („Referendariat“). Afterwards, the young lawyers complete the Second State Examination. Here, the focus is more on procedural law. Upon completion of the exam, you will be qualified to become a judge and may work as a lawyer, prosecutor or notary.

Above all, the high performance requirements during the legal training are criticized. This is also because the services for the final grade are not provided over the years. Particularly relevant are the written exams. The psychological pressure leads to a high drop-out rate and high financial expenses for the exam preparation. There is traditionally no close relationship between lecturers and students. This is also due to the high number of students per semester. In addition, with regard to practice, there is a lack of a knowledge base in economics. The learning of soft skills does not matter, although this is needed in the judicial work. After all, the importance of the exam grade is disproportionately high. Justice, university and law firm job advertisements are usually addressed to graduates with a grade of at least 9 out of 18. Only 15 % of all graduates fulfill these requirements.

Recent reforms and plans include, for example, the draft law of the Federal Council, in which the standard period of study is to be increased from nine to ten semesters. This is a reaction to an average study duration of 11.3 semesters. In 2002, the foreign language qualification and focus area was also introduced. Some federal states experiment since this year with a written exam on the computer. In addition, a study course "Business Law" was created, which also has economic basics. However, as a graduate in this field, you can not work in the judiciary.

Another reform action could be an integration into the Bologna system. For good reasons, however, it was decided to continue legal training with the state examination. A Bachelor degree should qualify for a profession within three years. However, a graduate of a three-year law school can only work as a legal advisor. If the hypothetical Bachelor of Law would be extended to four years, it would not be comparable to other Bachelor's degrees. In addition, the universities could not finance it to carry out the examination to 100%

themselves. It is also not an option to specialize the study in a field of law. In practice, all-encompassing legal knowledge is necessary time and again. Furthermore, this gives graduates a wide choice of career opportunities. It would be important, however, to mitigate the pressure of the state examination. That would reduce the failure rate and the drop-out rate. The system in North Rhine-Westphalia and Lower Saxony is considered as an example. Here written examinations can optionally be written over a period of one and a half years.

As a result, the basic structure of German legal education is not in need of reform. However, it can continue to call itself one of the best in the world thanks to small, fast-paced modernizations.

## **Die deutsche Juristenausbildung – ein veraltetes System?**

Die Juristenausbildung in Deutschland basiert weitgehend auf der preußischen Juristenausbildung des späten 19. und frühen 20. Jahrhunderts. Über hundert Jahre später werden die Stimmen lauter, die sich für eine umfassende Reform einsetzen. Das bisherige Studium sei zu schwer, zu elitär und praxisfern. Im Folgenden sollen die Grundzüge der deutschen Juristenausbildung aufgezeigt werden. Es folgt die Kritik an ihrem jetzigen Bestand und eine Zusammenfassung der bisherigen Reformansätze. Schließlich werden weitere Reformmöglichkeiten genannt und bewertet.

### **I. Grundzüge der deutschen Juristenausbildung**

Die Ausbildung wird durch Landesgesetze<sup>1</sup> geregelt und kann daher je nach Bundesland unterschiedlich ausfallen. Zuständig für die Abnahme der Abschlussprüfungen sind die Landesjustizprüfungsämter, welche wiederum entweder ein Teil des Justizministeriums<sup>2</sup> oder Teil eines Oberlandesgerichtes<sup>3</sup> sind. Im gesamten Bundesgebiet lässt sich die Juristenausbildung allerdings in einen universitären und einen postuniversitären Abschnitt einteilen (sog. zweistufige Juristenausbildung).

**a.** Der erste Abschnitt, also das universitäre Studium der Rechtswissenschaften, wird mit der Ersten juristischen Prüfung absolviert. Sie besteht aus einem staatlichen und einem universitären Teil. Der staatliche Teil zählt zu 70 %, der universitäre Teil zu 30 % in die Gesamtnote. In den meisten Bundesländern bekommt man nach der Ersten juristischen Prüfung den akademischen Grad „Diplom-Jurist“, „Magister juris“ oder „Referendar“ verliehen. Man spricht daher auch vom „Referendarexamen“. Je nach Abschlussnote berechtigt es zur Promotion.

**aa.** Der staatliche Teil besteht aus fünf bis sieben fünfstündigen Klausuren, welche innerhalb von zwei Wochen geschrieben werden. Der Prüfungsstoff umfasst alle drei großen Rechtsgebiete des deutschen Rechts: das Zivilrecht, das öffentliche Recht und das Strafrecht. Die Problem- und Fragestellungen beinhalten vorwiegend Probleme des materiellen Rechts. Prozessuale Fragen des Zivil-, Straf-, Verwaltungs- und Verfassungsprozessrechts werden aber bereits im Überblick abgefragt. Die Klausuren bestehen aus erdachten Sachverhalten, die als Rechtsgutachten zu bearbeiten sind. Für das Bestehen der schriftlichen Prüfung gibt es überall zwei reguläre Versuche. Eine Ausnahme ist der „Freiversuch“: Kandidaten, die bereits vor der Regelstudienzeit<sup>4</sup> in die Prüfung gehen, haben im Fall des Nichtbestehens einen zusätzlichen Versuch. Wenn die Klausuren bestanden worden sind, folgt nach etwa fünf Monaten die mündliche Prüfung.

**bb.** Der universitäre Teil besteht aus einer Seminararbeit und mehreren Klausuren im Rahmen des Schwerpunktbereiches. Diesen wählt der Student in der Regel nach fünf Semestern. Angeboten werden hier

---

<sup>1</sup> Vgl. z.B. Gesetz über die juristischen Prüfungen und den juristischen Vorbereitungsdienst vom 16. Juli 2003 (Baden-Württemberg), Gesetz über die juristische Ausbildung vom 08. März 2004 (Hessen), Gesetz über die juristischen Prüfungen und den juristischen Vorbereitungsdienst vom 1. Juli 2003 (Nordrhein-Westfalen).

<sup>2</sup> Vgl. z.B. Baden-Württemberg, Bayern, Hessen, Niedersachsen.

<sup>3</sup> Vgl. z.B. Bremen, Hamburg, Schleswig-Holstein, Nordrhein-Westfalen.

<sup>4</sup> Diese beträgt je nach Bundesland acht bis neun Semester.

verschiedene Teildisziplinen, die nicht Teil des Pflichtstudiums sind<sup>5</sup>. Das Angebot bestimmt sich nach den Schwerpunkten der Institute, die an der Universität angesiedelt sind.

**b.** Der postuniversitäre Abschnitt besteht aus dem Rechtsreferendariat und der Zweiten juristische Prüfung.

**aa.** Das Rechtsreferendariat ist ein zweijähriger Vorbereitungsdienst. In vier Pflichtstationen (Zivilstation, Strafstation, Verwaltungsstation, Anwaltsstation) und einer Wahlstation werden die Referendare praktisch ausgebildet. Sie erhalten dabei Unterricht durch Praktiker und eine sogenannte Unterhaltsbeihilfe von durchschnittlich ca. 1000 Euro netto.

**bb.** Im Anschluss an das Referendariat folgt die Zweite juristische Prüfung („Assessorexamen“). Mit ihrem Abschluss erwirbt man neben dem Grad des „Rechtsassessors“ gleichzeitig die Befähigung zum Richteramt, zum Rechtsanwaltsberuf und zur höheren Verwaltungslaufbahn. Sie besteht aus sieben bis elf Klausuren und einer mündlichen Prüfung. Inhalt sind neben dem materiellen Recht vor allem das Prozessrecht. Im Vergleich zur Ersten juristischen Prüfung hat nun auch die aktuelle Rechtsprechung eine hohe Bedeutung.

## II. Kritik

Die deutsche Juristenausbildung lässt sich in vielfacher Weise kritisieren.

**1.** Immer wieder angeführt wird, dass die Leistungsanforderungen zum Bestehen der Juristischen Prüfungen zu hoch seien<sup>6</sup>. In der Tat liegt die Durchfallquote im Ersten Staatsexamen bei ca. 30 %<sup>7</sup>. In der Notenskala von 0 bis 18 Punkte erlangen im Schnitt nur 15 % über 9 Punkte<sup>8</sup>. Damit gilt Jura noch vor Medizin und Pharmazie als schwerstes Studienfach<sup>9</sup>. Doch nicht nur zum Ende des Studiums wirken sich die hohen Anforderungen aus. Unter den Studiengängen, die mit einem Staatsexamen abschließen, hat es schon während des Studiums die höchste und mit etwa sieben Semester auch die späteste Abbrecherquote<sup>10</sup>. Dies kann neben einer fehlenden Identifikation mit dem Fach vor allem auf Leistungsaspekte zurückgeführt werden<sup>11</sup>.

**2.** Diese hohen Anforderungen führen mitunter zu einem extremen psychischen Druck<sup>12</sup>. Etwa 37 Prozent der Studenten haben laut einer vom Bildungsministerium in Auftrag gegebenen Umfrage Prüfungsangst<sup>13</sup>. Denn während in den Bachelor- und Masterstudiengängen die Leistungen für die Endbewertung über einen längeren Zeitraum erbracht werden, resultiert im Jurastudium der größte Teil der Endnote aus den schriftlichen Klausuren und der mündlichen Prüfung. Jede zuvor erbrachte Leistung während des Studiums ist völlig irrelevant. Daher gehen Studenten in der Regel ein bis zwei Jahre vor den schriftlichen Prüfungen in die Examensvorbereitung. Hierbei schreiben die Studenten täglich Übungsklausuren und besuchen in der Regel Vorbereitungskurse von privaten Anbietern (sog. Repetitorien). Da diese sehr teuer sind, werden finanziell leistungsschwache Studenten benachteiligt.

**3.** Auch die Lehre ist Bestandteil diverser Kritiken<sup>14</sup>. Darunter fällt der Umstand, dass sich bislang keine Tradition eines lebendigen Diskurses zwischen Lehrpersonen und Studenten entwickelt hat. Dies kann nicht

---

<sup>5</sup> An der Albert-Ludwigs-Universität Freiburg i. Br. sind das beispielsweise: Rechtsgeschichte und Rechtsvergleichung, Zivilrechtliche Rechtspflege in Justiz und Anwaltschaft, Strafrechtliche Sozialkontrolle, Handel und Wirtschaft, Arbeit und Soziale Sicherung, Europäisches und Internationales Privat- und Wirtschaftsrecht, Deutsches, Europäisches und Internationales Öffentliches Recht, Medien- und Informationsrecht, Geistiges Eigentum, Philosophische und theoretische Grundlagen des Rechts.

<sup>6</sup> Riemann, „Vor dem Examen übergaben wir uns“, Zeit.de, 01.07.2015.

<sup>7</sup> Bundesjustizministerium, Übersicht über die Ergebnisse der staatlichen Pflichtfachprüfung im Jahre 2017.

<sup>8</sup> Bundesjustizministerium, Übersicht über die Ergebnisse der staatlichen Pflichtfachprüfung im Jahre 2017.

<sup>9</sup> So auch ReachLab, Schwerstes Studium – Persönliche Einschätzung oder unverrückbare Tatsache?, Fernstudium-experte.de; Zeit Campus, Jurastudium, Zeit.de.

<sup>10</sup> Heublein et al., Die Ursachen des Studienabbruchs in den Studiengängen des Staatsexamens Jura - Eine Analyse auf Basis einer Befragung der Exmatrikulierten vom Sommersemester 2014, S. 83.

<sup>11</sup> Heublein et al., Die Ursachen des Studienabbruchs in den Studiengängen des Staatsexamens Jura - Eine Analyse auf Basis einer Befragung der Exmatrikulierten vom Sommersemester 2014, S.87.

<sup>12</sup> Sautter/Schirp/Derfler, Psychischer Druck im Jurastudium, S. 3; Dihsmaier, Wie man dem Prüfungsdruck standhält, Lto.de, 14.12.2017.

<sup>13</sup> Bernzen, Schafft das Juraexamen ab!, Zeit.de, 20.07.2015.

<sup>14</sup> Vgl. Hall, Zu schwer, zu elitär?, Lto.de, 01.02.2018.

zuletzt auf die großen Mengen an Studenten zurückgeführt werden, die pro Semester die Hörsäle füllen. Alleine die Juristische Fakultät der Ludwig-Maximilians-Universität München hat beispielsweise über 5000 Studenten.

4. In der Praxis ist das Europarecht sowohl in menschenrechtlicher, als auch zivilrechtlicher Hinsicht von großer Bedeutung. Dieser wird in der Ausbildung dennoch weiterhin kaum Rechnung getragen. Europarecht wird hier oft nur als Teilgebiet gehandhabt. Eine tiefgehende Ausbildung erfährt man bloß in den dafür vorgesehenen Schwerpunktbereichen.

5. „Die Praxis braucht keine digitalen Analphabeten“<sup>15</sup>. So formuliert Tianyu Yuan das Problem, dass im Rahmen des Studiums keinerlei Bezug auf digitale Entwicklung (Legal Tech) genommen wird. Dieses Themengebiet beginnt bereits bei einfachen Recherchen mithilfe von elektronischen Datenbanken und geht hin bis zu rechtlichen Fragen bei Computersystemen. Auch das handschriftliche Examen ist unzeitgemäß. In der Praxis wird kein Gutachten mehr mit der Hand geschrieben. Die Studenten perfektionieren über die Jahre hinweg ihren Umgang mit Stift und Papier, um diese Fähigkeit spätestens nach der Zweiten juristischen Prüfung nie wieder anzuwenden.

6. Etwas, was wiederum nicht gelernt und dann doch gebraucht wird, sind sog. Soft-Skills und Kenntnisse in der Betriebswirtschaft<sup>16</sup>. Lediglich in freiwilligen Kursen können Studenten diese Grundfähigkeiten erlernen. Das steht im Widerspruch zu dem, dass die meisten juristischen Berufe mit einem Auftreten vor Gericht und damit stets mit zwischenmenschlicher Sozialkompetenz zusammenhängen. Dazu ist eine kompetente juristische Bearbeitung eines Sachverhaltes nur möglich, sofern auch die wirtschaftlichen Zusammenhänge verstanden werden können.

6. Das Referendariat ist streng auf die Befähigung zum Richteramt ausgerichtet. Das ist nicht nachvollziehbar, da weniger als 10 % der Absolventen in die Justiz gehen.

7. Letztlich wird der Examensnote eine unverhältnismäßig hohe Wichtigkeit zugerechnet. Nicht nur Großkanzleien, sondern auch öffentliche Einrichtungen wie Gerichte oder Universitäten fordern in der Regel ein Examen mit mindestens neun Punkten und richten sich damit bloß an die 15 besten Prozent. Auch die Promotionsordnung sieht oft eine Mindestnote vor. Damit hängt von der Examensnote nicht nur der privatwirtschaftliche, sondern auch der akademische Werdegang ab. Es ist daher nicht verwunderlich, dass bei einer Umfrage der Universität Konstanz aus dem Jahr 2015<sup>17</sup> 57 % der befragten Nachwuchsjuristen angaben, dass Konkurrenzdenken ein charakteristisches Merkmal ihres Fachs sei.

### III. Jüngere Reformen und Pläne

Obwohl die Ausbildung in den vergangenen Jahrzehnten ihre wesentliche Struktur beibehielt, blieb sie nicht gänzlich reformlos.

1. Erst kürzlich brachte der Bundesrat einen Gesetzentwurf in den Bundestag ein, in welchem er als Regelstudienzeit für Rechtswissenschaften künftig zehn statt wie bisher neun Semester festsetzt<sup>18</sup>. Hierdurch verlängert sich auch der Anspruch bedürftiger Studenten auf Ausbildungsgelder vom Staat. Damit reagiert er auf die faktische Studiendauer von durchschnittlich 11,3 Semestern.

2. Diese lange Studiendauer ist wiederum Folge der Reform der Juristenausbildung von 2002<sup>19</sup>. Hier wurde die Prüfung im Schwerpunktbereich und die Fremdsprachenqualifikation eingeführt. Von besonderer Bedeutung ist diese Reform, da seitdem das erste Staatsexamen nicht mehr rein staatlich, sondern zu 30 % auch durch die Universitäten durchgeführt wird.

<sup>15</sup> Yuan, Eine moderne Juristenausbildung, Lto.de, 19.12.2018.

<sup>16</sup> Hille, Nicht nur Noten entscheiden, Handelsblatt.com, 16.10.2010.

<sup>17</sup> Georg et al., Studiensituation und studentische Orientierungen - 13. Studierendensurvey an Universitäten und Fachhochschulen, S. 44.

<sup>18</sup> Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Deutschen Richtergesetzes (Studien- und Prüfungszeit im Studiengang „Rechtswissenschaft mit Abschluss erste Prüfung“, Bundesratsdrucksache 616/18.

<sup>19</sup> Gesetz zur Reform der Juristenausbildung vom 11. Juli 2002.

3. Bereits dieses Jahr möchte man im Bundesland Sachsen-Anhalt die Zweite juristische Prüfung auch am Computer zulassen<sup>20</sup>. Der erste Durchlauf ist dabei für die Referendare nicht verpflichtend am Computer vorzunehmen. Sie können es sich also aussuchen, ob sie an diesem bundesweit einzigartigen Experiment teilnehmen. Auch andere Bundesländer wie Hamburg und Baden-Württemberg zeigen sich offen für ein künftiges digitales Examen. Man erhofft sich dadurch vor allem mehr Nachwuchs von Referendaren. Diese nehmen das digitale Examen fast ausnahmslos positiv auf. Als Vorbild gilt hier unter anderem das Bar Exam in den USA, welches ebenfalls auf Computern geschrieben wird.

4. Damit auch die wirtschaftlichen Zusammenhänge mit in eine juristische Ausbildung gebracht werden, haben in den vergangenen Jahren vermehrt Universitäten den Studiengang „Wirtschaftsrecht“ geschaffen<sup>21</sup>. Die Studiengänge sehen 50 % Recht und 25 % Wirtschaftswissenschaften vor. Als Absolvent, erhält man den Grad eines Bachelor bzw. Master of Laws, darf aber nicht vor Gericht auftreten. Absolventen von Wirtschaftsrecht sind daher fast ausschließlich als Rechtsberater in Unternehmen zu finden.

#### **IV. Weitere Möglichkeiten der Reform**

Neben den bereits ergriffenen Maßnahmen sind noch weitere Reformen denkbar.

1. Zunächst stellt sich die Frage, ob das Modell des Staatsexamens angemessen ist und ob nicht eine Eingliederung in das Bologna-System stattfinden soll. Der Bologna-Prozess beschreibt eine europaweite Vereinheitlichung von Studiengängen und Studienabschlüssen, die auf die Schaffung eines gemeinsamen europäischen Hochschulraums gerichtet ist. Wesentliche Aspekte sind ein zweistufiges Abschlussystem mit Bachelor und Master, die Etablierung des ECTS-System und eine fortlaufende Qualitätssicherung. Während die meisten Studiengänge auf das Bologna-System umgestiegen sind, blieben Jura, Lehramt, Pharmazie und Medizin beim alten System des Staatsexamens. Bei der Juristenausbildung wurde das explizit von der Politik<sup>22</sup>, den Fakultäten<sup>23</sup> und dem wohl größten Teil der Professoren<sup>24</sup> verlangt. Zu Recht. Denn zum einen ist es unmöglich, die notwendige akademische Qualifikation innerhalb eines dreijährigen Bachelorstudiums zu erwerben. Zum anderen müssen auch die Verbraucher davon ausgehen dürfen, dass die Befähigung ihres Rechtsdienstleisters von einer umfassend erworbenen Kenntnis des Rechts abhängig zu machen. Das Bachelorsystem ist darauf ausgerichtet, dass Absolventen die notwendige Berufsqualifikation erlangen sollen. Das ist in Rechtswissenschaften, Medizin und co. Aber nicht möglich. Das ist auch an den Bachelorstudiengängen wie „Wirtschaftsrecht“ erkennbar. Hier können Absolventen nur einen Bruchteil der Möglichkeiten wahrnehmen, die man bereits mit einem Staatsexamen hätte. Zwar wäre es innerhalb des Bologna-Modells auch möglich, erst ein vierjähriges Bachelorstudium und dann eben nur ein einjähriges Masterstudium zu absolvieren. Allerdings bietet das Erste juristische Staatsexamen eine akademische Qualifikation, die ansonsten erst mit einem Masterstudium erlangt werden. Damit wären die Bachelor-Juristen zu anderen Bachelor-Absolventen weitaus überqualifiziert. Im Übrigen besteht auch keine Aussicht darauf, dass die Universitäten, welche im Falle eines Masterabschlusses das Examen zu 100 %, statt wie bisher 30 % selbst tragen würden, hierfür ausreichend Finanzen durch die Länder bekommen würden.

2. Damit ist der Umstieg auf ein anderes System vor allem wegen der Masse an Prüfungsstoff gesperrt. Wäre es nicht sinnvoll, den Prüfungsstoff zu verringern und beispielsweise ein extra Studium für Zivilrecht, Strafrecht und Öffentliches Recht anzubieten? Diese Frage muss mit Nein beantwortet werden. Die umfassende juristische Ausbildung in allen Rechtsgebieten ist berechtigt. Auch, wenn nicht jeder Jurist im späteren Beruf in allen Rechtsgebieten gleichermaßen tätig sein wird, ist es wichtig, in dieser Breite auszubilden. Denn in der späteren Praxis werden immer wieder Fälle vorkommen, in denen Verbindungen

---

<sup>20</sup> Amos, Sachsen-Anhalt testet 2019 digitales Examen, Lto.de, 24.10.2018

<sup>21</sup> Als erstes die Fachhochschule Mainz 1993. Mittlerweile sind es über zwanzig Hochschulen in Deutschland.

<sup>22</sup> Koalitionsvertrag der Bundesregierung 2005, S. 124.

<sup>23</sup> Protokoll des 84. Deutschen Juristen-Fakultätstages.

<sup>24</sup> Vgl. Pfeiffer, Wird der Juristenausbildung der Bologna-Prozess gemacht?, NJW 2005, S. 2881.

zwischen den drei Gebieten zu ziehen ist. Dazu erhält der Absolvent eines Jurastudiums eine sehr umfangreiche Auswahl an Berufsmöglichkeiten.

3. Sinnvoll ist es aber, die Endnote nicht zum größten Teil auf lediglich zwei Wochen Klausuren zu stützen. Zum einen ist es fraglich, inwiefern hier überhaupt ein repräsentatives Leistungsbild gezeigt werden kann, zum anderen fördert das den psychischen Druck. Als Vorbild kann das Modell dienen, wie es bereits in Nordrhein-Westfalen<sup>25</sup> und Niedersachsen<sup>26</sup> praktiziert wird. Hier müssen die Klausuren nicht innerhalb von zwei Wochen abgelegt werden, sondern können auf einen Zeitraum von eineinhalb Jahren aufgeteilt werden. Ein Nachteil an diesem Verfahren ist nicht ersichtlich.

## **VI. Fazit**

Damit steht fest, dass in der Grundsystematik der zweistufigen Juristenausbildung kein Änderungsbedarf besteht. Allerdings zeigt sich auch, dass die Ausbildung zu langsam auf moderne Entwicklungen reagiert, die ohne große Umstellung bewältigt werden können. Zum einen ist das die Einbeziehung von wirtschaftswissenschaftlichem Grundwissen und Soft-Skills. Im Weiteren muss künftig eine sukzessive bundesweite Umstellung auf computergeschriebene Klausuren stattfinden. Diese sollen auch nicht nur innerhalb von wenigen Tagen stattfinden, sondern sollen über einen längeren Zeitraum verteilt werden. Damit würden gleich mehrere Probleme gelöst: zum einen würde dies den psychischen Druck und damit auch die hohe Abbrecherquote verringern. Zum anderen könnten hiermit auch die Durchfallquoten gesenkt werden. Auch wäre der Student nicht mehr von teuren Vorbereitungskursen privater Anbieter abhängig. Gemeinsam mit einer Erhöhung der Regelstudienzeit und dem damit verlängerten Anspruch auf staatliche Förderungsgelder wäre das Jurastudium auch nicht mehr von den finanziellen Mitteln des Studenten bzw. seiner Familie abhängig. Inhaltlich müsste mehr Wert auf das Europarecht gelegt werden, um dem Einfluss des Europarechts in der Praxis Rechnung zu tragen. Mit all diesen kleinen, schnell umsetzbaren Änderungen kann weiterhin eine Juristenausbildung gewährleistet werden, die zurecht als eine der besten weltweit gilt.

---

<sup>25</sup> § 12 Juristenausbildungsgesetz Nordrhein-Westfalen.

<sup>26</sup> § 4 Absatz 2 Satz 2 des Niedersächsischen Gesetzes zur Ausbildung der Juristinnen und Juristen.

**ზვიად გაბისონია**  
სამართლის დოქტორი,  
სტუ-ის კერძო სამართლის პროფესორი,  
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

## **დომენის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები ელექტრონულ კომერციაში**

### **აბსტრაქტი**

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეძღვნება ინტერნეტ სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს – ელექტრონული კომერციის სამართლებრივ რეგულირებას. სტატიაში განხილულია ელექტრონული კომერციის ცნება და ცალკეული სახეები, ასევე ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ცალკეული ასპექტები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. იმის გამო რომ ელექტრონული კომერცია თავისი ბუნებით სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს, მისი სამართლებრივი რეგულირებისათვის მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისი არ არის. ამიტომ სტატიაში ცალკეა განხილული UNCITRAL-ის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ. ასევე საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის რეგულაციები, რომლებსაც ევრორეგულაციები აკისრებს მას. როგორც ცნობილია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წლის 27 ივნისს მიღებულ იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“ ან „DCFTA“). ამიტომ სტატიაში ცალკე ყურადღება აქვს დათმობილი აღნიშნულ საკითხებს.

ელექტრონულ კომერციაში განსაკუთრებული როლი დომენის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ენიჭება. ხშირად დომენი გამხდარა კონკრეტული ელექტრონული კომერციის პლატფორმის წარმატების წინაპირობა. შესაბამისად, მოცემული სტატიის ძირითადი შინაარსი სწორედ დომენის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ეთმობა ელექტრონულ კომერციაში.

### **ძირითადი ნაწილი<sup>1</sup>**

#### **1. ელექტრონული კომერციის ცნება**

ტრადიციული კომუნიკაციების საშუალებებისაგან განსხვავებით, რომელთა მთავარი ფუნქცია ინფორმაციის მიწოდებაა, ინტერნეტი არა მარტო ინფორმაციის მიწოდების წყაროა, არამედ გაცილებით მეტი – ბიზნესსაქმიანობის გლობალურ- ვირტუალური გარემო.

ბიზნესსაქმიანობა ინტერნეტში გაცილებით ეფექტურია ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით. კომპანიისთვის ბიზნესის წარმოება ინტერნეტში საქმიანი აქტივობის ნაწილის გადატანა ელექტრონულ გარემოში ე.ი. კომპანია იყენებს რა ბიზნესის ტრადიციულ ხერხებს ელექტრონული კომერციის მეშვეობით, ამატებს მათ ვირტუალურ შესაძლებლობებს. ელექტრონული კომერცია ცვლის ბიზნესურთიერთობებს ისე, როგორც ინტერნეტმა შეცვალა ურთიერთობის გარემო და ინფორმაციაზე დაშვება ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში.

<sup>1</sup> აღნიშნული სტატია ქვეყნდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „ინტერნეტ სამართალი“ – ფარგლებში.



ელექტრონული კომერცია სწორედ ელექტრონული ბიზნესის ერთ-ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მან მყარად დაიკავა ადგილი თანამედროვე ბიზნესსა და საქმისწარმოებაში. ცნობილი ონლაინ რესურსის statista.com-ის ინფორმაციით, ელექტრონული კომერციის ბრუნვამ 2017 წელს 2,3 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა და ზრდის განუხრელი ტენდენცია გამოავლინა: 2021 წლისთვის ნაანგარიშები პროგნოზით, იგი 4,8 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. ელექტრონული კომერციის სისტემებმა რიგ შემთხვევებში გააფართოვეს, ხოლო რიგ შემთხვევებში ჩაანაცვლეს საქმიანობის მართვის ტრადიციული საშუალებები და წარმატების მისაღწევად საჭირო მიდგომები.

ელექტრონული კომერცია (e-commerce) არის ბიზნესპროცესების ნებისმიერი სახეობა, სადაც ურთიერთქმედება სუბიექტებს შორის წარმოებს ელექტრონული სახით. ელექტრონული კომერცია შედგება სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილისაგან: ბიზნესსუბიექტები (მონაწილეები), პროცესები და ქსელები (რომელთა მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს მონაწილეები და სრულდება პროცესები). ზოგადად, ელექტრონული კომერცია საშუალებას აძლევს მის მონაწილეებს განახორციელონ შემდეგი შესაძლებლობები:

- გამყიდველებს – წარადგინონ ინტერნეტის ქსელში საქონელი და მომსახურეობა, მიიღონ ინტერნეტით და დაამუშავონ კლიენტების დაკვეთები;
- მყიდველებს – სტანდარტული ინტერნეტ-ბრაუზერების მეშვეობით გაეცნონ სხვადასხვა საქონლის და მომსახურეობის კატალოგებს და გააკეთონ დაკვეთა.

ელექტრონული კომერციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტექნოლოგიაა EDI (Electronic Data interchange) – მონაცემების ელექტრონული გაცვლა. EDI არის ინტერაქტიულ რეჟიმში თანმიმდევრული ტრანზაქციების და მათი დამუშავების მეთოდი. ზოგიერთი ანალიტიკური კომპანიის მონაცემებით, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიები ელექტრონულ რეჟიმში ყოველწლიურად ახორციელებენ 500 მილიარდი ღირებულების შესყიდვებს. EDI მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია იმ გზის არჩევა, რომლის მეშვეობით ინფორმაცია გადაიცემა ერთი ადგილიდან მეორეში, ან პირდაპირ, ან VAN (Value Added Network) დამატებითი მომსახურეობის ქსელების მეშვეობით. VAN შუამავალია, რომელიც ინახავს ინფორმაციას ელექტრონულ საფოსტო ყუთში, მანამ სანამ მას არ მოითხოვს ერთ-ერთი მხარე.

ელექტრონულ კომერციაში ხშირად განსაკუთრებული როლი დომენის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ენიჭება. ხშირად დომენი გამხდარა კონკრეტული ელექტრონული კომერციის პლატფორმის წარმატების წინაპირობა.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცდებით განვსაზღვროთ ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება დომენის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ელექტრონულ კომერციაში.

## 2. დომენის არსი და მისი სამართლებრივი ბუნება

დომენის<sup>2</sup> ცნება და მისი სახეები ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში თანამედროვე ინტერნეტ-სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეს პრობლემა ელექტრონულ კომერციაში. დღეის მდგომარეობით ერთიანი მიდგომა

<sup>2</sup> ტერმინი დამკვიდრებულია როგორც „დომენი“, და არა – „დომენი“. ასევე მითითებული ვებგვერდზე, სადაც შესაძლებელია დომენის რეგისტრაცია. საინტერესოა, რომ სუს საქმეებში ტერმინი ორივე სახითაა მოხსენიებული. კერძოდ, როგორც „დომენი“ (სუს განჩინება, 27.02.2013, №ას-1666-1563-2012 — აღწერილობითი ნაწილი), ისე „დომენი“ (სუს განჩინება, 11.10.2000, №3კ/589. ამ შემთხვევაში ერთ განჩინებაში ორივე ტერმინია გამოყენებული).

დომენის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით არ არსებობს. ეს იწვევს ბევრ სამართლებრივ პრობლემას ელექტრონულ კომერციაში.

დომენი უნიკალური დასახელებაა, რომელიც ვებგვერდს (ელ. ფოსტას) ესაჭიროება<sup>3</sup>. დომენი უნდა იყოს მიმაგრებული ჰოსტინგზე<sup>4</sup> და ჰქონდეს მინიჭებული IP-მისამართი<sup>5</sup>, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურია<sup>6</sup>. სახელმწიფო ორგანოები, ისევე როგორც კერძო სექტორში მომუშავე კომპანიები, არჩევენ შესაბამის დომენს, რომლის საფუძველზეც იღებენ კონკრეტულ სახელებს: მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ([www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)), რომელსაც დომენად აღებული აქვს – gov.ge (როგორც სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელს)<sup>7</sup>. ამდენად, დომენი იდენტიფიცირების შესაძლებლობის მატარებელიცაა<sup>8</sup> (დომენის სახელი შესაბამისი კომპანიის/მომსახურების ცნობადობის ამაღლებასაც ემსახურება<sup>9</sup>). კერძო სამართლის სუბიექტების შემთხვევაში დომენს ეკონომიკური ღირებულება აქვს<sup>10</sup>. ხშირად იგი საფირმო სახელწოდების/სასაქონლო ნიშნის იდენტურია<sup>11</sup>. ეს კი საფუძვლად უდევს დომენური სახელისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენების მართლზომიერების შეფასების საკითხზე მსჯელობას, რომელიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით რეგისტრირებული დომენის დაუშვებლობას გულისხმობს<sup>12</sup>.

დომენი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

**ა) გლობალურად (ზოგადი, საერთაშორისო დომენი)**, რომელსაც ყველაზე მეტი გამოყენება აქვს. ასე მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ გლობალურ დომენია .com (კომერციული შემთავაზებელი). ასევე ცნობილია შემდეგი გლობალური დომენები: .int (საერთაშორისო ორგანიზაცია), .net (სოციალური ქსელის მიმწოდებელი), .org (სხვა ორგანიზაცია), .gov (სახელმწიფო უწყება), .mil (სამხედრო/მაღოვანი სფერო/უწყება), .edu (საგანმანათლებლო უწყება), .name (კერძო პირი).

გლობალურ დომენ .com-თან დაკავშირებით ცნობილია შემთხვევები, როდესაც თავის დროზე 10 ან 20 დოლარად შეძენილი დომენები მილიონებად გაიყიდა. ამის მაგალითებია: sex.com – 14 მილიონი დოლარი, business.com – 7,5 მილიონი დოლარი, altavista.com – 3,3 მილიონი დოლარი, wine.com – 2,9 მილიონი დოლარი<sup>13</sup>.

**ბ) სპეციალური დომენი**, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება კონკრეტული, სპეციალური ინსტიტუციის აღსანიშნავად. მაგალითად (ტელემაუწყებლობის კომპანიები), .pro (კონკრეტული

<sup>3</sup> დომენური სახელი წესრიგდება საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო დონეზე მომწესრიგებელი წესების განმსაზღვრელი ორგანიზაციაა — ICANN.

<sup>4</sup> ჰოსტინგი ასევე უცხო ენაში გავრცელებული ტერმინის ქართულ ვარიანტადაა განხილული. იგი მომსახურეობაა, რომელსაც შესაბამისი (ჰოსტ პროვაიდერი) კომპანია უზრუნველყოფს.

<sup>5</sup> ინგლისურად: Internet Protocol Address (ინტერნეტ ოქმის მისამართი). იგი არის ინტერნეტში ჩართული მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორი (მისამართი).

<sup>6</sup> იხ. Kipshagen, Haftung bei offenem WLAN, 33

<sup>7</sup> დომენური სახელის აღებასთან დაკავშირებით მოცემულია კონკრეტული შეზღუდვები, რომლებიც არჩევანის თავისუფლების ფარგლებს აკონკრეტებს. მაგალითად, მინიმალური სიმბოლოების რაოდენობა უნდა იყოს ორი, ხოლო, მაქსიმალურის — 63 და ა.შ.

<sup>8</sup> სწორედ ეს განსაზღვრავს დომენის დამაბნეველად ფორმულირების დაუშვებლობას. იხ. სკეკ გადაწყვეტილება, 30.11.2017, №793/16.

<sup>9</sup> Schwarz, Erfolgreiches Online-Marketing, 73.

<sup>10</sup> Schwartmann/Gennen Praxishandbuch, Medienrecht, 22. Kap. Rn. 252.

<sup>11</sup> Härtling, Online-Shops und Startups, 68.

<sup>12</sup> სუს განჩინება, 11.10.2000, №33/589.

<sup>13</sup> <http://www.avangardhosting.com>

პროფესიის წარმომადგენლები – ადვოკატები, ექიმები, საგადასახადო მრჩეველები და სხვ.), .aero (საჰაერო/ავია ინდუსტრია), .museum (მუზეუმები), .travel (ტურისტული კომპანიები და ბიუროები) და სხვ.);

**გ) ქვეყანაზე დამოკიდებული დომენი.** ამ დომენს იყენებენ ძირითადად კონკრეტულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირები – .ge (საქართველოს მაიდენტიფიცირებელი აღმნიშნავი), .de (გერმანია), .us (აშშ), .it (იტალია). ამ კატეგორიის დომენებს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავ და აქ აღარ შევჩერდები.

მართალია, სახელისა და დომენის არჩევაში პირი თავისუფალია, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში მან უნდა იზრუნოს, რომ ამგვარი ქმედებით არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. ეს ქმედება ექცევა უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების ფარგლებში (სკ-ის 115-ე მუხლი). თუ საქმე კონკრეტულ ქვეყანას ეხება (მაგალითად, .ge დომენს), დომენში მცირე ცვლილების შეტანა მისი სხვა კომპანიასთან (პროდუქტთან) მაიდენტიფიცირებელი სახით არსებობას არ გულისხმობს. ცალკეულ შემთხვევებში, ე. წ. „პრიორიტეტულობის პრინციპი“ თამაშობს დიდ როლს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია, პირს მოუწიოს დომენის დათმობა სხვა პირის სასარგებლოდ. ეს კი იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს მოთხოვნის საფუძველი, თუ ამავე სახელწოდების მქონე პირი ცნობილია ადგილობრივ დონეზე (სადაც დომენი გაიცემა). გარდა უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევისა, დომენის თაობაზე სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, დაუშვებელია იგი იყოს დამაბნეველი. კერძოდ, საზოგადოება შეჰყავდეს შეცდომაში, იდენტიფიცირდებოდეს სხვა დომენებთან და ა.შ. საინტერესო მაგალითია სს „თიბისი ბანკის“ საქმე, რომელმაც ორი დომენის: [www.mytcbank.ge](http://www.mytcbank.ge)-სა და [www.itcbank.ge](http://www.itcbank.ge)-ს გაუქმება მოითხოვა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (სკეკ) ამ პოზიციას დაეთანხმა. კერძოდ, მან მიიჩნია, რომ ასეთი დომენების გამოყენება შეცდომაში შეიყვანდა მომხმარებლებს, ვინაიდან მსგავსების ასოცირებას გამოიწვევდა სს „თიბისი ბანკთან“. ამდენად, სკეკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული დომენების წვდომის შეზღუდვის თაობაზე.

### **3. ელექტრონული კომერციის განვითარების ისტორია**

ინტერნეტის და შემდგომ მის საფუძველზე მსოფლიო აბლაბუდის შექმნამ ყველაზე დიდი სარგებელი ბიზნესს მოუტანა, ხოლო Web 2.0-ტექნოლოგიის მასობრივმა დანერგვამ (რომლის შესახებაც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ), შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილებები მოიტანა ბიზნესის წარმოებაში. **ელექტრონული კომერცია (E-Commerce)** დღეს ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სფეროა და ღირსეულ კონკურენციას უწევს, ხოლო ხშირად სულაც ანაცვლებს, კომერციის წარმოების ტრადიციულ საშუალებებს. ცნობილი ონლაინ-მაღაზიების, ონლაინ-აუქციონების სახელები ყველაზე გამოუცდელი მომხმარებლებისთვისაც კი ნაცნობი გახდა. eBay, Amazon, Aliexpress და სხვა ონლაინ-პორტალები პრაქტიკულად 21-ე საუკუნის ახალ ეკონომიკურ მოდელს აყალიბებენ, სადაც ხშირად საბითუმო საქონლის მიმწოდებელი კომპანიების ადგილი აღარ არის და მიმწოდებელი და მომხმარებელი პირდაპირ უკავშირდებიან ერთმანეთს. ამგვარი მოდელის გამოყენებით მცირდება საქონლის თვითღირებულება და ორივე მხარე სარგებელს ნახულობს. ზარალდება ბითუმად მოვაჭრე და რაც მთავარია, ელექტრონული კომერციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს განვითარებადი ქვეყნების (მათ რიცხვში შედის საქართველოც) ეკონომიკა, რომელსაც გლობალიზაციის ეპოქაში ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდება მზარდ კონკურენციასთან გასამკლავებლად.

ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, მცდარი იქნებოდა მოსაზრება, თითქოს ელექტრონული კომერცია მხოლოდ ბიზნესსაქმიანობასთან არის დაკავშირებული. მას ძალიან აქტიურად იყენებენ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები თავიანთი სერვისების მიწოდების ეფექტურობის ასამაღლებლად.

ელექტრონული კომერციის წარმოქმნის თარიღზე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს, თუმცა ყველაზე დიდი პოპულარობით ის ვერსია სარგებლობს, რომლის მიხედვითაც, 1971 თუ 1972 წელს ინტერნეტის წინაპარ ARPANET-ის გამოყენებით სტენფორდის უნივერსიტეტის ხელოვნული ინტელექტის ლაბორატორიისა და მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის მარიხუანას გაყიდვის ტრანზაქცია ელექტრონული კომერციის პირველი აქტი იყო.

ამ კომიკური შეფერილობის მქონე ფაქტს თუ უკუვაგდებთ, პირველი ელექტრონული კომერციის სისტემის შექმნის თარიღი 1979 წლამდე გადაიწევეს, როცა ცნობილმა გამომგონებელმა, ინოვატორმა და მეწარმემ, მაიკლ ოლდრიჩმა თავისი ონლაინ-მაღაზია შექმნა. მომდევნო წლებში რამდენიმე მსგავსი პროდუქტი გამოვიდა ბაზარზე, თუმც ამგვარი სისტემების ნამდვილი ბუმი პირდაპირ უკავშირდება მსოფლიო აბლაბუდის (World Wide Web) შექმნას და პირველ მასობრივ ვებ-ბრაუზერს Netscape Navigator, რომელმაც ელექტრონული კომერცია ჩვეულებრივი, საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოუცდელი მომხმარებლებისთვისაც გახადა ხელმისაწვდომი.

1995 წელს ჯეფ ბეზოსმა აამოქმედა პორტალი amazon.com, ხოლო პიერ ომიდიარმა – ebay.com. 1999 წელს ამოქმედდა Alibaba.com და იმავე წელს ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობამ 150 მილიარდ დოლარს მიაღწია. ერთი შეხედვით, ელექტრონული კომერცია იყო მიმართულება, რომლის სტაბილურ ზრდას ვერაფერი დაემუქრებოდა, მაგრამ 2000 წელს „დოტ-კომების“ ბუმი გასკდა და აღნიშნული მიმართულებით მომუშავე ათასობით კომპანია გაკოტრდა. გადარჩნენ მხოლოდ ძლიერები, რომლებიც მას შემდეგ სტაბილური ზრდის გზით დადიან და ასტრონომიულ მოგებას იღებენ. დღევანდელი ელექტრონული კომერციის ბაზარი ბევრად უფრო მიმზიდველია, ვიდრე გასული საუკუნის ბოლოს და მასში გონივრული მონაწილეობა უეჭველად სარგებლის მომტანი იქნება, როგორც გამოცდილი ბიზნესმენებისთვის, ისე სტარტაპერებისთვის.

#### **4. ელექტრონული კომერციის მიმართულებები**

განვიხილოთ ელექტრონული კომერციის ძირითადი მიმართულებები:

##### **✓ B2B (Business to Business) (ბიზნესი-ბიზნესი)**

ამ შემთხვევაში ორი კომპანია ახორციელებს ბიზნესგარიგებას ინტერნეტის მეშვეობით. B2B-ს ძირითადი ამოცანაა – ბაზარზე კომპანიებს შორის ურთიერთქმედების ეფექტურობის ამაღლება.

არსებობს B2B-ს შემდეგი სახეობები:

1. კორპორაციული ვებ-საიტი. ის განკუთვნილია კომპანიის პარტნიორებსა და კლიენტებთან ურთიერთქმედებისათვის და შეიცავს ინფორმაციას კომპანიის, პერსონალის, ხელმძღვანელობის, პროდუქციის შესახებ.

2. „ონლაინ“ მაღაზია, რომელიც განკუთვნილია პროდუქციის გასაღებისათვის. შეიძლება განთავსებული იყოს კორპორაციულ ვებ-საიტზე. მისი საშუალებით შესაძლებელია დაკვეთების განთავსება, ელექტრონული გადახდების განხორციელება და საქონლის მიტანა კლიენტამდე.

3. ცალკეული დარგის საინფორმაციო ვებ-საიტი. განკუთვნილია ინფორმაციის განთავსებისათვის ცალკეულ დარგებზე, მათში შემავალ კომპანიებზე, ბაზრის მდგომარეობის მაჩვენებლებზე, დარგობრივ სტანდარტებზე.

4. ელექტრონული სავაჭრო მოედნები. განკუთვნილია სპეციალისტების, კომპანიის გასაღების და მომარაგების სამსახურების უშუალო „ონლაინ“ საქმიანობის განხორციელებისათვის.

5. საბროკერო ვებ-საიტები, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის.

✓ **B2C (Business to Consumer) (ბიზნესი-მომხმარებელი)**

ამ შემთხვევაში კომპანია პირდაპირ ყიდის თავის პროდუქციას და მომსახურებას მომხმარებელზე. B2C-ს ძირითადი ამოცანაა – უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობა და გააიოლოს მისი ურთიერთქმედება კლიენტებთან.

B2C-ს ყველაზე პოპულარული ფორმაა ელექტრონული მაღაზიები. ელექტრონული კომერციის B2C-ს ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია მსოფლიო გიგანტი „ამაზონი“ (<Amazon>) ([www.amazon.com](http://www.amazon.com)).

B2C ელექტრონული კომერციის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობაა.

✓ **C2C (Consumer to Consumer) (მომხმარებელი-მომხმარებელი)**

ამ შემთხვევაში ერთი მომხმარებელი პირდაპირ ყიდის თავის პროდუქტს მეორე მომხმარებელზე. ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია კომპანია „იბეი“ (<eBay>) ([www.ebay.com](http://www.ebay.com))

✓ **C2B (Consumer to Business) (მომხმარებელი-ბიზნესი)**

ამ შემთხვევაში მომხმარებელი თვითონ ნიშნავს ფასს კომპანიის მიერ მოწოდებულ საქონელზე ან მომსახურეობაზე. ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო კომპანია პრიცელინი ([www.priceline.com](http://www.priceline.com))

ბოლო დროს გამოჩნდა ახალი მიმართულებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

✓ **B2G (Business to Government) (ბიზნესი-სახელმწიფო).** აქ შედის ყველა ელექტრონული გარიგებები კომპანიებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაცია ქვეყნდება ინტერნეტში და კომპანიებს შეუძლიათ თავიანთი საქმიანი წინადადებები გააგზავნონ ელექტრონული ფორმით.

✓ **G2B (Government to Business) (სახელმწიფო-ბიზნესი)** გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ბიზნეს ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო და მუნიციპალური ინტერნეტ-პორტალების მეშვეობით.

✓ **G2C (Government to Consumer) (სახელმწიფო-მომხმარებელი) და C2G (Consumer to Government) (მომხმარებელი-სახელმწიფო)** გულისხმობს ხელისუფლების ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთქმედების ორგანიზაციას. ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო და მუნიციპალური ინტერნეტ-პორტალების მიერ მიწოდებული მთელი რიგი მომსახურეობის სპექტრი (გადასახადების შეგროვება, სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება და სხვა). მეორე მხრივ, ეს არის მოსახლეობასთან უკუკავშირის ორგანიზაციის სისტემა (ინტერნეტის მეშვეობით ხელისუფლების ქმედებებზე მოსახლეობის რეაქციაზე ინფორმაციის მიღება, სოციოლოგიური გამოკითხვების, არჩევნების რეფერენდუმების ჩატარება).

## 5. UNCITRAL-ის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ

მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის სფეროში წარმოიშვა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში პროგრესისა და ჰარმონიზაციის მიზნით<sup>14</sup>. მოდელური კანონი წერილობით ფორმას მიიჩნევს ელექტრონული, ვაჭრობაზე დაფუძნებული რეგულაციისათვის მთავარ დაბრკოლებად, მის მიმართ წაყენებული სამართლებრივი მოთხოვნების გამო<sup>15</sup>. ამასთან, მოდელური კანონი ლეგიტიმურად მიიჩნევს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას. იგი შეიცავს პასუხს ისეთ კითხვებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ვენის კონვენციით, უფრო ზუსტად, მე-13 მუხლით, რადგან იგი პირდაპირ წყვეტს წერილობით ფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის, ოფერტის, აქცეპტის, გადახედვისა და მოდიფიკაციის საკითხებს<sup>16</sup>.

UNCITRAL-ის მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ მთლიანად ეფუძნება ე.წ. ფუნქციურ ეკვივალენტს. ეს ნიშნავს რომ, თუ ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით<sup>17</sup>.

სწორედ ამიტომ, მოდელური კანონით დადგინდა ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპი: მხარეებს, რომლებმაც დადეს გარიგება, უფლება არა აქვთ ეჭვის ქვეშ დააყენონ მისი ნამდვილობა და სავალდებულობა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებით. ინფორმაციას არ შეიძლება წაერთვას იურიდიული ძალა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მონაცემთა ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს. აღნიშნულს პირობითად ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპსაც უწოდებენ, რისი მიზანიც მონაცემთა ელექტრონული შეტყობინებისა და ქალაქის დოკუმენტების მიმართ თანასწორი რეჟიმის უზრუნველყოფაა<sup>18</sup>.

მიუხედავად იმისა რომ მოდელური კანონი არ არის სავალდებულო საკანონმდებლო აქტი, UNCITRAL-ი ცდილობს შექმნას პლატფორმა ელექტრონული ხელშეკრულებების საერთაშორისოდ აღიარებისათვის იმ მხარეთათვის, რომელთა ქვეყნის სამართალიც არ ითვალისწინებს მსგავს რეგულირებას ან სათანადოდ არ იცავს მხარეებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, UNCITRAL-მა მიიღო „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ კონვენცია<sup>19</sup>, რომლის მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს მათი კანონმდებლობის ჰარმონიზაციასა და ელექტრონული ხელმოწერის გათანაბრებას, ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საფუძველზე, მატერიალური ფორმით განხორციელებულ ხელმოწერასთან<sup>20</sup>.

<sup>14</sup> Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 4

<sup>15</sup> Hill J. E. The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003), 28

<sup>16</sup> ქვე, გვ. 28.

<sup>17</sup> ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა). ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2.116.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 116

<sup>19</sup> U.N. MODEL LAW ON ELECTRONIC SIGNATURES, U.N. Doc.A/56/588, U.N. Sales No. E.02.V8 (UNCITRAL 2001)

<sup>20</sup> Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003). 29.

## 6. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ელექტრონული ვაჭრობის პრინციპები

როგორც ცნობილია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წლის 27 ივნისს მიღებულ იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“ ან „DCFTA“<sup>21</sup>).

აღნიშნულ შეთანხმებას წინ უსწრებდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებები. კერძოდ, DCFTA-ს მოლაპარაკებებისთვის მზადება დაიწყო 2009 წელს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მისაღებად მოლაპარაკებების დაწყებისთვის მომზადების პროცესს საფუძველი ჩაუყარა 2008 წლის 13-14 ოქტომბერს ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის (Commission services' fact-finding trade mission) ვიზიტმა თბილისში. ვიზიტის შემდეგ, 2009 წლის მარტში, ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ (EU Commission's Recommendations Regarding Georgia's Preparedness for the DCFTA Negotiations). რეკომენდაციების მიხედვით, მოლაპარაკებების დასაწყებად ევროკომისიამ გამოყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია<sup>22</sup>.

ასოცირების შეთანხმების IV კარის მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) მე-6 ნაწილი მთლიანად ეთმობა ელექტრონული კომერციის საკითხებს. კერძოდ, 127-ე მუხლში (მიზნები და პრინციპები) მითითებულია რომ:

1. მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, რომ ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას, განსაკუთრებით ურთიერთთანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც წარმოიშობა ელექტრონული კომერციით ამ თავის დებულებების შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული კომერციის განვითარება უნდა იყოს თავსებადი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა ნდობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ტრანზაქციები უნდა განიხილოს როგორც მომსახურების უზრუნველყოფა, ამ თავის მე-3 ნაწილის (მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდება) მიხედვით, რაც არ შეიძლება იყოს საბაჟო მოსაკრებლის საგანი.

ასოცირების შეთანხმება მხარეებს ავალდებულებს ერთმანეთთან დიალოგის წარმოებას ელექტრონული კომერციის რეგულირების საკითხებზე. კერძოდ, 128-ე მუხლში (თანამშრომლობა ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით) ნათქვამია, რომ: 1. „მხარეებმა უნდა აწარმოონ დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების საკითხებზე, რაც მათ შორის ეხება შემდეგ საკითხებს:

<sup>21</sup> შეთანხმების ოფიციალური ტექსტები იხ. ქართულ ენაზე:

<https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0&fbclid=IwAR1XRk25y6RenzKTtCsp3P7FDPOk9hPjw3CibqWjz4xyPrHuEkUfpJMKco>; ინგლისურ ენაზე: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)&fbclid=IwAR0tUVA1ziX7ZRT4dazE3fGE5vD3mZY9zUN-AG2wDR9oZ1dkYYnHL-00eL4](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)&fbclid=IwAR0tUVA1ziX7ZRT4dazE3fGE5vD3mZY9zUN-AG2wDR9oZ1dkYYnHL-00eL4) (ბოლო ნახვის თარიღი 23.03.2020)

<sup>22</sup> <http://www.dcfata.gov.ge/ge/agreement> (ბოლო ნახვის თარიღი 23.03.2020)



- ა) საზოგადოებისთვის გაცემული ელექტრონული ხელმოწერების სერტიფიკატების აღიარებას და საზღვრებს გარეთ სერტიფიცირების მომსახურების გამარტივებას;
- ბ) საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობას ინფორმაციის გადაცემაზე ან შენახვაზე;
- გ) ელექტრონული კომერციის კომუნიკაციებში თვითნებურ წვდომასთან მიმართებას;
- დ) მომხმარებელთა დაცვას ელექტრონული კომერციის ფარგლებში;
- ე) ელექტრონული კომერციის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. თანამშრომლობამ შეიძლება მიიღოს აღნიშნულ საკითხებზე მხარეების შესაბამისი კანონმდებლობისა და მისი განხორციელების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ფორმა“.

განსაკუთრებით საინტერესოა ასოცირების შეთანხმების IV კარის მე-6 თავის (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) მე-6 ნაწილის მე-2 ქვენაწილი, რომელიც „საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის“ საკითხებს არეგულირებს. 129-ე მუხლის მიხედვით, 1. „მხარეები აღიარებენ, რომ შუამავლების მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნას მესამე მხარის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის და საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლებისთვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი ამ ქვენაწილში განსაზღვრული ზომების გატარება. 2. ამ შეთანხმების 130-ე მუხლის მიზნებისთვის „მომსახურების მიმწოდებელი“ გულისხმობს ციფრული ონლაინ კომუნიკაციებისათვის გადაცემის, მარშრუტიზაციის ან კავშირების მიმწოდებელს, მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ ორ ან მრავალ წერტილს შორის, მომხმარებლის მიერ არჩეული მონაცემებით, კონტენტის მოდიფიცირების გარეშე. ამ შეთანხმების 131-ე და 132-ე მუხლების მიზნებისთვის, „მომსახურების მიმწოდებელი“ ნიშნავს მიმწოდებელს ან საშუალებების ოპერატორს ონლაინ მომსახურებისთვის ან ქსელთან დაშვებისთვის.

შეთანხმების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება შედგება მომსახურების მიმღების მიერ საკომუნიკაციო ქსელში გადაცემული ინფორმაციისგან, ან საკომუნიკაციო ქსელთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისგან, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი გადაცემულ ინფორმაციაზე იმ პირობით, რომ მიმწოდებელი:

- ა) არ ახდენს გადაცემის ინიცირებას;
- ბ) არ ირჩევს გადაცემული ინფორმაციის მიმღებს;
- გ) არ ირჩევს ან ცვლის გადაცემულ ინფორმაციას (მუხ. 130, პ.1)

პირველ პარაგრაფში აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოიცავს გადაცემული ინფორმაციის ავტომატურ, შუალედურ და მოკლევადიან შენახვას იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია საკომუნიკაციო ქსელში გადაცემის განსახორციელებლად და იმ პირობით, რომ ინფორმაცია არ ინახება გადაცემისათვის საჭირო გონივრულ ვადაზე მეტ ხანს (მუხ. 130, პ.2). აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა იქონიოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების შესაძლებლობაზე, მხარეების სამართლებრივი სისტემის შესაბამისად მომსახურებების მიმწოდებელს მოსთხოვოს დარღვევის შეწყვეტა ან აღკვეთა (მუხ.130, პ.3).



ასოციირების შეთანხმების შემდეგი სამი მუხლი დათმობილი აქვს საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობისა („ქეშირება“<sup>23</sup> და „ჰოსტინგი“<sup>24</sup>) (მუხ. 131 და 132) და მონიტორინგის ზოგადი ვალდებულების არარსებობის საკითხებს<sup>25</sup> (მუხ. 133). აღნიშნულ საკითხებზე სქოლიოში დაწვრილებითაა საუბარი და, შესაბამისად, აქ აღარ შევჩერდებით.

**<sup>23</sup> მუხლი 131. საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა:**

**„ქეშირება“**

1. იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ საკომუნიკაციო ქსელში მიწოდებულ ინფორმაციას, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებლები არ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის ავტომატურ, შუალედურ და მოკლევადიან შენახვაზე, თუ იგი განპირობებულია მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ მომსახურების სხვა მიმღებების მოთხოვნით მათთვის ინფორმაცია იყოს ეფექტურად მიწოდებული იმ პირობით, რომ:

(a) მიმწოდებელი არ ცვლის ინფორმაციას;

(b) მიმწოდებელი ასრულებს პირობებს ინფორმაციის წვდომაზე;

(c) მიმწოდებელი ასრულებს ინფორმაციის განახლების წესებს, რომელიც ფართოდ გავრცელებული და გამოყენებულია წარმოებაში;

(d) მიმწოდებელი არ ერევა იმ ტექნოლოგიების კანონიერ გამოყენებაში, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული და გამოყენებული წარმოებაში, რათა მიღებულ იქნას მონაცემები ინფორმაციის გამოყენებაზე; და

(e) მიმწოდებელი იღებს ოპერატიულ ზომებს მის მიერ შენახული ინფორმაციის წაშლაზე ან ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეწყვეტაზე იმის შემდეგ, რაც მისთვის, ფაქტობრივად, ცნობილი ხდება[23], რომ ინფორმაცია გადაცემის საწყის წყაროდან იყო ამოღებული ქსელიდან ან მასთან წვდომა იყო შეწყვეტილი, ან სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ მოითხოვა აღნიშნული ინფორმაციის წაშლა ან წვდომის შეწყვეტა.

2. აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა იქონიოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობაზე, მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების მიმწოდებელს მოსთხოვოს დარღვევების შეწყვეტა ან აღკვეთა. იხ.

<https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0&fbclid=IwAR1XRk25y6RenzKTtCsp3P7FDPOk9hPjw3CibyqWjz4xyPrHuEkUfpJMKeo>;

**<sup>24</sup> მუხლი 132. საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა:**

**„ჰოსტინგი“**

1. იმ შემთხვევაში, როცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება მოიცავს მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებულ ინფორმაციის შენახვას, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ იყოს პასუხისმგებელი ინფორმაციაზე, რომელიც ინახება მომსახურების მიმღების თხოვნით იმ პირობით, რომ:

(a) მიმწოდებლისთვის ფაქტობრივად არ არის ცნობილი არაკანონიერი საქმიანობის ან ინფორმაციის შესახებ და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის კუთხით არ არის ინფორმირებული ფაქტების ან გარემოებების შესახებ, რომლებისგანაც არაკანონიერი საქმიანობა ან ინფორმაცია ხდება ნათელი; ან

(b) ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი მოქმედებს ოპერატიულად, რათა წაშალოს ან შეწყვიტოს წვდომა ინფორმაციაზე;

2. პირველი პარაგრაფი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა მომსახურების მიმღები მოქმედებს მომსახურების მიმწოდებლის გავლენის ან კონტროლის ქვეშ.

3. აღნიშნულმა მუხლმა გავლენა არ უნდა მოახდინოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობაზე, მხარეების კანონმდებლობის შესაბამისად მოსთხოვოს მომსახურების მიმწოდებელს დარღვევის შეწყვეტა ან აღკვეთა, ასევე, არ უნდა იქონიოს გავლენა მხარის შესაძლებლობაზე, რომ შეიმუშაოს პროცედურები ინფორმაციაზე წვდომის შეწყვეტის ან აღკვეთის სამართავად. იხ.

<https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0&fbclid=IwAR1XRk25y6RenzKTtCsp3P7FDPOk9hPjw3CibyqWjz4xyPrHuEkUfpJMKeo>; (ბოლო ნახვის თარიღი 24.03.2020)

**<sup>25</sup> მუხლი 133. მონიტორინგის ზოგადი ვალდებულების არარსებობა**

1. ამ შეთანხმების 130-ე, 131-ე და 132-ე მუხლებით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფის დროს მხარეებმა მიმწოდებლებს არ უნდა დააკისრონ ზოგადი ვალდებულება ინფორმაციის მონიტორინგზე, რომელსაც ისინი გადასცემენ ან ინახავენ, ასევე მხარეებმა არ უნდა დააკისრონ ზოგადი ვალდებულება იმ ფაქტებისა და გარემოებების აქტიურ მოძიებაზე, რომლებიც მიუთითებენ არაკანონიერ საქმიანობაზე.

2. მხარეს შეუძლია დააწესოს ვალდებულებები საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რათა დაუყოვნებლივ აცნობონ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს განხორციელებული არაკანონიერი საქმიანობის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან მომსახურების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან ვალდებულებების შესახებ, რომ მიაწოდონ ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც იმ მომსახურების მიმღებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, ვისთანაც მათ შენახვის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. იხ.

<https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0&fbclid=IwAR1XRk25y6RenzKTtCsp3P7FDPOk9hPjw3CibyqWjz4xyPrHuEkUfpJMKeo>; (ბოლო ნახვის თარიღი 24.03.2020)

**Zviad Gabisonia**  
Doctor of Law,  
GTU, Professor of Private Law  
Director General of Shota Rustaveli  
National Science Foundation of Georgia

## **Legislative Basis of Domain Usage in e-Commerce**

### **Abstract**

The presented scientific article is dedicated to one of the main institute of internet law – legal regulation of Electronic Commerce. The article reviews the concept of Electronic Commerce and its particular variations, as well as it's particular aspects of Electronic Commerce legal regulations on both, national and international levels. The scope of Electronic Commerce exceeds the frames of one particular state and therefore only national legislation of state, is not enough in terms of its regulation, thus the article respectively reviews UNCITRAL model law of electronic commerce. Moreover, the EU regulations which is adressed to Georgia is also very important. As it is known, between EU and Georgia, in particular; between Georgia as one side and EU and European Atomic Energy Community, with their member states as the other side, approved the Association Agreement, on June 27, 2014. (hereinafter as „Association Agreement” or „DCFTA”, therefore the article respectively focuses on these topics as well)

Legal basis of domain usage plays very important role in Electronic Commerce. In often cases, the domain turned out to be the main reason of success of particular Electronic Commerce platform. Consequently, the major content of above – mentioned article is focused on legal basis of domain usage in Electronic Commerce.

**ქეთევან ქოქრაშვილი**  
სტუ-ის პროფესორი, სამართლის დოქტორი  
**ლაშა გორგაძე**  
საჯარო მმართველობის დოქტორი

## **საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში**

### **აბსტრაქტი**

საქართველოში 2008 წლის საკანონმდებლო რეფორმამდე კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს (შპს; სს; კოოპერატივი) კანონით განესაზღვრებოდათ მინიმალური საწესდებო კაპიტალის სავალდებულო ოდენობა. 2008 წლის 14 მარტის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ „გაქრა“ კანონის რედაქციიდან და გაჩნდა ახალი ტერმინი - „საწარმოს კაპიტალი“, თუმცა, ფაქტობრივად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა უარი თქვა მხოლოდ მისი მინიმალური ოდენობის განსაზღვრაზე, ისევე როგორც ეს ახასიათებს არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობას (მაგალითად, ლუქსემბურგი, ბელგია, კვიპროსი, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო), ამასთან უარი არ უთქვამს მის შინაარსსა და ფუნქციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებიდან თორმეტი წელი გავიდა, დღემდე ეს საკითხი არაერთი იურისტის მსჯელობისა და კამათის საგანია.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ საწესდებო კაპიტალის აუცილებლობის საკითხს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, წარმოვადგენთ შედარებით სამართლებრივ ანალიზს და მის კავშირს ევროკავშირის II დირექტივასთან.

### **ძირითადი ნაწილი**

საწარმოს საწესდებო კაპიტალი არის კანონით განმტკიცებული და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ქონება. ამ თვალსაზრისით, 2008 წლის 14 მარტს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ, „საწესდებო კაპიტალის“ არსებობა არ გააუქმა, არამედ დერეგულირების მიზნით, კანონმა უარი თქვა საწესდებო კაპიტალის სავალდებულო მინიმუმის განსაზღვრაზე. მართალია, კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საწესდებო კაპიტალი და მისი მინიმუმის კანონისმიერი განსაზღვრის აუცილებლობა შენარჩუნებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების ტენდენციით, ევროპის ქვეყნები აუქმებენ ან ამცირებენ მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას კერძო შეზღუდული კომპანიებისთვის<sup>1</sup>, რაც ქართული კანონმდებლობით შპს-ის ანალოგია. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგ ევროპულ ქვეყნებში საწესდებო კაპიტალის ოდენობა ცალსახად სიმბოლურია (მაგალითად, 1 ევრო). რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, ამერიკის შეერთებული შტატების „სამეწარმეო კორპორაციების შესახებ“ აქტი (RMBCA), რომლის მიდგომებსაც ამერიკის ოცამდე შტატის

<sup>1</sup> ბაქაქური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის. 2019. გვ. 64;

კანონმდებლობა იზიარებს, უარს ამბობს განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის კონცეფციაზე, შესაბამისად, სააქციო კაპიტალის სტრუქტურა განსხვავებულ მახასიათებლებს დაეფუძნა<sup>2</sup>.

კლასიკური გაგებით, „საწესდებო კაპიტალი – საწარმოს დაწყებითი კაპიტალის ფორმა<sup>3</sup> და საზოგადოების საკუთარი კაპიტალის შექმნის უმნიშვნელოვანესი წყაროა“<sup>4</sup>, „საწარმოს კაპიტალის სასტარტო ოდენობის შევსება ხდება დამფუძნებელ პარტნიორთა მიერ შესატანის შეტანის გზით. საზოგადოების დაფუძნების ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია შესატანის განხორციელება კაპიტალში“<sup>5</sup>. „ზოგიერთ ქვეყანაში აქციონერის მიერ შენატანის განხორციელება კორპორაციის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება და საზოგადოების წევრობის<sup>6</sup> მოპოვების საფუძვლად განიხილება“<sup>7</sup>. „ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობის (ბიზნესის) დაწყების მატერიალური საფუძველია ფულადი სახსრების არსებობა. ძალიან ბევრი ბიზნესი ვერ განვითარებულა ან დაწყებული ჩაშლილა სწორედ „საწყისი კაპიტალის“ არარსებობის, ან არასრულად არსებობის გამო“<sup>8</sup>. „კაპიტალური საზოგადოებისათვის სათანადო ლიკვიდურობის შესაქმნელად აუცილებელია პარტნიორების მხრიდან შესაბამისი შესატანების ფაქტობრივად განხორციელება“<sup>9</sup>. წარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებები სრულიად მისაღებია. ფაქტია, რომ სწორედ შენატანის გზით უჩნდება ქონება საზოგადოებას და იწყებს ეკონომიკურ საქმიანობას. ამ კონკრეტული გაგებით, „საწესდებო კაპიტალის“ არსებობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ინარჩუნებს შინაარს, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად – „საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა“. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა“. წარმოდგენილი დებულებები უდავოდ მიუთითებენ საწარმოს კაპიტალში სასტარტო შენატანების აუცილებლობაზე, კონკრეტული საწარმოს საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა ამონარიდი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებიდან – „იურიდიული პირი არის ... საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს ...“. შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის კაპიტალის არსებობა ყველა პარამეტრით სავალდებულოა, მისი ოდენობა კი, უპირველესად, თავად პარტნიორების გადასაწყვეტია, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს ბაზარზე სანდოობის მოპოვებაზე, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობაზე, მოგების მიღება/განაწილებაზე და სხვა.

<sup>2</sup>RMBCA-§6.21.(b) <http://users.wfu.edu/palmitar/ICBCorporationsCompanion/Conexus/ModelBusinessCorporationAct.pdf>;

<sup>3</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი. 2010 წ., გვ. 159.

<sup>4</sup> ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მესამე გამოცემა. 2002 წ. გვ. 267;

<sup>5</sup> იხ. საბჭოს მეორე დირექტივა, 13 დეკემბერი, 1976, 1977 O.J. (L 26) 1. მოხდა დირექტივის რეკოდიფიცირება როგორც დირექტივისა – 2012/30/EU, 2012 O.J. (L 315) 74. („კაპიტალის შესახებ დირექტივა“);

<sup>6</sup> შესაბამისად აქციების მიღების წინაპირობას წარმოადგენს. იხ.: Hamilton, Robert, The Law of Corporation, 5<sup>th</sup> ed, 2000, გვ. 166-187;

<sup>7</sup> ბურდული ი., შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგები: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ. თბილისი: ჟურნალი სამართალი N1-2, 2010 წ. გვ. 22

<sup>8</sup> მიგრაული რ., შალამბერიძე თ. ქართულ სააქციო საზოგადოებაში სავალდებულო საწესდებო კაპიტალის შესახებ ნორმების მისადაგება ევროკავშირის 1976წ. 13 დეკემბრის N77/91 დირექტივასთან. შრომათა კრებული. 2016. გვ. 52. <http://www.library.court.ge/upload/shromebi.pdf>

<sup>9</sup> Zeidler/Michalski, GmbHG Kommentar, 2. Aufl., §5, Rn.8;

2008 წლის 14 მარტის საკანონმდებლო ცვლილება უმთავრესად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკით იყო განპირობებული. იდეა კონცეპტუალურია და უმთავრეს მიზნად ისახავდა ეროვნული ეკონომიკის ერთგვარ სტიმულირებას, ამასთან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის კანონით გათვალისწინებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი, ოდენობიდან გამომდინარე, ზედმეტად კომიკურად გამოიყურებოდა, თუმცა მაშინვე გაჩნდა არაერთი კონტრმოსაზრება, მაგალითისთვის - „რეფორმის ავტორთა აზრით, საწარმოს დაფუძნების გამარტივება განაპირობებს დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ზრდას. რაც უფრო მეტი საწარმო დაფუძნდება, მით უფრო მეტი კაპიტალი დაბანდდება, შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოკლედ, გაიზრდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. მიზანი ლეგიტიმურია, შედეგი - საეჭვო, მეთოდი კი - დამაფიქრებელი“<sup>10</sup>. კიდევ ერთი მოსაზრება - „ზედმეტმა ლიბერალიზმმა შექმნა სამართლებრივი „ქაოსი“ და ბიზნესის განვითარების ნაცვლად ჩვენ მივიღეთ უამრავი კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომელიც არ ფუნქციონირებს და მათი შექმნის ერთ-ერთ მიზეზს, სწორედ დაფუძნების სიმარტივე წარმოადგენდა. გაიზარდა რაოდენობა, თუმცა არ შეცვლილა ხარისხი და ვერ მოხდა უმთავრესი მიზნის რეალიზება“<sup>11</sup>. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება შპს-სთან მიმართებით გადაჭარბებულია, რადგან სრულიად ალოგიკური იყო მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა - 200 ლარი (უფრო ადრე 2000 ლარი) (45-3 მუხლის პირველი ნაწილი), იქვე... „შენატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2008 წლის 14 მარტამდე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის მომენტისთვის შეტანილი უნდა ყოფილიყო შესატანის ნახევარი მაინც, ანუ თუნდაც 100 ლარი, სრულიად გაუგებარი ხდება ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის სავალდებულო მინიმალური ოდენობის ფუნქციური დატვირთვა და შინაარსი. გაუგებარია რას ემსახურებოდა ზემოაღნიშნული ოდენობა და რა სახის ბიზნესისთვის შეიძლებოდა მისი გამოყენება სასტარტო კაპიტალის სახით. შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი ცალსახად იყო ფიქცია.

წარმოდგენილი პერიოდის პრაქტიკული მაგალითებიდან გამომდინარე, ხშირად შპსებისთვის კანონით გათვალისწინებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი საყოფაცხოვრებო ნივთებით ივსებოდა, რასაც ხშირად არანაირი კავშირი არ ჰქონდა კონკრეტული საწარმოს საქმიანობასთან და არც საწესდებო კაპიტალის რეალურ დანიშნულებასთან. ამასთან გასათვალისწინებელია შენატანის სახით განხორციელებული მატერიალური აქტივების ცვეთის ხარისხი, რაც ამცირებს მათ ღირებულებას, შესაბამისად, იქნებოდა თუ არა საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განსაზღვრული კანონით, ეს ნამდვილად ვერ მოახდენდა გავლენას ვერც მეწარმეობის განვითარებაზე, ვერც მის ხარისხსა და მითუმეტეს ვერც კრედიტორთა დაცვის ფუნქციას ვერ შეასრულებდა.

ზოგიერთ ვტორთა აზრით, „სამეწარმეო კანონმდებლობა საწესდებო კაპიტალს ანიჭებს გარკვეული დაცვის ფუნქციას, რომელიც აქციონერებს იცავს საწესდებო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში წმინდა მოგებაში წილის შემცირებისგან და კომპანიის კრედიტორების წინაშე ვალდებულებათა შესრულების მინიმალურ გარანტიას იძლევა“<sup>12</sup>. ამდენად, მათი აზრით,

<sup>10</sup> ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში. თბილისი: მერიდიანი, 2010 წ., გვ. 35.

<sup>11</sup> გომხეთელიანი ნ., გალდავა დ., საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება. ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ #4. 2015. გვ. 40;

<sup>12</sup> კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ. 160.

„საწესდებო კაპიტალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კრედიტორთა დაცვაა. მას შემდეგ, რაც სამოქალაქო სამართალში შემოვიდა იურიდიული პირების ცნება, რომელიც პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან იყო დაკავშირებული, დადგა ამ პასუხისმგებლობის მინიმალური უზრუნველყოფის აუცილებლობა“<sup>13</sup>. „როდესაც პირი რაიმე ურთიერთობას ამყარებს საზოგადოებასთან, მაგალითად, აძლევს სესხს ან აპირებს მიჰყიდოს საქონელი და ა.შ, იგი ინტერესს იჩენს საზოგადოების კაპიტალის მიმართ“<sup>14</sup>. „ამდენად, რაც უფრო დიდია საწესდებო კაპიტალი, მით უფრო დაცულია კრედიტორის რისკი. ამავე დროს, მინიმალური საწესდებო კაპიტალი ხაზს უსვამს ex ante ბიზნესის წარმოების განზრახვის სერიოზულობას და წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორის მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის ერთგვარ სუბსტანციას.“<sup>15</sup> ასევე... „მყარი კაპიტალის კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კორპორაციის კრედიტორთა დაცვასთან. იგი კრედიტორებისთვის ერთგვარი საგარანტიო თანხაა, რომლის აქციონერებისთვის განაწილება დაუშვებელია. როგორც წესი, ასევე აკრძალულია აქციონერის შენატანის ვალდებულებებისაგან გათავისუფლება. შენატანის დროულად განხორციელებაც, უპირველესად, მესამე პირთა ინტერესებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამავე დროს, არც სააქციო საზოგადოებისათვის არის სასურველი, რომ აქციონერებმა საწარმოს საკუთრებაში შენატანის გადაცემა გაახანგძლიონ და იგი მხოლოდ „ფიქციური კაპიტალით“ აღჭურვონ. ამდენად, საწესდებო კაპიტალზე დამყარებული სისტემა უნდა გავიგოთ, როგორც საწარმოს გადახდისუნარიანობისა და კრედიტორთა დაცვის აბსტრაქტული მექანიზმი. აბსტრაქტულობა გულისხმობს იმას, რომ იგი არა კონკრეტული პირის, არამედ კრედიტორების, როგორც ჯგუფის ინტერესს ემსახურება. პრევენციულ დატვირთვაში (ე.წ. ex ante - კაპიტალის დაცვა) კი მოიაზრება ის, რომ საწარმო შესაძლო ზარალის შთანთქმის საწინააღმდეგოდ გარკვეულ ჯგუფს ქმნის“.<sup>16</sup>

რთულია დავეთანხმოთ ავტორთა წარმოდგენილ პოზიციებს, პირველ რიგში იმიტომ, რომ „საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოების წესდებაში მითითებულ თანხას, რომელიც შეიძლება საერთოდ არ ასახავდეს კაპიტალური საზოგადოების განკარგულებაში ფაქტობრივად არსებულ ქონებას“<sup>17</sup>. კომპანიის რენტაბელობის წინასწარ განჭვრეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, პრაქტიკის გათვალისწინებით ეს რისკი ყოველთვის კრედიტორებს აწევთ. მეორე, საწესდებო კაპიტალი კომპანიის სასტარტო კაპიტალია (საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელი ქონების შევსების თვალსაზრით), შემდეგ საწარმოს კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს ისე, რომ არც აისახოს სასტარტო კაპიტალის მოცულობაზე. ამასთან, კრედიტორთა დაკმაყოფილება სულაც არ ხდება (და არც 2008 წლის 14 მარტის საკანონმდებლო ცვლილებამდე არ ხდებოდა) მხოლოდ საწესდებო კაპიტალის მოცულობით, ამ თვალსაზრისით საგულისხმოა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი – „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით“; ციტირებიდან უდავოა, რომ შპს პასუხს

<sup>13</sup> ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, 2002 წ., გვ. 60.

<sup>14</sup> ლილუაშვილი გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. თბილისი: გამომცემლობა „ჯისია“- 2005 წ., გვ. 121-122.

<sup>15</sup> ქირია ა. საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი 2010 წ., გვ. 36.

<sup>16</sup> ჯუღელი გ. კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი: სიესტა-2010 წელი, გვ. 121-122.

<sup>17</sup> Zeidler/Michalski, GmbHG Kommentar, 2. Aufl., 2010, §5, Rn.8.

აგებს არა საწესდებო კაპიტალის ოდენობით, არამედ მთელი მისი ქონებით, რაც, როგორც წესი, გაცილებით მეტია, ვიდრე საწესდებო კაპიტალი, შესაბამისად, კრედიტორისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საწარმოს ქონების მოცულობა.

საგულისხმოა, რომ ხშირად ავტორები აპელირებენ ევროკავშირის II დირექტივაზე<sup>18</sup>, რომელიც „კაპიტალის შესახებ“ დირექტივის სახელითაა ცნობილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს დირექტივა ვრცელდება მხოლოდ ღია (საჯარო) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე, რისი ანალოგიც ჩვენს კანონმდებლობაში სააქციო საზოგადოებაა და ის არ ვრცელდება კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, ანუ შპს-ზე. დირექტივის მე-6 მუხლის შესაბამისად, „(1) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლებმა კომპანიის დაფუძნების მიზნებისთვის და მისი საქმიანობის ნებართვის მოპოვებისთვის უნდა მოითხოვონ მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 25 000 ევროზე ნაკლები. (2) ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ევროპის პარლამენტი და საბჭო, კომისიის წინადადებით, ხელშეკრულების 50 (1) და (2) (ზ) მუხლების შესაბამისად, გადახედავენ და საჭიროების შემთხვევაში შეცვლიან პირველ აბზაცში აღნიშნულ თანხას ევროში, კავშირის ეკონომიკური და ფულადი ტენდენციების შესაბამისად და იმ ტენდენციით, რომ მხოლოდ მსხვილ და საშუალო დაწესებულებებს შეეძლოთ დანართ I-ში ჩამოთვლილი კომპანიის ფორმით დაფუძნების არჩევა“. მეორე დირექტივის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა არ არის მნიშვნელოვანი დაცვა კრედიტორებისთვის, სავალდებულო თანხა, 25 000 ევრო არ არის არსებითი. ეს აგრეთვე მოკლებულია შინაარსს, რადგან არ არის დაკავშირებული ვალთან, რომელიც კომპანიამ შეიძლება აიღოს მისი აქტივობებიდან გამომდინარე. ნათელია, რომ აზრს მოკლებულია, მოვთხოვთ დიდი შესაძლებლობების კომპანიას, რომელიც ახორციელებს რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებას, იმავე მინიმალური საწესდებო კაპიტალის ქონა, როგორც მცირე საშუალებების კომპანიას, რომელიც ქმნის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს. საწესდებო კაპიტალის დოქტრინა მცდარად ვარაუდობს, რომ ფირმის ფიქსირებული კაპიტალი ინფორმაციას აწვდის მიმდინარე და პოტენციურ კრედიტორებს რესურსებზე, რომლებიც ფირმას აქვს და არ შეუძლია, თავისუფლად გადასცეს მის დამფუძნებლებს. რეალურად, კრედიტორებს (და პოტენციურ კრედიტორებს) არ აღეგულებათ არც ეს რესურსები და არც საწესდებო კაპიტალი.<sup>19</sup>

ზემოთქმულის გათვალისწინებით ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ავტორის აზრს, რომ თითქოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გაუქმება ევროპული პრინციპებიდან გადახვევაა, საგულისხმოა, რომ ევროპის ტერიტორიაზე პირველად ფრანგულმა სამართალმა - 2003 წლის 1-ელ აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებით (ფრანგული სავაჭრო კოდექსის ცვლილებები) უარი თქვა შპს-ს საწესდებო კაპიტალზე და შეინარჩუნა ჩანაწერი, რომ კორპორაციის ერთი წილის ღირებულება არ უნდა იყოს ერთ ევროცენტზე ნაკლები. სტატისტიკური მონაცემებით, საფრანგეთში დარეგისტრირებულ შპს-თა მხოლოდ 1/5 სარგებლობს ამ დერეგულირებით და იქაც კაპიტალი კანონით დაშვებული

<sup>18</sup> ევრო საბჭოს მეორე დირექტივა, 13 დეკემბერი, 1976, 1977 O.J. (L 26) 1. მოხდა დირექტივის რეკოდიფიცირება როგორც დირექტივისა - 2012/30/EU, 2012 O.J. (L 315) 74.

<sup>19</sup> ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტები-სათვის. 2019 წ. გვ. 63.



1 ევროთი, ფაქტობრივად, არსად არ განისაზღვრება, თუმცა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დერეგულირებამდე (2003 წლამდე) არსებული კანონით განსაზღვრული მინიმალური მაჩვენებელი. მომდევნო პერიოდში იმავე შინაარსის საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ირლანდიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, კვიპროსში, ამიტომ ამ თვალსაზრისით საქართველო გამონაკლისი ნამდვილად არ არის და არც ევროკავშირის II დირექტივას არაა აცდენილი.

მოცემული მსჯელობის სამაგალითოდ მეტად საინტერესოა „ლუკა ენრიკე & ჯონატან რ. მასი, კრედიტორები და კაპიტალის ფორმირება: კაპიტალის ევროპული სამართლებრივი წესების წინააღმდეგ, 86 CORNELL L. REV. 1165, 1185-1188 (2001)“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეორე დირექტივის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა არ არის მნიშვნელოვანი დაცვა კრედიტორებისთვის, სავალდებულო თანხა, არ არის არსებითი. საწესდებო კაპიტალის დოქტრინა მცდარად ვარაუდობს, რომ ფირმის ფიქსირებული კაპიტალი ინფორმაციას აწვდის მიმდინარე და პოტენციურ კრედიტორებს რესურსებზე, რომლებიც ფირმას აქვს და არ შეუძლია, თავისუფლად გადასცეს მის დამფუძნებლებს. რეალურად, კრედიტორებს (და პოტენციურ კრედიტორებს) არ აღეღებთ არც ეს რესურსები და არც საწესდებო კაპიტალი. ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არ აღეღებთ კრედიტორებს საწესდებო კაპიტალი, გახლავთ ის, რომ, როგორც კი კომპანია იწყებს ოპერირებას, მას შეუძლია, გამოიყენოს თავისი კაპიტალი ქონების შესაძენად, რომლის ღირებულებაც ექვემდებარება შემცირებას. იქიდან გამომდინარე, რომ ფირმა შესაძლოა, დაფუძნებიდანვე წამგებიანი აღმოჩნდეს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს, ჩვეულებრივ, როგორც ბიზნესის წარმართვა, ისე რომელიმე ისეთი უსამართლო ტრანსაქციის განხორციელება, რომელზეც არ ვრცელდება მეორე დირექტივის მე-13 მუხლი, თავდაპირველად ჩადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა მოკლებულია შინაარსს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრედიტორებს, რომელთაც სურთ, მიიღონ ინფორმაცია ფირმის არსებულ სახსრებზე, უნდა შეისწავლონ მისი სრული ბუღალტრული ბალანსი. უფრო მეტიც, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ფირმის ქონების არსებული ღირებულება. ამდენად, საწესდებო კაპიტალის გრაფა კომპანიის საბალანსო ანგარიშის მარჯვენა მხარეს არ იძლევა სასარგებლო ინფორმაციას კრედიტორებისთვის. ასეც რომ იყოს, კრედიტორებს შეუძლიათ, უბრალოდ, უარი თქვან კრედიტის გაცემაზე, თუკი საწესდებო კაპიტალში სათანადო თანხა არ იქნება შეტანილი. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩავთვლით, რომ კრედიტორებს აინტერესებთ, რა სახსრები ჩადეს დამფუძნებლებმა ერთობლივი საქმიანობის დასაწყისში, საექსპერტო დასკვნა ნატურით შენატანებზე დიდად სასარგებლო არ არის მათთვის. პირველ რიგში, შეფასების სხვადასხვა მეთოდის არსებობა ფართო დისკრეციის საშუალებას აძლევს ექსპერტებს. ეს მაშინაც, როდესაც ექსპერტმა ზუსტად უნდა მიუთითოს „გამოყენებული შეფასების მეთოდი“, როგორც ამას მოითხოვს მეორე დირექტივა; მეორე მხრივ, ექსპერტები არასდროს არიან სრულად „დამოუკიდებლები“, მაშინაც კი, როდესაც მესამე მხარე (მაგალითად, მოსამართლე) ირჩევს ექსპერტს, ეს ექსპერტი პროფესიონალია, რომელიც სთავაზობს საკუთარ სააღრიცხვო და შეფასების მომსახურებას ბაზარზე. როგორც წესი, იგი უფრო მეტ შემოსავალს იღებს თავისი ჩვეული მომსახურების გაწევიდან, ვიდრე მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეფასების საქმიანობიდან. ამას გარდა, მან მუდმივად უნდა მოიზიდოს და შეინარჩუნოს კლიენტები თავისი ჩვეული საქმიანობისთვის. ამდენად, იგი



არ გარისკავს, დაკარგოს თავისი მოქმედი ან პოტენციური კლიენტები „ზედმეტი დამოუკიდებლობით“ არაფულადი სახსრების შეფასებისას (ციტატის დასარული).

მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლის ივნისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს საკორპორაციო სამართალი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის დირექტივებთან და ასევე მოცემულია ჰარმონიზაციის ვადა თითოეული დირექტივისათვის. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა 2012/30/EU Capital Maintenance Directive – კაპიტალის შენარჩუნების დირექტივა, რომლის მიზანია მინიმალური თანაბარი დაცვის უზრუნველყოფა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (საქართველოს კანონმდებლობით - სააქციო საზოგადოების) აქციონერებისა და კრედიტორებისათვის, იმ ეროვნული დებულებების ურთიერთკოორდინაციით, რომელიც შეეხება საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებას და მათი კაპიტალის შენარჩუნებას, გაზრდას ან შემცირებას; დირექტივის შესაბამისად, კომპანიის წესდება ან სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა აძლევდეს საშუალებას ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მიიღოს ძირითადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ, მათ შორის, კომპანიის კაპიტალის ზუსტი შედგენილობის შესახებ და სხვა<sup>20</sup>. შეთანხმებაში ჰარმონიზაციის ვადად მითითებულია 2019 წელი. სამწუხაროა, რომ დღემდე საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი ზედმეტად „ნედლი“ სახით არსებობს, მრავალი საკითხი მოითხოვს სერიოზულ დახვეწას და დაზუსტებას, არა მხოლოდ ევროკავშირის სამართლის ჰარმონიზაციის, არამედ ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით.

---

<sup>20</sup> დაწვრილებით იხ. ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის. 2019 წ. გვ. 37-39

**Ketevan Kokrashvili**

Professor of GTU, Doctor of Laws

**Lasha Gorgadze**

Doctor of Public Administration

**The need to determine the minimum amount of authorized capital  
in a limited liability company**

**Abstract**

Prior to the 2008 legislative reform in Georgia, capital-type companies were required by law to have a mandatory minimum authorized capital. As a result of the legislative changes of March 14, 2008, the term "authorized capital" "disappeared" in the law and there appeared a new term - "enterprise capital" and in fact, the Law of Georgia on Entrepreneurs only rejected it. Actually the law rejected only determination of the minimum amount of authorized capital, as it is accepted by the legislation of some European countries (including Luxembourg, Belgium, Cyprus, Ireland, the United Kingdom) and it did not refuse to accept its content and function.

Since the above mentioned changes twelve years have passed, the issue is still under discussion as well as it is debated by many lawyers.

In this article, we discuss the need for authorized capital in a limited liability company, present a comparative legal analysis and its connection with Directive II of the European Union.

## სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამომიებო მოქმედებანი

### აბსტრაქტი

საქმის მწარმოებელი ორგანოები და სუბიექტები, რომელნიც უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ კერძო გამოძიება (ადვოკატი, ბრალდებული), იმ შემთხვევაში შეუძლიათ მათთვის სასარგებლო საგამომიებო მოქმედებების რეალიზაცია, როდესაც შეზღუდულია ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, თუ კი მაგისტრატი მოსამართლისაგან მიიღებენ ამის ნებართვას – განჩინებას. ნაშრომში განხილულია არა მარტო სასამართლოს განჩინების მიღების რეგულაცია, არამედ თუ რა პროცედურებით უნდა მოხდეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლისაგან განჩინების მიღება.

### ძირითადი ტექსტი

კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის საქმისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და მწვავე საკითხია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სფეროს სწორი სამართლებრივი რეგულირება დიდწილად განაპირობებს კონსტიტუციით გარანტირებული ზემოაღნიშნული უფლებების დაცვას, ამ უფლებებში ვინმეს მხრიდან არაარგუმენტირებულ და უხემჩარევას.

საგამომიებო მოქმედებანი, რომლებიც სასამართლოს განჩინებას საჭიროებს - პრაქტიკაში მრავლად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის აუცილებელია კონკრეტული ტერიტორიის გაჩხრეკა, დათვალიერება, საჭირო ნივთების გამოსაკვლევად წამოღება, პირთა სატელეფონო საუბრის მოსმენა, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი ობიექტის დაყადაღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი ღირებულებების ხელყოფა, როგორებიცაა საკუთრება, მფლობელობა, ანონიმურობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა. იმისათვის რომ საქმის გამოძიება არ გახდეს ადამიანის უფლებებით ბოროტად მანიპულირების საშუალება, ისეთი საგამომიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც ზღუდავს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანურ ღირებულებებს, სავალდებულო წესით საჭიროებს სასამართლოს სპეციალურ განჩინებას. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამომიებო მოქმედებათა აუცილებელი პირობები და წესი, რომელთა ჩატარებისთვისაც სავალდებულოა სასამართლო განჩინება.

მამასადამე, როდესაც ამგვარი საგამომიებო მოქმედების ჩატარება საჭირო, მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და უსაბუთებს მას, რომ საგამომიებო მოქმედების ჩატარება აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად. მოსამართლე, შუამდგომლობის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათში, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, წყვეტს მხარის შუამდგომლობას. ამ ტიპის შუამდგომლობის განხილვისას

მოსამართლე საჭიროების შემთხვევაში, ისწრებს შუამდგომლობის ინიციატორსაც. სასამართლოს განჩინება საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, რომლის პირადი უფლებებიც ილახება საგამოძიებო მოქმედებით, თანახმაა ამ მოქმედების ჩატარებაზე. მაგალითად, თუ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში საჭიროა რაიმე ტერიტორიის გაჩხრეკა, ამ ფართის ერთ-ერთი თანამესაკუთრის თანხმობის შემთხვევაშიც სასამართლოს განჩინება საჭირო აღარ არის ან თუ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში საჭიროა პირთა სატელეფონო საუბრების მოსმენა, სასამართლო განჩინება საჭირო აღარ არის, თუ ერთ-ერთი თანამოსაუბრე თანახმაა მოისმინონ მისი დიალოგი.<sup>1</sup>

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გარკვეული პირობებისა და სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით, უშვებს ადამიანის უფლებათა შემზღვევით საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას სასამართლოს განჩინების გარეშე<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხდება და დროის ფაქტორს ცალკეულ მტკიცებულებათა აღმოჩენის თვალსაზრისით ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ერთი საათიც კი შეიძლება გადაწყვეტი აღმოჩნდეს. ამიტომაც შესაძლოა, გამოძიებას ყოველთვის არ ჰქონდეს იმის დრო, დაელოდოს რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო ამა თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე. სწორედ ამის გამო საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას განსაკუთრებულ პირობებში, პირადი ხელშეუხებლობის შემზღვევით საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე. ასეთ განსაკუთრებულ პირობებად ითვლება შემდეგი შემთხვევები:

- საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნება იწვევს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურებას (მაგალითად, არის იმის რეალური საფრთხე, რომ პირი დამალავს ან განადგურებს გამოძიებისათვის არსებით მტკიცებულებებს და სხვ.);

- საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნება შეუძლებელს გახდის საჭირო მონაცემების მოპოვებას (მაგალითად, არსებობს საშიშროება, რომ დაყოვნებით წაიშლება გამოძიებისათვის მნიშვნელოვან ობიექტზე არსებული თითის ანაბეჭდების კვალი);

- საქმისათვის საჭირო საგანი ან სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს (მაგალითად, ლომიძეს ბრალდებოდა საიუველირო მაღაზია „დიადემას“ გაქურდვა, გამოძიების ფარგლებში, მის ბინაში ტარდებოდა ჩხრეკა ნაქურდალი ძვირფასეულობის ამოღების მიზნით. ნაქურდალის გარდა, გამოძიებელმა მის კარადაში ნახა სისხლიანი იარაღი და სისხლიანი ტანსაცმელი. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, აღმოჩენილი იარაღი სრულიად სხვა დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულება იყოს);

- არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე (მაგალითად, ივანე შატერაშვილი და მისი ორი მეგობარი შატერაშვილის საცხოვრებელი სახლის სარდაფში აწარმოებდნენ ცნობილი მაიონეზისა და არაჟნის ფაქსიფიკაციას. ისინი გაყალბებული პროდუქციის ჩაბარებას აპირებდნენ სხვადასხვა სასურსათო მაღაზიაში. ფაქსიფიცირებული საქონელი ისეთი მასალისაგან მზადდებოდა, რომელიც მავნე იყო ადამიანის ჯანმრთელობისათვის. გაყალბებული მაიონეზისა და არაჟნის ერთ კოვზსაც კი შეეძლო გამოეწვია ადამიანის დაღუპვა.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009. მუხლი 112 (ახ. რედაქცია)

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009. მუხლი 112, მე-5 ნაწ.

ამის თაობაზე ოპერატიული ინფორმაცია მიიღო გამომძიებელმა ლევან მაისურაძემ იმისათვის, რომ დამნაშავეებს გაყალბებული პროდუქციის სარეალიზაციოდ გაშვება ვერ მოესწროთ და გადაერჩინათ ფალსიფიცირებული პროდუქტის პოტენციური მომხმარებლები. გამომძიებელი, ჩხრეკის მიზნით, შეიჭრა ივანე შატერაშვილის საცხოვრებელი სახლის სარდაფში, რადგან მას ჰქონდა ეჭვი, რომ სწორედ აქ მზადდებოდა მავნე პროდუქცია. რომ არა გამომძიებლის ასეთი ოპერატიული მოქმედება, დიდი ალბათობით, მოქალაქეთა მიერ ამ პროდუქციის მოხმარებას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. სწორედ ამიტომ გაუმართლებელი იქნებოდა სასამართლოს განჩინებისათვის დალოდება).

გადაუდებელი აუცილებლობის დროს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას, პროკურორი მისი ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში აცნობებს საამისოდ უფლებამოსილ მოსამართლეს, გადასცემს მას საქმის მასალებს. მასალების შესვლიდან 24 საათში მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს პროკურორის შუამდგომლობას. მოსამართლე ამოწმებს საგამომძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებას, იმას, თუ რამდენად გადაუდებელი იყო მოქმედების ჩატარება; მოსამართლეს შეუძლია ასევე გამოიძახოს გამომძიებელი და ამის შემდეგ მას გამოაქვს განჩინება საგამომძიებო მოქმედების კანონიერად, ან მისი უკანონოდ ცნობის შესახებ. თუ მოსამართლემ უკანონოდ სცნო საგამომძიებო მოქმედება, ამ მოქმედებით მოპოვებული ყველა მტკიცებულება ბათილია.

საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინება: სასამართლოს განჩინება საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება საგამომძიებო მოქმედება. თუ საგამომძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს, ასეთ შემთხვევაში ეს საკითხი შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამომძიებლის ადგილის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ.

სასამართლო განჩინებაში ფორმალური მონაცემების (განჩინების შედეგის თარიღი, ადგილი, მოსამართლის ვინაობა, შუამდგომლობის ინიციატორი, მოსამართლის ხელმოწერა, ელექტრონული ხელმოწერის ჩათვლით) გარდა უნდა აღინიშნოს:

- ა) განჩინების შინაარსი – ე.ი. მოსამართლის განკარგულება საგამომძიებო მოქმედების ჩატარების ან მის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ;
- ბ) საგამომძიებო მოქმედების შინაარსობრივი აღწერა, პირები, რომლებზეც ვრცელდება ეს საგამომძიებო მოქმედება, ადგილების ზუსტი მითითებით;
- გ) განჩინების მოქმედების ვადა;
- ე) პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა აღასრულოს განჩინება, ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედება.

ჩხრეკა/ამოღების განჩინებაში ასევე მიეთითება ქონება (მისი სახე და ზუსტი მდებარეობა), სადაც ჩატარდება საგამომძიებო მოქმედება და ამ ქონების გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელი (თუ ასეთი ცნობილია). პირადი ჩხრეკის დროს განჩინებაში აღინიშნება გასაჩხრეკის ვინაობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი). ჩხრეკა/ამოღების დროს ასევე მიეთითება სავარაუდოდ აღმოსაჩენი ან/და ამოსაღები საგანი, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, აღიწერება განჩინებაში. აქ ასევე მიეთითება, რისი გაკეთების უფლება აქვს საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელს წინააღმდეგობის გაწევსას, ე.ი. რა ზომით აქვს მას იძულების გამოყენების უფლება.

ჩხრეკა/ამოღების განჩინება ბათილია, თუ ეს მოქმედება არ ჩატარდება განჩინების გამოტანიდან 30 დღის ვადაში.<sup>3</sup>

კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის შინაარსის შესატყობად, როგორც წესი, ხდება ამ გზავნილის დაყადაღება და ამოღება. თუ ცნობილია, ასეთ განჩინებაში უნდა მიეთითოს გამგზავნისა და მიმღების ვინაობა, ასევე უნდა მიეთითოს მათი მისამართები, რა სახის გზავნილი უნდა დაყადაღდეს, ყადაღის ვადა და დაწესებულება, რომელსაც ევალება დააკავოს გზავნილი, ასევე, გამომძიებლის უფლებამოსილება – დაათვალიეროს და ამოიღოს იგი.

საგამომძიებო მოქმედების შესახებ შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიაში, მისი აღსრულებიდან 48 საათში. საჩივარი შედის განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს მაშინვე უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.

**Irakli Imerlishvili**

Doctor of Laws

## **Investigative actions carried out by the court decision**

### **Abstract**

Bodies of the case and authorized subjects of private investigation (prosecution, defendant) will be able to conduct investigative actions useful to them when human rights guaranteed by the constitution are curtailed, even if the magistrate judge receives permission to do so. The paper deals with the regulation not only of the ruling of the court, but also of the procedures to be followed by the ruling of the magistrate in case of urgency.

---

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, გვ. 254;

**მიხეილ მამნიაშვილი**  
სტუ-ის პროფესორი, სამართლის დოქტორი  
**გიმზერ ალანია**  
სტუ-ის პროფესორი, სამართლის დოქტორი

## **წინასასამართლო გამოძიების თავისებურებები საფრანგეთსა და გერმანიაში**

### **აბსტრაქტი**

საფრანგეთისა და გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კონტინენტური სამართლის სისტემის მოდელია, ამიტომაც ინგლისურ-ამერიკული საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მათთვის დამახასიათებელია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების არსებობა, ამასთანავე ნიშანდობლივია ისიც, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით წინასწარ გამოძიებას აწარმოებს გამოძიების მოსამართლე, რომელიც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელია, თუმცა ის ვალდებულია შეასრულოს პროკურორის მითითებები. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა 1950 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მათ შორის – წინასწარი გამოძიების ინსტიტუტმა. დღეისათვის, უმრავლეს შემთხვევაში, გერმანიაში წინასწარი გამოძიება ხორციელდება პოლიციისა და პროკურორის მიერ მოკვლევის ფორმით.

### **ძირითადი ნაწილი**

საფრანგეთისა და გერმანიის სისხლის საპროცესო კანონმდებლობა კონტინენტური, რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის მოდელია და საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით დამახასიათებელია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ინსტიტუტების არსებობა, ამასთანავე არ არსებობს მტკიცებულებათა სტანდარტებიც და თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლე ვალდებულია დაადგინოს ჭეშმარიტება, რა მიზნითაც სასამართლო გამოძიების პროცესზე აუცილებელია გამოიკვილოს საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და მტკიცებულება.

ჭეშმარიტების კონცეფციის არსი მდგომარეობს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის შესაძლებლობის უარყოფაში, თეორიტიკოსების შეხედულებით სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტებას უნდა ეწოდოს სუბიექტური, ვინაიდან იგი დამოკიდებულია სუბიექტის თავისებურებებზე. ყოველი ადამიანისათვის ჭეშმარიტება არის ის, რასაც იგი მიიჩნევს ჭეშმარიტებად. მოსამართლე მხოლოდ ცდილობს მიუახლოვდეს ობიექტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იმაზე მეტს, ვიდრე ჭეშმარიტებაში სუბიექტური თვითდარწმუნებაა, მას არ შეუძლია მიაღწიოს და ეს არცაა საჭირო სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გუცენკო კ.ვ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, სამეცნიერო რედაქტორი რ. გოგშელიძე, თბილისი 2007, გვ. 518–519;

საფრანგეთის სისხლის სამართალწარმოება „შერეული“ ტიპის პროცესია, რომლისთვისაც დამახასიათებელია წინასასამართლო გამოძიების მკვეთრი დაყოფა საიდუმლო და არაშეჯიბრებითობის ფორმით და, რაც მთავარია, სასამართლო განხილვის ზეპირობითი და შეჯიბრებითობის პროცედურებით<sup>2</sup>.

უმრავლეს შემთხვევაში, პროკურორები სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ პოლიციის მუშაკების მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე. წინასწარ გამოძიებას უმეტესწილად აწარმოებენ სასამართლო პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც უფლება აქვთ დამოუკიდებლად ჩაატარონ წინასწარი მოკვლევა; ცალკეულ საპროცესო მოქმედებების ჩატარების უფლება აქვთ ასევე აგენტებსა და სხვა თანამდებობის პირებს. განსაკუთრებით დიდი უფლებამოსილება აქვთ სასამართლო პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც ნებადართულნი არიან ე. წ. ხილვადი (აშკარა) დანაშაულის ჩადენისთანავე, დამოუკიდებლად ჩაატარონ გამოძიება. თანამდებობის პირები და სასამართლო პოლიციის აგენტები მოქმედებენ რესპუბლიკის პროკურორის ხელმძღვანელობით, ატარებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომლებიც მიმართულია დამნაშავის მხილების, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისაკენ.

წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, ეტაპია, ხოლო პოლიციელის მიერ მასალების მოკვლევის შემდეგ, წინასწარ გამოძიებას ახორციელებს სასამართლო გამომძიებელი, რომელიც ორგანიზაციულად ექვემდებარება სასამართლო ინსტანციებს, თუმცაღა, თავისი ფუნქციის აღსრულებისას, პროცესუალურად, ის მაინც პროკურორზეა დამოკიდებული. სასამართლო გამომძიებელი ყველაზე უფრო მკვეთრი კლასიკური გამოვლენაა, წინასასამართლო გამოძიების პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის განსახორციელებლად, მაგრამ, სინამდვილეში, წინასწარი გამოძიება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეჯიბრებითობა არაა. სასამართლო გამომძიებელი, მხარეთა მოთხოვნით, ახორციელებს პროცესუალურ მოქმედებათა ძირითად მასას, ამასთანავე, პროკურორის მოთხოვნა მისთვის სავალდებულოა.

საფრანგეთში წინასწარი გამოძიება ატარებს სასამართლო ხასიათს (მიეკუთვნება სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას); გამომძიებელი და სასამართლო მოწოდებულნი არიან საქმის ირგვლივ დაადგინონ ჭეშმარიტება, ხოლო პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში, როგორც ერთ-ერთი მხარე, უჭერს მხარს ბრალდებას.

საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, პირის დაპატიმრების გადაწყვეტილებას იღებენ განსაკუთრებული თანამდებობის პირები, – „გათავისუფლებისა და დაპატიმრების მოსამართლეები“.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორის უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა. მას უფლება აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ჩაერიოს და განახორციელოს გამოძიების ფუნქცია, ან დაავალოს სასამართლო გამომძიებელს (წერილობითი მითითებით) ჩაატაროს ისეთი მოქმედება, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია.

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ, სასამართლო გამომძიებელი საქმის წარმოებას გადასცემს რესპუბლიკის პროკურორს. თუ კი პროკურორი მიიჩნევს, რომ გამოძიება სრულყოფილადაა ჩატარებული, ამის შემდეგ სასამართლო გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება საქმის შესაბამის სასამართლო ინსტანციაში წარმართვის შესახებ, ხოლო თუ კი პირზე

<sup>2</sup> Kock G.; The French code of criminal procedure. Publisher: F. B. Rothman. 1964



წარდგენილი ბრალდება დაუსაბუთებელია, ან ბრალეულობის მტკიცება არასაკმარისია – წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას<sup>3</sup>.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა 1950 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მათ შორის, წინასწარი გამოძიების ინსტიტუტმა. დღეისათვის, უმრავლეს შემთხვევაში, გერმანიაში წინასწარი გამოძიება ხორციელდება პოლიციისა და პროკურორის მიერ მოკვლევის ფორმით. პროკურორის ჩატარებული მოკვლევა წარმოებს პოლიციის სამსახურების მონაწილეობით. ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული საგამომიებო მოქმედება ხორციელდება საუბნო მოსამართლეების მიერ. მოკვლევის ამოცანაა, გაირკვეს ეჭვის არსებობა, იმისათვის, რომ შემდგომში გადაწყდეს საჯარო ბრალდების აღძვრის საკითხი.

მოკვლევაში იგულისხმება საგამომიებო მოქმედებათა სრული ჩატარება და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. პროკურორს უფლება აქვს ხელისუფლების ყველა საჯარო ორგანოს მოსთხოვოს სხვადასხვა ცნობა, დამოუკიდებლად განახორციელოს გამოძიება, ხელისუფლების ორგანოს ანდა პოლიციის სამსახურის მუშაკების დახმარებით. ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან შეასრულონ პროკურორის მოთხოვნები. პროკურორი ჰკითხავს ბრალდებულს, მოწმეებს, მოწმეები და ექსპერტები ვალდებული არიან გამოცხადენ გამომძიებელთან და მისცენ ჩვენებები ან წარუდგინონ დასკვნები. აუცილებელ, გადაუდებელ შემთხვევაში, მას შეუძლია ჩაატაროს საპროცესო იძულებითი ღონისძიებები, კერძოდ, ამოღება, ჩხრეკა, დაკავება, გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ.

აღნიშნულ სტადიაზე არსებითადაა შეზღუდული ბრალდებულის უფლებები დაცვაზე, კერძოდ, აკრძალულია მიმოწერები, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთან შეხვედრა, საერთოდ, ეკრძალება მათ შორის რაიმე კონტაქტი; შეზღუდულია ასევე მოქალაქეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული ისეთი უფლებები, როგორებიცაა საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, პირადი თავისუფლება, რადგანაც დასაშვებია საცხოვრებელი ბინის ჩხრეკები.

საინტერესოა, რომ გერმანიაში კატეგორიულად უარყოფილია საპროცესო მხარის ცნება და, შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი. დაშვებულია, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირები ვალდებული არიან, მიიღონ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი, მათზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება დამნაშავეს მხილებისა და ჭეშმარიტების დასადგენად. აქედან გამომდინარე, გერმანელი პროცესუალისტები, გერმანულ სისხლის სამართლის პროცესს განსაკუთრებულ ტიპს აკუთვნებენ, რომელიც განსხვავდება არა მარტო შერეული, არამედ შეჯიბრებითობის პროცესისაგან და მას განმარტავენ, როგორც „საბრალდებო-საგამომიებოს“, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორმა უნდა აღძვრას საჯარო ბრალდება, ხოლო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული ყველა გარემოება და მტკიცებულება<sup>4</sup>.

მოკვლევა მთავრდება ორი ფორმით: 1) პროკურატურის მიერ საჯარო ბრალდების აღძვრა და საქმის სასამართლოში წარმართვა; 2) სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, განხვავებული ფორმით, ყველა ქვეყანაში აქტუალურ თემად გვევლინება, რადგან იგი დანაშაულებრივი ქმედების წარმატებით გამოძიების ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების კანონში „დაზვერვითი მონაცემების მიღების მიზნით სათვალთვალო ელექტრონული საშუალებების

<sup>3</sup> Kock G., The French code of criminal procedure. Publisher: F. B. Rothman. 1964.

<sup>4</sup> Krey V.; German criminal procedure law. Stuttgart. 2009.

გამოყენებისა და ფარული დათვალიერების ჩატარების შესახებ“ აღნიშნულია, რომ სათვალთვალოდ ელექტრონული საშუალებების გამოყენებასა და ფარულ დათვალიერებაზე სანქციას ანუ ორდერს იძლევა ამერიკის უმაღლეს სასამართლოსთან შექმნილი საბჭო, ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. მათ იურისდიქციაში შედის განცხადებების მოსმენა და განკარგულებების გაცემა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით თვალთვალისა და ჩხრეკის ჩატარებაზე. კანონის თანახმად, უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვის მიზნით, დადგენილი წესით განხორციელებული მოსმენის შესახებ ოქმები ინახება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან (ცსს-ს დირექტორთან, იუსტიციის მინისტრთან და გენერალურ პროკურორთან შეთანხმების შემდეგ). ორდერი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ფარულ თვალთვალსა და ჩხრეკაზე გაცემა იმ ვადით, რა დროც საჭიროა მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა უცხო ქვეყნის აგენტზე, და არა უმეტეს ერთი წლისა უცხო ქვეყანაზე. ინფორმაციას, რომელიც მიიღება ელექტრონული საშუალებებით თვალთვალისა და ჩხრეკის შედეგად, შეიძლება იყენებდეს ეროვნული უშიშროების უწყების თანამშრომელი მხოლოდ კანონიერი მიზნების მისაღწევად. სასამართლო განხილვის დროს ამ გზით მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება გამოიყენებოდეს სამართლებრივი მიზნებისთვის გენერალური პროკურორის მიერ წინასწარ გაცემული ნებართვის გარეშე.

გერმანიის კრიმინალური პოლიციის საქმიანობაში ფარული ვიდეოჩანაწერების გამოყენების აუცილებლობის საკითხები კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. როგორც ცნობილია, ვიდეოტექნიკა იწერს გამოსახულებასა და ხმას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელი დანაშაულის კვალთა აღმოჩენაში, მტკიცებულებათა ფორმირებაში, შეკრებასა და ფიქსაციაში. თუ მტკიცებულებათა დამაგრების წერილობითი ფორმა ითხოვს დამატებით ახსნას, ვიდეოგამოსახულებას ეს აუცილებლობა არ ესაჭიროება, რადგან იგი იძლევა მომხდარი დანაშაულის დეტალურ და უფრო დამაჯერებელ სურათს. ოპერატიული, ასევე ტაქტიკური შეხედულებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი, ვადაზე ადრე გაცხადდეს მოწმის პიროვნება საშიში დამნაშავის წინაშე. მისი ამოცნობის დამაჯერებლობის დასადასტურებლად და მოწმეთა ჩვენებებში წინააღმდეგობის აღსაკვეთად დამნაშავეთა წინაშე შეიძლება ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება ტელეეკრანზე, რაც მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა. სამართლებრივი მოსაზრებებით, მართალია, ყოვლისმომცველი ვიდეოჩანაწერებით სარგებლობა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეზღუდულია, თუმცა მათი გამოყენება საფუძვლიან დამატებად შესაძლებელია პროცესუალური მტკიცებულებების დამაგრებისას. „ვიდეოდაკითხვის“ გამოყენებას (მისი შემდგომი გაშიფრვისა და წერილობითი დამაგრების შემდეგ) აქვს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებითი ძალა, განსაკუთრებით, თუ დაკითხული პირების მხრიდან არ არის წინააღმდეგობა<sup>5</sup>.

ასეთია მოკლედ ის თავისებურებები, რომლებიც საფრანგეთისა და გერმანიის წინასასამართლო გამოძიებას ახასიათებს.

<sup>5</sup> kriminalistik, 1990,7, p. 345-347.

**Mikheil Mamniashvili**  
Professor of GTU, Doctor of Laws  
**Gimzer Alania**  
Professor of GTU , Doctor of Laws

## **Features of preliminary investigation in France and Germany**

### **Abstract**

Criminal Procedure Legislation of France and Germany present the model of continental law system, thus different from procedure legislation of England and U.S., they are characterized with existence of scrutiny and preliminary investigation, besides, it is worth to mention, that under the Criminal Procedure Legislation of France, the preliminary investigation is being performed by investigating judge, which represents the judicial authority, though he is obliged to fulfil the prosecutor`s indications. Since 1950, Criminal Procedure Code of Germany has undergone the significant changes, which also affected the institute of preliminary investigation. Today in Germany, most of preliminary investigations are held by prosecutor under the scrutiny form.

## ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებების გამო

### აბსტრაქტი

დღეს მსოფლიო დგას ახალი გამოწვევის წინაშე, როგორცაა ე.წ. COVID-19, რომელმაც ეკონომიკურ-სამართლებრივი კრიზისი შექმნა, მსოფლიო დააყენა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე.

კერძო ხელშეკრულებების კონტექსტში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ 2020 წლის 30 იანვარს COVID-19-ის პანდემიად კლასიფიკაციის ფაქტი, ქართულ სასამართლოს დაეხმარება დააკვალიფიციროს COVID-19, როგორც ფორსმაჟორული გარემოება.

ვალდებულების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება ვალდებულების დარღვევაა, რისთვისაც მოვალე პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე. ვალდებულების დარღვევის ცნება არ შემოიფარგლება ხელშეკრულების დარღვევით, იგი ასევე მოიცავს კანონისმიერი ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა დარღვევებს.

მნიშვნელოვანია, რა გარემოებები უნდა მივიჩნიოთ საკმარისად პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. ქართულ სინამდვილეში კომპანიები ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოების ცვლილების შემთხვევაში ავტომატურად იხსნიან შესრულების ვალდებულებას. მაგალითად, ზოგიერთმა სამშენებლო კომპანიამ უარი განაცხადა ვალდებულების შესრულებაზე ან შესრულება გადაავადა გაურკვეველი დროით. ეს პრობლემა საკანონმდებლო მოწესრიგების შედეგად უნდა იყოს განხილული.

### ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ მხარე განთავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისგან, საჭიროა, გარკვეული გარემოებები და წინაპირობები კუმულაციურად არსებობდეს: მოვლენა თავისი ბუნებით უნდა იყოს განსაკუთრებული, იგი უნდა იყოს მხარეთა კონტროლს მიღმა, არ უნდა იყოს განჭვრეტადი შესაბამისი ხელშეკრულების დადების მომენტში და მნიშვნელოვან ზეგავლენას უნდა ახდენდეს ხელშეკრულების შესრულებაზე ან შეუძლებელს უნდა ხდიდეს მის შესრულებას.

საქართველოს მთავრობამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რამაც გააადვილა ფორსმაჟორის საფუძვლით ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება. ყოფილა შემთხვევები, როცა კომპანიები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ავტომატურად იხს-

ნიან შესრულების ვალდებულებას. არ ხდება კონკრეტული მოვლენის შეფასება კონტრაქტორის რეალურ შეუძლებლობასთან<sup>1</sup>. ფორსმაჟორს საქართველოს კანონმდებლობა მშრალად განმარტავს და ახასიათებს მხოლოდ ორი ნიშნით. პირველი – ეს არის საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება და მეორე – მოვლენა, რომლის დადგომა პირის ნებაზე დამოკიდებული არ არის<sup>2</sup>.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე შესაძლოა სუბიექტს აეკრძალოს კონკრეტული ქმედება, რომლითაც მას ხელი შეეშლება მესამე პირის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში, ან ის სამუდამოდ შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება საზოგადოებრივი წესრიგის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა, იგი არაა სრული გარანტი იმისა, რომ ყველა ვალდებულება ხელშეკრულების შესაბამისად შესრულდება. კონტრაქტები ითვალისწინებენ იმასაც, რომ ვალდებულება შესაძლოა ვერ შესრულდეს ან არაჯეროვნად შესრულდეს.

ვალდებულების დარღვევა შესაბამისი ზიანისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის, პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებია: მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ადგილი უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ხელშეკრულების დებულებების დარღვევის გზით, სახეზე უნდა იყოს დამდგარი ზიანი, ეს ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან და ვალდებულების დარღვევა უნდა იყოს ბრალეული. ვალდებულების დარღვევა, შეუსრულებლობა, სამოქალაქო ბრუნვისათვის ნორმალური რისკია<sup>3</sup>, მაგრამ ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ურთიერთ-ვალდებულება ირღვევა, როცა ერთი მხარე მიზეზებისაგან დამოუკიდებლად ხელშეკრულებას სრულად არ ასრულებს, ან ასრულებს დაგვიანებით, ან ასრულებს შეუთანხმებელ ადგილას, ან ასრულებს სხვაგვარად ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო შეთანხმებით. იგი მოიცავს ვალდებულების დარღვევას რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამიტომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას<sup>4</sup>.

ვალდებულების შეუსრულებლობა, ისევე როგორც არაჯეროვანი შესრულება, ვალდებულების დარღვევაა, რისთვისაც მოვალე პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე. თუ ვალდებულება მოვალის მიერ ქმედების განხორციელების მოვალეობაა, პასუხისმგებლობა კრედიტორის შესაძლებლობაა აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულება<sup>5</sup>. თუმცა ეს პრინციპი არ მოქმედებს, თუ მოვალეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში ხელს უშლის გარემოებები, რომლებიც მხარეთა ნების გამოვლინების თანახმად, არ შედის მისი რისკის სფეროში<sup>6</sup>.

<sup>1</sup> მოწონელიძე ნ., ფორსმაჟორის დროს ვალდებულების შეუსრულებლობა და მისი სამართლებრივი შედეგები, კერძო სამართლის მიმოხილვა ჟურნალი, №1, 2015, გვ. 47.

<sup>2</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>3</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, 80.

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>5</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, ნაწილი I, თბილისი, 2011, გვ. 17.

<sup>6</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ე.სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, გვ. 208.

ვალდებულების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების შეწყვეტა. ვალდებულება შეიძლება შეწყდეს: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, ვალდებულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევისას, ასევე ვალდებულების შესრულების აზრის დაკარგვის შემთხვევაში. ვალდებულების შესრულება შეუძლებელია თუ განადგურდა ან მოიპარეს ნივთი, რომელიც გამყიდველს მყიდველისთვის უნდა გადაეცა<sup>7</sup>, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადაგადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.<sup>8</sup> აღნიშნული მუხლი შეიძლება ასე განიმარტოს: ვალდებულება არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ არ შესრულდა ვალდებულება ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. გერმანული სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სამ შემთხვევას განიხილავს: „რეალურ შეუძლებლობას“, „პრაქტიკულ შეუძლებლობას“ და „პირად შეუძლებლობას“<sup>9</sup>. რეალურია შეუძლებლობა, როცა ვალდებულების შესრულება პირადად მოვალისათვის ან ყველა სხვა პირისათვის შეუძლებელია და ამ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა ვალდებულების შესრულებაზე ისპობა. პრაქტიკულ შეუძლებლობაში იგულისხმება, როცა მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ ეს ისეთ ხარჯებს მოიცავს, რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით აშკარა შეუსაბამობაშია კრედიტორის ინტერესთან ვალდებულების შესრულების მხრივ. პირად შეუძლებლობაში იგულისხმება, როცა მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ ეს ვალდებულება მან პირადად უნდა შეასრულოს და მისი შესრულება, ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის შეფასების საფუძველზე, მას არ მოეთხოვება. ვალდებულება შეწყდება თუ მიზანი ვალდებულების შესრულების გარეშე მიიღწევა. ამ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია ვალდებულების შესრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევა, რადგან ეს მიზანი უკვე მიღწეულია აღნიშნული ვალდებულების შესრულების გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მოვალე მზად არის და შეუძლია შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ ვალდებულების შესრულებას აზრი არ აქვს, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა სხვა საშუალებით მოხდა. ამ შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესი დაკმაყოფილებულია. დაბოლოს, ვალდებულება შეწყდება თუ ვალდებულების შესრულებამ აზრი დაკარგა. სანამ სამაშველო ჯგუფი მოვიდა, გემი ჩაიძირა. ე. ი. ვალდებულების შესრულების ობიექტი აღარ არსებობს, რომლის გამოც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას ადგილი აქვს ხელშეკრულების დადების შემდეგ. თუ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემდეგ გახდა შეუძლებელი შესრულება, მოვალე ყოველთვის აგებს პასუხს. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუმცა, თუ მოვალეს ბრალი არ მიუძღვის პატივსადები საფუძვლის გამოწვევაში, იგი წარმატებით

<sup>7</sup> მარიამიძე გ., ვალდებულებითი სამართალი, ნაწილი II, თბილისი, 2013, 85.

<sup>8</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 401-ე მუხლი.

<sup>9</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 275-ე მუხლი.

შეწყვეტს ხელშეკრულებას და იმავდროულად, გათავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან,<sup>10</sup> მაგრამ კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ მხარეებმა მოითხოვონ უკვე დადებული ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი. ეს დასაშვებია მაშინ, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა. გარემოებათა აშკარა ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს საქონელზე ფასების მკვეთრი შეცვლა, შრომის ანაზღაურების მკვეთრი მერყეობა, სახელმწიფოს მიერ გაუთვალისწინებელი გადასახადების შემოღება და სხვა<sup>11</sup>. თუ მხარეები არ მიუსადაგებენ ხელშეკრულებას შეცვლილ გარემოებებს, მაშინ ხელშეკრულება არ შეწყდება, მაგრამ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრი დაცვა. ეს იმას გულისხმობს, რომ მხარემ, რომელმაც გარემოების მნიშვნელოვნად შეცვლის გამო ვერ შეძლო სამუშაოს სრულად შესრულება, არ უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა.

მხარეები უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გარემოებათა შეცვლა გამოწვეული უნდა იყოს ისეთი მიზეზებით, რომელთა აცილება მხარეებს არ შეეძლოთ. გარემოებათა შეცვლა არ არის დაუძლეველი ძალა, რადგან ის არ იწვევს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. საერთოდ, ხელშეკრულების შესრულება შეიძლება, მაგრამ ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაირღვევა მხარეთა ინტერესების ბალანსი. ხელშეკრულება არ ბათილდება, თუ შესრულებასთან დაკავშირებული სიძნელებები არ სცილდება ჩვეულებრივი სახელშეკრულებო რისკების ჩარჩოებს. ერთ-ერთი მხარე შეიძლება შეეწინააღმდეგოს ხელშეკრულების მოშლას, თუ შესთავაზებს ხელშეკრულების შეცვლის ადეკვატურ პირობებს. მაგალითისათვის, საქმე ეხება სამშენებლო კომპანიას, რომელმაც აიღო მესაკუთრის საცხოვრებელი ფართის დემონტაჟის, ახალი საცხოვრებელი სახლის აშენებისა და საცხოვრებელი ფართის გადაცემამდე მესაკუთრისათვის ბინის ქირის გადახდის ვალდებულება. გააფორმეს ხელშეკრულება. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით აღმოჩნდა, რომ მესაკუთრის კუთვნილება არ იყო მიწის ნაკვეთის ის ფართობი რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. ამ ფაქტმა წარმოშვა შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობა. მესაკუთრეს მიეცა ვადა პასუხისათვის. მესაკუთრემ სამშენებლო კომპანიის ყველა შეთავაზებაზე უარი განაცხადა. სამშენებლო კომპანიამ ნაწილობრივ შეწყვიტა ხელშეკრულება. მესაკუთრემ უჩივლა სასამართლოში სამშენებლო კომპანიას ხელშეკრულების დარღვევის გამო, ხოლო მოპასუხის შეთავაზება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ იმსჯელა და დაასკვნა, სამშენებლო კომპანიის მიერ მშენებლობის დაწყება მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ფერხდებოდა სწორედ ამ უკანასკნელის არამართლზომიერი ქმედებით. მოსარჩელის უარი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე და შეცვლილი პირობებით სახელშეკრულებო ურთიერ-

<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 399 მუხლი.

<sup>11</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999, გვ. 58.

თობის გაგრძელებაზე, განუსაზღვრელი ვადით აყოვნებდა სამშენებლო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მშენებლობის დასრულების ვალდებულების შესრულებას, რითაც ხელშეკრულების ძირითადი მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. სასამართლომ სამშენებლო კომპანიის მიერ ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტა ქირის გადახდის ვალდებულების ნაწილში, გამართლებულად მიიჩნია და მესაკუთრის სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა<sup>12</sup>.

სასამართლოების ამოცანაა, აღმოფხვრას ხარვეზები ხელშეკრულებებში იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს გარკვეული შეცვლილი გარემოებების შემდგომ დადგომა, ან თუ გაითვალისწინეს არ დაარეგულირეს სათანადოდ.

შეცვლილი გარემოებებით, ხელშეკრულებისათვის კატასტროფული შედეგების შემთხვევაშიც კი, მასზე უარი შესაძლებელია მხოლოდ „დაუძლეველი ძალის“ დადგომის შემთხვევაში.

ხელშეკრულების დადების დროს მიზანშეწონილია განისაზღვროს ზუსტი ჩამონათვალი ფორსმაჟორს მიკუთვნებული მოვლენებისა, რომლითაც მხარეები შეძლებენ, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი გაუგებრობანი.<sup>13</sup>

ხშირად ფორსმაჟორს აიგივებენ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, თუმცა მოსაზრება შეუძლებლობისა და დაუძლეველი ძალის ეკვივალენტურობის შესახებ მცდარია.<sup>14</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანული სასამართლოები შეეჯახნენ მათთვის უპრეცედენტო პრობლემას - მილიონობით ადამიანმა დატოვა თავისი სამშობლო. ომმა ამოგდო ისინი ცხოვრების კალაპოტიდან, გაანადგურა მათი საცხოვრებელი. მათი საწარმოების უმეტესობა განადგურდა, დემონტაჟი განიცადა, ის, რაც ქვეყნის აღმოსავლეთში დარჩა, ნაციონალიზებული იქნა. ასეთ ვითარებაში შეცვლილი გარემოების პრობლემამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.<sup>15</sup> კანონმდებლობა სასამართლოებს ვერ დაეხმარებოდა. სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებული დახმარების შესახებ კანონის მიღების შემდეგ 1952 წელს მოვალეს მოეთხოვა, რომ სასამართლოსთვის ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის შემდეგ მოსამართლეს ნება დაერთო ვალდებულებათა შესრულების გადავადებისა 1948 წლის ფულად რეფორმამდე დადებულ ხელშეკრულებებში პასუხისმგებლობა შეეზღუდა. მოსამართლემ უნდა დააკმაყოფილოს მოცემული მოთხოვნა, თუ აღმოჩნდება, რომ მოვალის მიერ ხელშეკრულების დროული და სრული შესრულება ურთიერთინტერესებისა და მხარეთა მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელია.

შეცვლილი გარემოება უნდა სცდებოდეს მხარეთა გონივრულ მოლოდინს. თუ გარემოებათა ცვლა მოსალოდნელი იყო, მაშინ აღარ არსებობს იმ მხარის დაცვის აუცილებლობა,

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება № ას-793-742-2017.

<sup>13</sup> Mckendrick E., Contract Law, Text, Cases and Materials, Third edition, Oxford, 2008, p. 404.

<sup>14</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 217.

<sup>15</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, გვ. 214.



რომელსაც შეეძლო განეჭვრიტა სახელშეკრულებო რისკები და შესაბამისად დაერეგულირებინა. დასაშვებობის კუთხით გარემოებათა ცვლილება ყოველთვის მოსალოდნელია. მოულოდნელობაში არ იგულისხმება დასაშვებობა. გარემოებათა ცვლა მოულოდნელია, თუ მოვლენათა ნორმალური განვითარების პირობებში მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა<sup>16</sup>. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ეს შეიძლება იყოს როგორც მოვალე, რომელსაც გაურთულდა ვალდებულების შესრულება, ისე კრედიტორი, რომელმაც ინტერესი დაკარგა შესრულების მიღებისადმი<sup>17</sup>. თუ ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია ან ერთ-ერთი მხარე დაუსაბუთებელ უარს აცხადებს მისადაგებაზე, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

## დასკვნა

მხარე თავისუფლდება მხოლოდ იმ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისაგან, რომელზეც უშუალო ზეგავლენას ახდენს ფორსმაჟორული გარემოება, მაგრამ ვალდებულებების შესრულებისგან სრული განთავისუფლება ავტომატურად არ ხდება. გასათვალისწინებელია კონკრეტული მოვლენის დროებითი ან მუდმივი ხასიათი, ვალდებულების შეუსრულებლობაზე ზეგავლენის შეფასება და ამ მოვლენის ფორსმაჟორად კვალიფიკაცია.

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით რეკომენდებულია სახელშეკრულებო პირობების ცვლილებაზე მოლაპარაკებების წარმოება მეორე მხარესთან, რათა თავიდან იყოს აცილებული სასამართლო დავა, ასევე ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულების ალტერნატიული გზების მოფიქრება და მოსალოდნელი ზიანის შემცირება ფორსმაჟორიდან გამომდინარე.

ფორსმაჟორის დასადასტურებლად შესაძლოა სხვადასხვა სახის მტკიცებულებების გამოყენება – სახელმწიფოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, მედია ნიუსები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობები და სხვა.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფორსმაჟორის არსებობა არ წყვეტს მხარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხს, რაც დავის შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანია.

ფორსმაჟორის არსებობამ მხარე შეიძლება გაათავისუფლოს მეორეული ვალდებულების და არა ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

თუ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება შეუძლებელია, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნას მკაცრი სტანდარტი აქვს, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებები აშკარად შეიცვალა; გარემოებები წარმოიშვა მხარის კონტროლს მიღმა, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო და ხელშეკრულების გართულება სწორედ ამ შეცვლილი გარემოებით არის განპირობებული.

<sup>16</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 398-ე მუხლი, 2019, გვ. 620.

<sup>17</sup> ტაბატაძე გ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 2013, გვ. 34.

**Exemption from Responsibility for Violation of Obligation Due  
to Significantly Altered Circumstances**

**Abstract**

Today, the world is facing a new challenge such as the so-called. COVID - 19 Coronavirus, which created an economic-legal crisis. The world is facing an economic catastrophe.

In the context of private agreements, the World Health Organization's (WHO) classification of COVID-19 as a pandemic on January 30, 2020, will help the Georgian court qualify COVID-19 as a "force majeure" circumstance.

Failure of obligations as well as improper performance is the violation of the obligation for which the debtor shall be liable to the creditors. The concept of the violation of the obligation is not limited with breach of contract. It also includes the violation of obligations arising from legal relationships.

It is important what the circumstances should be considered for exemption from liability. In Georgian reality, the companies automatically resign their obligation in case of changes of the circumstances envisaged by the agreement. For instance, some construction companies refused the obligations or postponed the performance of the obligations indefinitely. This problem shall be considered as a result of legislative resolution.

**„სტრატეგიული მართვა“, როგორც იურიდიული პირის  
გრძელვადიანი არსებობის გარანტი**

**აბსტრაქტი**

მეწარმე სუბიექტების განვითარებისათვის უცილებელია ფორმალური რეგულაციების აღმოფხვრა, ბიუროკრატიის შემცირება და იმგვარი, მოქნილი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება, რომლებიც სამეწარმეო ურთიერთობების ეფექტურობის გაზრდას და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. გარდა ზემოაღნიშნული გამოწვევისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამეწარმეო სუბიექტებისათვის იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც ისინი, გარდა წარმატებული ბიზნეს საქმიანობისა, შეძლებენ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, ისეთების, როგორებიცაა გარემოს დაცვითი აქტივობები, ქველმოქმედება, ეს ყოველივე ბიზნესოპერატორების საქმიანი რეპუტაციის ამაღლებას და ბაზარზე ცნობადობის გაზრდას უზრუნველყოფს. თუმცა მხოლოდ გარე ფაქტორები ვერ უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტის მდგრად განვითარებას და მის წარმატებულ ეკონომიკურ საქმიანობას. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთრივ იურიდიული პირის მენეჯმენტზე, ადმინისტრაციულ რესურსზე, საქმიანობის ტიპზე და ა.შ.

მოცემულ სტატიაში განხილულია იურიდიული პირის სტრატეგიული მართვის საკითხები, შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები. იურიდიული პირის სწორი და გააზრებული მართვა, მისი გრძელვადიანი არსებობის გარანტიად იქცევა. ჩვენი მიზანია, ცხადია, არის ის, რომ რაც შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს ორგანიზაცია, რათა მან შეასრულოს, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ფუნქცია ქვეყნის განვითარებაში.

**ძირითადი ნაწილი**

თანამედროვეობის მიღწევები, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ტექნიკურ პროგრესს უკავშირდება და განსაკუთრებით ხელს უწყობს გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესის კიდევ უფრო დაჩქარებას, თავის მხრივ, სამეწარმეო ურთიერთობების საერთაშორისო დონეზე განვითარებას და მეწარმეობისათვის ადგილობრივი საზღვრებიდან გასვლას ასტიმულირებს. მეწარმე ოპერატორებისათვის, როგორც სახელმწიფო საწარმოებისათვის, ისე კერძო მეწარმეებისათვის, უმნიშვნელოვანესია საქმიანი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად სამართლებრივი ურთიერთობების ერთიანი რეგულირების რეჟიმის დამკვიდრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე, შეუძლებელია სახელმწიფომ განავითაროს ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ქვეყნის მდგრად განვითარებაზე იქნება პასუხისმგებელი. ამასთანავე, აუცილებელია ფორმალური რეგულაციების აღმოფხვრა, ბიუროკრატიის შემცირება და იმგვარი, მოქნილი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება, რომლებიც სამეწარმეო ურთიერთობების ეფექტურობის გაზრდას, და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს.

გარდა ზემოაღნიშნული გამოწვევისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამეწარმეო სუბიექტებისათვის იმგავრი გარემოს შექმნა, სადაც ისინი გარდა წარმატებული ბიზნეს საქმიანობისა, შეძლებენ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, ისეთების, როგორებიცაა გარემოს დაცვითი აქტივობები, ქველმოქმედება, ეს ყოველივე ბიზნესოპერატორების საქმიანი რეპუტაციის ამაღლებას და ბაზარზე ცნობადობის გაზრდას უზრუნველყოფს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ბიზნეს ოპერატორის წარმატებულ საქმიანობას განაპირობებს.

თუმცა მხოლოდ გარე ფაქტორები ვერ უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტის მდგრად განვითარებას და მის წარმატებულ ეკონომიკურ საქმიანობას. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთრივ იურიდიული პირის მენეჯმენტზე, ადმინისტრაციულ რესურსზე, საქმიანობის ტიპზე და ა.შ.

იურიდიული პირის მდგრადი განვითარება და სტაბილური არსებობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იურიდიული პირის მართვაზე. პრაქტიკაში დამკვიდრებული „სტრატეგიული მართვის“ მოდელი ხშირად ამართლებს იურიდიული პირის დამფუძნებელთა მოლოდინებს. სტრატეგიული მართვა არის ორგანიზაციის ისეთი მართვა, რომელიც ეყრდნობა ადამიანურ პოტენციალს, როგორც იურიდიული პირის საფუძველს, ახდენს მისი მოღვაწეობის ორიენტაციას საზოგადოების მოთხოვნების მიხედვით, ახორციელებს იურიდიული პირის მოქნილ რეგულირებასა და დროულ ცვლილებებს, რომლებიც საშუალებას იძლევა იურიდიულმა პირმა უპასუხოს მის წინაშე მდგარ გამოწვევას და მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობებს, რაც, საბოლოო ჯამში, იურიდიულ პირს ეხმარება გადარჩენასა და საკუთარი მიზნების მიღწევაში გრძელვადიანი პერსპექტივით.

სტრატეგიული მართვის სისტემამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორია იურიდიული პირის მიზნები?
2. როგორია იურიდიული პირის საქმიანობის არსებული და მომავალი პროფილი?
3. რა უნდა გაკეთდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას იურიდიული პირის მიერ დასახული მიზნების მიღწევა?

ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იურიდიული პირის მართვის სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხდება: სტრატეგიული აზროვნების ფორმირება მმართველ რგოლთან, იურიდიული პირის განვითარების კონცეფციის განხილვის და შეთანხმების გზით;

- რეკომენდაციების გაცემა ახალი სტრატეგიის განსავითარებლად, ახალი პროდუქციის/მომსახურების შექმნა, უკვე არსებულის სრულყოფა და ა.შ.;
- მიზნების ფორმულირება და გრძელვადიანი დაგეგმვისათვის დირექტივების მომზადება, აგრეთვე სტრატეგიული გეგმების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;
- იურიდიული პირის შიდა მდგომარეობის ანალიზი;
- იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირება/ფორმირება;
- ინტეგრაციის ხარისხის და მართვის სისტემის არჩევა;
- „სტრატეგია-სტრუქტურა-კონტროლი“ კომპლექსის მართვა;
- საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იურიდიული პირის პოლიტიკისა და ქმედების ნორმატივების განსაზღვრა;
- დივერსიფიცირებული წყაროების ანალიზი;

- ინტეგრაციის დონის და მართვის სისტემის განსაზღვრა;
- იურიდიული პირის სტრატეგიის და შედეგების უკუკავშირის უზრუნველყოფა.

იურიდიული პირის მართვის პროცესში ყველა ზემოხსენებული ნაბიჯის განხორციელება სავსებით მოსახერხებელი და მისაღებია კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, იმდენად რამდენადაც მოქმედი კანონდებლობა მეტწილად დერეგულირებულია კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით, მართვაში არსებული ძირითადი და პრინციპული გადაწყვეტილებები წესდების დონეზე რეგულირდება, იურიდიული პირის დამფუძნებლები მოქმედებენ ნების ავტონომიით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და კანონმდებლის „კარნახის“ გარეშე იღებენ გადაწყვეტილებებს. აღნიშნულის საპირისპიროდ გვაქვს საქმე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირი სპეციალური უფლებაუნარიანი სუბიექტია, ამდენად, მას უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ კანონით და საკუთარი წესდებით გათვალისწინებული საქმიანობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის, პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა საჯარო სამართლისაა თუ კერძო სამართლის, თანაბრად მონაწილეობს სამოქალაქო ურთიერთობებში, თუმცა ეს მიდგომა თანაბრად არ ვრცელდება იურიდიული პირების კორპორაციულ მართვაზე. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარშია განმარტებული: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი მხოლოდ კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობებში ექცევა სამოქალაქო კოდექსის იურისდიქციის ქვეშ, ე. ი. იძენს კერძო სამართლის სუბიექტობას.“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობისა თუ რეორგანიზაციის წესი არ გამომდინარეობს არც მხოლოდ სამოქალაქო სამართლიდან და არც – ზოგადად, კერძო სამართლიდან, ვინაიდან იგი სრულად ექცევა საჯარო სამართლის იურისდიქციის ქვეშ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც ინსტიტუტის, საფუძველს საჯარო სამართლის სფეროს კანონმდებლობა ქმნის. ამდენად, მისი უფლებაუნარიანობის საკითხიც საჯარო სამართლის მიერ არის გადაწყვეტილი, რაც კერძო სამართალში აირეკლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობის სახით. როგორც ზემოთ ეს უკვე აღვნიშნეთ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი აღჭურვილია სპეციალური უფლებაუნარიანობით, ვინაიდან იგი ვიწრო, განსაზღვრული საჯარო დანიშნულების შესასრულებლად იქმნება. უფლებაუნარიანობის სპეციალური ხასიათი, ცხადია, დაკავშირებულია იურიდიული პირის საქმიანობასთან. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთ, თუ მისი დარღვევით დადებული გარიგება ბათილია და ასეთ შემთხვევაში კანონი მესამე პირს ვერ დაიცავს, იმ საფუძველით, რომ მან უფლებაუნარიანობის შეზღუდვის შესახებ არ იცოდა, ე.ი. ამ გარემოების მიმართ იგი კეთილსინდისიერი იყო. სპეციალური უფლებაუნარიანობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა თანაბარ ეფექტს იძლევა მისი ყველა მხარის მიმართ, განსხვავებით ზოგადი უფლებაუნარიანობით დადებული გარიგებისაგან. მესამე პირი გაიზიარებს ამგვარი

ბათილობის ტვირთს, რაკი ივარაუდება, რომ მას უნდა სცოდნოდა შესაბამისი იურიდიული პირის უფლებათაუნარიანობის შეზღუდვის შესახებ, ვინაიდან ასეთი სპეციალური უფლებათაუნარიანობა განისაზღვრება შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და იურიდიული პირის წესდებით (დებულებით).

მიუხედავად საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის საკანონმდებლო დონეზე არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებისა, იმისათვის რომ იურიდიულმა პირმა შეძლოს კონკურენციის გაწევა რთულ და სწრაფად ცვალებად გარემოში, სწორად უნდა შეარჩიოს სტრატეგიული მენეჯერები. მათი ამოცანაა განსაზღვრული მიმართულებით მთელი ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვა (ხშირად, მათ კომპლექსურ მენეჯერებსაც უწოდებენ). ისინი განსხვავდებიან ფუნქციონალური მენეჯერებისაგან (რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ცალკეული ფუნქციის რეალიზებას – კადრები, მომარაგება, წარმოება, გაყიდვა, კლიენტების მომსახურება, აღრიცხვა და ა.შ.) და იკავებენ უნიკალურ პოზიციას კომპანიაში, მართავენ რა მთელ ორგანიზაციას სტრატეგიულად.

სტრატეგიული მენეჯერები უნდა ფლობდნენ შემდეგ თვისებებს:

- იყვნენ კარგად ინფორმირებულები;
- იცოდნენ, როგორ მართონ თავიანთი დრო (დროის მენეჯმენტი) და ენერჯია;
- იყვნენ კარგი „პოლიტიკოსები“ (კონსენსუსის შემქმნელები).

კარგი ინფორმირებულობა გულისხმობს მართვის სხვადასხვა დონეზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ფართო დიაპაზონის შესაძლებლობას. მენეჯერებმა უნდა შექმნან ინფორმაციის წყაროს ქსელი ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილში, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას დარჩნენ ოპერატიული რეალობების საზღვრებში. მათ უნდა შეეძლოთ გაანაწილონ თავიანთი დრო და ენერჯია სხვადასხვა საქმეზე, გადაწყვეტილებასა და პრობლემაზე. უნდა იცოდნენ, როდის მოახდინონ პასუხისმგებლობის დელეგირება და როდის მიიღონ ერთპიროვნული გადაწყვეტილება. კარგ მენეჯერს უნდა შეეძლოს კონსენსუსის მიღწევა თავისი იდეების დონეზე და არ უნდა გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი ამ მიზნების მისაღწევად. მან უნდა იმოქმედოს, როგორც „კოალიციის ლიდერმა“ და არა – „დიქტატორმა“. ცვალებადი სამყარო მოითხოვს სტრატეგიული მენეჯერისაგან განსაზღვრულ მოქნილობას. ის მზად უნდა იყოს მანევრირებისა და ადაპტაციისათვის არსებულ მდგომარეობაში. ეს არ ნიშნავს, რომ იურიდიულმა პირმა მიზნების გარეშე უნდა იმოქმედოს, მაგრამ მზად უნდა იყოს მათი კორექტირებისათვის.

მიზნების კორექტირება, საქმიანობის გაფართოება ან შეკვეცა ან სულაც დასრულება, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს. ამდენად, იურიდიული პირის სწორი და გააზრებული მართვა, მისი გრძელვადიანი არსებობის გარანტიად იქცევა. ჩვენი მიზანია, ცხადია, არის ის, რომ რაც შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს ორგანიზაცია, რათა მან შეასრულოს, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური ფუნქცია ქვეყნის განვითარებაში.

## **"Strategic management" - as a guarantee of the long-term existence of a legal entity**

### **Abstract**

For the development of entrepreneurial operators, it is necessary to eliminate formal regulations, reduce bureaucracy and introduce such flexible governmental regulations that will increase the efficiency of entrepreneurial relations and, consequently, the economic development of the country. In addition to the above challenge, the state should create an environment conducive to entrepreneurship, where in addition to successful business activities, they will be able to carry out various activities within the framework of social responsibility, such as environmental activities, charity, business reputation of all business operators. Increases and increases market awareness. However, external factors alone cannot ensure the sustainable development of the entrepreneur and its successful economic activity. This largely depends on the management of the legal entity itself, the human resources, the type of activity, and so on.

The present article discusses the specifics of strategic management of legal entities, offers some recommendations / tips to ensure their successful operation. Proper and well-thought-out management of a legal entity guarantees its long-term existence. Our goal is clearly to make the organization as viable as possible so that it can perform both a social and an economic function in the development of the country.

## კრიმინალისტიკური ოდოროლოგიის საკითხები

### აბსტრაქტი

ბიოდეტექტორის გამოყენებით ადამიანის სუნის კვალის ოდოროლოგიური ექსპერტიზის მეთოდოლოგია იძლევა ისეთ უდაოდ მტკიცე შედეგს, რომელიც შეედრება არსებულ ინსტრუმენტულ მეთოდებს, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის საქმეში, კერძოდ, პიროვნების იდენტიფიკაციის პროცესში გვამლევს საშუალებას გამოვიყენოთ ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება. ამავე დროს მისი შედეგების შეფასება უნდა ხდებოდეს სხვა მტკიცებულებებთან კომპლექსში.

ჩვენი აზრით, პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა საექსპერტო კვლევის საფუძველზე, ექსპერტის დასკვნის შედგენითა და შემდგომ მისი მტკიცებულების წყაროს სახით მინიჭებით, შესაძლებელია არამყარ გარეგნული ფორმის მქონე ობიექტების იდენტიფიკაციის თეორიის გათვალისწინებით, სხვა მტკიცებულებებთან კომპლექსში შეფასებით, პროცესუალური ნორმების დაცვით.

### ძირითადი ნაწილი

კრიმინალისტიკური ოდოროლოგია მეთოდებისა და საშუალებებისა სისტემაა, რომელიც მიმართულია სუნის კვლების აღმოჩენაზე, ამოღებაზე, შენახვასა და გამოკვლევაზე, ამ ქმედებების შედეგების გამოყენების მიზნით, სისხლის სამართლის პროცესში საიდენტიფიკაციო საკითხების გადასაწყვეტად.

სუნის კვალი კრიმინალისტიკაში განისაზღვრება სურნელოვანი ნივთიერებების და მათი მინარევების სახით, რომლებიც რჩება საგანმატარებლებზე ან ჰაერში და რომელთა გამოვლენა შესაძლებელია ბიოდეტექტორის ყნოსვითი ან სპეციალური ხელსაწყოების (ანალიტიკური დანადგარების) საშუალებების გამოყენებით.

სუნის მატარებლების სახით გვევლინება როგორც ადამიანი, ისე მრავალი ბიოლოგიური ობიექტი, ასევე მასალები, ნივთიერებები, ნაკეთობები.

კრიმინალისტიკურ ოდოროლოგიაში ძირითადი საკვლევი ობიექტი ადამიანის სუნის კვალია. ადამიანის სუნის ინდივიდუალობა კი განპირობებულია გენეტიკურად.

ადამიანის სუნის კვალის გამოყენება კრიმინალისტიკაში ემყარება ყოველი ცალკეული ადამიანის სუნის სპეციფიკას, კერძოდ, იმ განსხვავებას, რომელიც აღინიშნება როგორც სხვა წარმოშობის, მათ შორის ბიოლოგიური, ასევე ერთი სახეობის სხვა ანალოგიური ობიექტების სუნებისაგან. შესაბამისად ყოველ ადამიანს აქვს მისთვის დამახსიათებელი სუნის ინდივიდუალური ნიშნები, რომელთა ჯამი განაპირობებს ინდივიდის სხვა ობიექტებისაგან დიფერენციაციის შესაძლებლობას.

ადამიანის სუნის კვალი მყარია. იგი გარკვეული ლოკალური პირობებიდან გამომდინარე სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში რჩება იმ საგნების ზედაპირზე, რომლებთანაც ინდივიდს ჰქონდა კონტაქტი.



აღნიშნულის გათვალისწინებით, კრიმინალისტიკური თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა კრიმინალისტიკური დარგი – კრიმინალისტიკური ოდოროლოგია (**odor** – სუნის, **logos** – სწავლება).

ამ დარგის გამოყენებით, დანაშაულის გამოძიების პროცესში, ვლინდება სუნის კვალი და გამოიყენება დიაგნოსტიკური და საიდენტიფიკაციო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით და ამ კუთხით იგი ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სუნის დამტოვებელი პირის დადგენისათვის.

კრიმინალისტიკური ოდოროლოგია მეთოდებისა და საშუალებების სისტემაა, რომელიც მიმართულია სუნის კვალის აღმოჩენაზე, ამოღებასა და გამოკვლევაზე სასამართლო-საგამომიძიებო სფეროში არსებული სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

ამ მიმართულების მეთოდის მიხედვით, სუნის კვალიდან შესაძლებელია ნივთიერებათა სინჯების შეგროვება და შემდგომ გამოყენება იმ სუბიექტის დასადგენად, რომელმაც დატოვა ეს კვალი შემთხვევის ადგილზე.

კრიმინალისტიკაში სუნის კვალი განიხილება იმ სურნელოვანი ნივთიერებების შენაერთების სახით, რომელთა არსებობის გამოვლენა საგანმატარებლებზე, როგორც წესი, ხდება ბიოდეტექტორების ყნოსვითი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სუნის კვალის მატარებელი, რომელიც ძირითადად გვხდება სასამართლო საგამომიძიებო პრაქტიკაში, კერძოდ კი ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დროს და კრიმინალისტიკური კვლევების შემთხვევებში, არის ადამიანი და სხვადასხვა სახის მასალა, ნივთიერება და ნაკეთობა.

კვალის მიხედვით წარმოებს დამნაშავის დაძებნა „ცხელ კვალზე“ და „ამორჩევა“ (რამდენიმე პირისაგან გამოყოფა, ე.ი. პირთა დიფერენციაცია და პირის იდენტიფიკაცია), რაც ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების დროს.

შემდგომში სათანადო მეთოდების გამოყენებით, ექსპერტის მიერ ჩატარებული პირის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია სრულდება ბიოდეტექტორის გამოყენებით. განხორციელებული „ამორჩევა“ კი საექსპერტო კვლევის ძირითად შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

შესაბამისად შედგენილი ექსპერტის დასკვნა სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს.

კრიმინალისტიკურ ოდოროლოგიაში ცნობილია ორი მიმართულება კინოლოგიური და ინსტრუმენტალური სახით:

1. კრიმინალისტიკურ კინოლოგიაში სუნის ანალიზატორად გამოიყენება სამძებრო ძაღლის ყნოსვის ორგანოს უნიკალური შესაძლებლობა. როგორც წესი, გამოიყენება სამი ბიოდეტექტორი (სპეციალურად გაწვრთნილი სამძებრო ძაღლები). პროცედურა და შედეგები ფიქსირდება ვიდეოჩანაწერების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ამ თვისებების მქონე სხვა ცხოველების, მაგალითად, მოზარდი ლომების გამოყენებასაც.
2. კრიმინალისტიკურ ინსტრუმენტულ, ანუ ოლფაქტორიკულ (*olfactus* — სუნის) ოდოროლოგიაში სუნის ანალიზატორად გამოიყენება ნივთიერებების მოლეკულურ დონეზე გაყოფის მაღალი კლასის ფიზიკურ-ქიმიური დანადგარები და დეტექტორები. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება სუნის ცალკეული კომპონენტების დიფერენცირება განსაზღვრული სიზუსტით. მაგალითად, ამ მიზნით შესაძლებელია გაზურ-ქრომატოგრაფიული და მასსპექტრალური ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენება.

ამავე დროს, თანამედროვე ეტაპზე, პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდოლოგია ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით, ბიოდეტექტორის გამოყენების მეთოდოლოგიასთან შედარებით, დასახვეწია.

სუნის მატარებელი ობიექტები ან ადამიანის სუნის კვალის სინჯები შემთხვევის ადგილზე ამოღებულ უნდა იქნეს ადგილზე ვითარების ფიქსაციის (აღწერა, ფოტოგადაღება და ა.შ.) და სამძებრო ძაღლის გამოყენების შემდეგ.

სუნის სინჯების ამოღების და მათი კონსერვაციის ხერხი აისახება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. ამოღებული საგნებიდან სუნის სინჯების დაგვიანებით შეკრება და სუნის მატარებელი საგნების გამოსაკვლევად დაყოვნებით გაგზავნა იწვევს სუნის მქონე მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვას.

შემთხვევის ადგილზე სუნის მქონე ობიექტების ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის უნდა გაანალიზდეს გარემომცველი პირობების მდგომარეობა და შეფასდეს სუნის კვალთა შენახვის შესაძლო ვადები.

აღნიშნულთან ერთად, სუნის კვალთან ოპერირების დროს სანდო შედეგების მიღება შესაძლებელია სუნის სინჯების და შესადარებელი ნიმუშების ამოღების, ასევე კონსერვაციის მეთოდოლოგიის სრული დაცვის შემთხვევაში.

მაგალითად, აღნიშნულის უზრუნველყოფა შემდეგი ძირითადი ოპერაციებითაა შესაძლებელი:

სუნის კვალის სინჯების შეკრებისათვის გამოიყენება არანაკლებ 10–15 სმ. ზომის თივთიკის სუფთა ნაჭრები (დასაშვებია ფლანელის, დოლბანდის, სტერილური ხელსახოცების, თივთიკის ხელსახოცის ტილო ან სხვა ბამბულის მასალის გამოყენება). ამ სინჯების შეკრება ხორციელდება რეზინის ხელთათმანების და პინცეტის მეშვეობით, რათა გამოირიცხოს სხვა სუნის შერევა მიმღებ ობიექტზე დაშრევებულ სუნის ნივთიერებაში.

ნაჭრებს ინახავენ 0,2-ლიტრიან გარეცხილ და მშრალ მინის ან ლითონის ხუფიან ქილებში, ან ალუმინის საკვებ 3-4-ფენიან ფოლგაში. პულვერიზატორის საშუალებით მსუბუქად ინამება სუნის მატარებელი მშრალი საგანი. მისი ზედაპირი მოგვყავს მჭიდრო კონტაქტში აღნიშნული სუნის შემგროვებელ ქსოვილთან.

სუნის მქონე ნივთიერებების დაგროვება თივთიკზე ჩვეულებრივად შემთხვევის ადგილის დათვალიერების მთელი პერიოდის განმავლობაში ხდება, მაგრამ სუნის მატარებელ საგანთან თივთიკის მინიმალური კონტაქტის დრო ერთ საათზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სუნის კვალის მატარებელი საგნებიდან სუნის მქონე ნივთიერებათა შეგროვების დასრულების შემდეგ მიღებულ სინჯებს (სუნის შემცველი თივთიკის ნაჭრები) განცალკევებულად ათავსებენ სუფთა მინის ქილებში (ლითონის ქილებში ან რამდენიმე ფენის მქონე ფოლგაში). ქილებს ხუფავენ მინის ან ლითონის ხუფებით.

საგანმატარებელზე არსებული სისხლის კვალიდან (კვალის მატარებელი ობიექტი ან მისი ნაწილი, მონახერხი, ამონაჭერი, ობიექტიდან სისხლის ანაფხევი ან გამონარეცხი) სუნის მქონე ნივთიერება აიღება ბიოლოგიური ობიექტებისათვის დაწესებული წესების მიხედვით, შესაბამისი სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

შეფუთულ, სუნის მატარებელ და კვალიდან შეკრებილ სინჯებს უნდა ახლდეს საჭდეები (ეტიკეტები) ჩატარებული პროცედურის შესახებ სრული ინფორმაციით, დადასტურებული ხელმოწერებითა და ბეჭდების ანაბეჭდებით.

შესამოწმებელ პირთაგან შესადარებელი სუნის ნიმუშების აღების დროს, ინდივიდუალური სუნის წყაროს სახით, შეიძლება წარდგენილ იქნეს სუბიექტის სისხლის ან ოფლის ნიმუში, ასევე მისი ქვედა საცვალი.

შესადარებული სუნის ნიმუშების აღება უნდა იწარმოოს იმ საგნიდან, რომლის შემადგენელი მასალა ანალოგიურია შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვალის მატარებელი საგნის მასალისა.

ადამიანთან საკონტაქტო საგნის ანალოგს, სამოდელო საგნის სახით, განსაზღვრავენ შესამოწმებელი ვერსიის გათვალისწინებით.

გარდა შესადარებელის, ოდოროლოგიურ კვლევას ექვემდებარება ეგრეთ წოდებული საკონტროლო ნიმუშები, თავისუფალი ადამიანის სუნის იმ მასალისაგან, რომლებზედაც შესადარებელი ნიმუშებია შეკრებილი. მათთვის განკუთვნილი ტარა და რეკვიზიტების შევსების ფორმა ანალოგიურია ზემოდ აღწერილისა.

ადამიანის სუნის შესახებ და ამ სუნის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია, იმ ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება როგორც დანაშაულის გახსნას, ისე გამოძიების ეფექტურად, მაღალი ხარისხით და დროულად ჩატარებას.

როდესაც შემთხვევის ადგილზე არ ფიქსირდება სხვა რომელიმე კვალი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სუნის კვალის ექსპერტიზის დანიშვნას, რადგან მისი შედეგები, ხშირ შემთხვევაში, იძლევა საშუალებას დავადგინოთ დანაშაულის ჩამდენი პირი.

თანამედროვე ეტაპზე ოდოროლოგიური ექსპერტიზების ორგანიზება და წარმოება შესაბამისობაშია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმებთან და განიხილება მასალების, ნივთიერებებისა და ნაკეთობების კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ერთ-ერთ მიმართულებად.

ამავე დროს, კრიმინალისტიკური ოდოროლოგიური ექსპერტიზა მკვეთრად განსხვავდება სხვა სახის როგორც კრიმინალისტიკურ, ისე სხვა სასამართლო ექსპერტიზებისაგან როგორც საექსპერტო კვლევის სტრუქტურით, ისე მონაწილე ინდივიდებით, მათი მომზადებისა და ატესტაციის მეთოდებით. განსაკუთრებული ადგილი, ამ შემთხვევაში, უკავია ძაღლების-დეტექტორების მუშაობის ხარისხს კონსერვირებულ სუნებთან მიმართებაში.

საექსპერტო საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე ადამიანის გაიგივება სუნის მიხედვით, რომელიც ხორციელდება ორგანოლექტიკური მეთოდის გამოყენებით, საკმაოდ პერსპექტიულია. პარალელურად იხვეწება ამ ობიექტების ინსტრუმენტული მეთოდი, რომლის გამოყენება ორგანოლექტიკურთან კომპლექსში, განსაზღვრავს ალბათობის მაღალ ხარისხს და ფაქტობრივად, იძლევა უტყუარ შედეგს.

თუ შემთხვევის ადგილზე ოდოროლოგიურ კვლებთან მუშაობა მოიცავს მათი აღმოჩენის, ფიქსირებისა და მათი უშუალო გამოყენების ამოცანებს, ადამიანებისა და ნივთების ცხელ კვალზე დაძებნის ორგანიზების მიზნით, შემდგომი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება ასევე გულისხმობს ამ კვლების გამოყენებას მტკიცებულებათა ხასიათის ინფორმაციის მოპოვებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დანაშაულის ნიშნების და ოდოროლოგიური კვლების მქონე საგნები, მათი დათვალიერებისა და დადგენილებით საქმისათვის დართვის შემდეგ გვევლინება მტკიცებულებათა პროცესუალურ წყაროებად<sup>1</sup>.

მათი გამოყენება მტკიცების პროცესში შესაძლებელია, თუ კონსერვირებული სუნის წყარო ნივთმტკიცების სახით იქნება დართული საქმეზე, რაც განაპირობებს მისი გადაგზავნის შესაძლებლობას ექსპერტიზაზე.

როგორც ადამიანის სუნის ინსტრუმენტალური კვლევის, ისე კინოლოგიურ ოდოროლოგიაში, ოდოროლოგიური კვლევის სუბიექტია არა ძალდი-დეტექტორი, არა გამომძიებელი, არამედ ამ დარგის სპეციალისტი. ძალდი, როგორც ბიონდიკატორი, ფაქტობრივად, არის ინსტრუმენტი ექსპერტის ხელში. ოდოროლოგიური კვლევის ძირითადი ამოცანაა კი კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ფარგლებში პირის იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა.

ბიოლოგიურ დეტექტორს აქვს უამრავი დადებითი თვისება, რადგან აქვს ინტეგრირებული აღქმის და სუნების ნარევიდან სელექციის უნარი.

ამავე დროს, არაერთი სამეცნიერო კვლევის ავტორების მოსაზრება, რომ ინფორმაცია მიღებული ბიოდეტექტორების (ცხოველების), კერძოდ სამძებრო ძალების გამოყენებით, ვერ იქნება ერთმნიშვნელოვნად შეფასებული.<sup>2</sup>

მაგალითად, პროფესორი ი. ჩხეიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ინფორმაცია, რომელიც მიიღება ძალდი-დეტექტორისაგან მის მიერ სუნის კვალთან მუშაობისას, არ უნდა განიხილებოდეს პროცესუალური მტკიცებულების სახით. მას მიაჩნია, რომ ოდოროლოგიური ექსპერტის დასკვნა მტკიცებულებისათვის წაყენებულ ვერცერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. იგი აღნიშნავს, რომ „ძალდი ვერც ობიექტურ პირად იქნება მიჩნეული და ვერც დასკვნის შედგენას შეძლებს, მეტიც, არასწორი დასკვნის გაცემისათვის ის ვერ იქნება გაფრთხილებული და შესაბამისად არც პასუხი მოეთხოვება“.<sup>3</sup>

ძირითადად აღნიშნული დაკავშირებულია მოსაზრებებთან, რომ ბიოდეტექტორის საშუალებით მიღებული ინფორმაცია არ ექვემდებარება ობიექტურ რაოდენობრივ დახასიათებას ე.ი. სუბიექტურია. სრულად არ არის ცნობილი ძალების ყნოსვითი ორგანოებით სუნის აღქმის მექანიზმი.

ამ პოზიციაში არ არის გათვალისწინებული, რომ ბიოლოგიურ დეტექტორს აქვს უამრავი დადებითი თვისება, რადგან მათ ინტეგრირებული აღქმისა და სუნების ნარევიდან სელექციის უნარი აქვთ.

აღნიშნულს ითვალისწინებს ერთ-ერთ თავის ნაშრომში პროფესორი შენგელი ფიცხელაური, რომელიც წერს: „ნებისმიერი საქმიანობის შედეგების უტყუარობა განისაზღვრება არა იმის უნარით, რომ აიხსნას პროცესის ყველა მექანიზმი, არამედ ექსპერიმენტის შედეგების ერთმნიშვნელობით (ცალსახობით), რომელიც ჩატარებულია განსაზღვრულ ჩარჩოებსა და პირობებში, რომლებიც გამორიცხავს ექსპერიმენტით გაუთვალისწინებულ ფაქტორების ჩარევასა და ზეგავლენას“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Салтевский М. В., Криминалистическая одорология. Киев, 1976, с. 97;

<sup>2</sup> ჩხეიძე ი., „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2010. გვ. 159–165.

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამომძიებლის პროცესში (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2005, გვ. 162.

სხვა ავტორები, „ამორჩევის“ პროცედურის საფუძველზე ძალ-დეტექტორების გამოყენებას სუნის ნიმუშების დიფერენციაციისა და ინდივიდის შემდგომი იდენტიფიკაციის მიზნით, მოისაზრებენ ოდოროლოგიური კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ფარგლებში. ეს მოსაზრება, აღნიშნულის გარდა, დაფუძნებულია მრავალ არგუმენტზე, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ადამიანის სუნის ინდივიდუალობა და ფარდობითი მდგრადობა, ასევე სამძებრო ძაღლის სუნის ბუნებრივი ბიოდეტექტორული ყნოსვითი აპარატის არსებობა და ფლობა<sup>5</sup>.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე კონკრეტულ შემთხვევებში ძაღლის გამოყენება იძლევა ზუსტ შედეგს, რომელიც გამოიყენება სასამართლოში მტკიცებულებათა წყაროს სახით<sup>6</sup>. ამ შემთხვევაში ოდოროლოგიური იდენტიფიკაცია კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მიმართულია სუბიექტის გაიგივებაზე, მისი სუნის კვალის შესწავლის საფუძველზე სპეციალურად მომზადებული სუნის სინჯებისა და ძაღლი-დეტექტორის გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში.

ოდოროლოგიური კვლევის დროს ძაღლი-დეტექტორების სიგნალების სისწორის კონტროლს უზრუნველყოფს მათი სასიგნალო ქცევის უშუალო ტესტირება ეტალონური სუნის სინჯების მეშვეობით, ასევე ხერხებით, რომლებიც დაფუძნებულია ვარიაციული სტატისტიკის ელემენტებზე, რომლებიც ბაზირებენ მოცემული სუნის ძიების შესაძლებლობაზე, ძაღლში გამოქვეყნებული კვლავწარმოებული რეფლექსის რეალიზებით.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნების შედგენას როგორც გარკვეული ტრადიცია, ისე პერსპექტივა აქვს, როგორც სხვა, ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთი აზრი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოდოროლოგიური ექსპერტის დასკვნას და ენიჭება თუ არა მას მტკიცებულებათა წყაროს სტატუსი.

კერძოდ, პროფესორ ვია მეფარიშვილს მიაჩნია, რომ კინოლოგი მხოლოდ ძაღლის გამოყენებას გვევლინება. ძაღლი გარკვეული ინსტიქტური ქცევით ადასტურებს ან უარყოფს გამოსაკვლევად წარდგენილ სუნებს შორის კავშირს, ანუ უდავო ფაქტია ის, რომ ექსპერტის როლში ძაღლი გამოდის, ხოლო ჩატარებული ღონისძიებისა და მიღებული შედეგების შესახებ კინოლოგი ქმნის დოკუმენტს, რომელსაც შეიძლება ძაღლის დამხმარე ვუწოდოთ. მკვლევრის აზრით, კინოლოგის მიერ შედგენილ დასკვნას შეუძლებელია ობიექტური ვუწოდოთ, რადგანაც ის ემყარება არა მეცნიერული გამოკვლევის მონაცემს, არამედ ძაღლის ინსტინქტურ ქცევას. მართალია, სამძებრო ძაღლი სპეციალურადაა გაწვრთნილი, მაგრამ მისი ნდობა არ შეიძლება და შესაბამისად ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობა სისხლის სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულების სახით დაუშვებლად მიაჩნია<sup>7</sup>.

ამის მიუხედავად, ამ პრობლემის მკვლევრებს სამსახურებრივი ძაღლის გამოყენება სამძებრო ღონისძიების ჩატარების დროს, მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

ამავე დროს, კრიმინალისტიკური ოდოროლოგიური ექსპერტიზის პროცედურა ითვალისწინებს საექსპერტო ექსპერიმენტში კინოლოგისა და მის მიერ გაწვრთნილი ძაღლის მონაწილეობას სხვადასხვა პირობაში ცდების განმეორებით, ზოგ შემთხვევაში ძაღლების შეცვლით, რასაც დასკვნის შედგენისას იყენებს პროცესის ორგანიზატორი და მწარმოებელი ექსპერტი. ე.ი.

<sup>5</sup> Шиканов В. И., Тарнаев Н. Н. Запаховые микроследы. Иркутск, 1974б с. 78;

<sup>6</sup> Экспертизы в судебной практике / Под ред. Гончаренко В. И. — Киев, 1987, с. 57;

<sup>7</sup> მეფარიშვილი გ., სიტყვა ეძლევა ჯულბარსს, გაზეთი „სასვალ-დასავალი“ N 13, 31 მარტი – 6 აპრილი, 2008.

ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტის მიერ ძალის-დეტექტორის აღქმის გამოყენება განისა-  
მდგრება როგორც ბიოლოგიური ინსტრუმენტ-დეტექტორის მიერ ფიქსირებული მონაცემი, იმის  
გათვალისწინებით, რომ ძალის ტესტირება უზრუნველყოფილია კინოლოგის მიერ.

სუნის კვალის ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და მტკიცებულების წყაროს  
სახით აღიარების მაგალითები ცნობილია მრავალი მეცნიერული ნაშრომებიდან როგორც სა-  
ქართველოს, ისე სხვა ქვეყნების სასამართლო-საგამომძიებო პრაქტიკიდან.

როგორც აღნიშნეთ, ამ სახეობის ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოიყენებენ სპეციალურად  
მომზადებულ ლაბორატორიულ ძაღლებს-დეტექტორებს და გარეგნულად ერთსახოვან სუნის  
მქონე ობიექტების ნაკრებს, რომელთა საშუალებით და ბიოდეტექტორების რეაქციის მიხედვით  
შესაძლებელი ხდება გამოსაკვლევი სუნის სინჯებში გამოვლინდეს კონკრეტული ობიექტი,  
რომლის ნიშან-თვისება ინდივიდუალობის დამახასიათებელი სუნის სახით გვესახება.

როგორც ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ისე ძალის-  
დეტექტორის გამოყენების დროს, ოდოროლოგიური კვლევის სუბიექტად გვევლინება არა ძალის,  
არამედ ექსპერტ-სპეციალისტი. ძალის გამოსაკვლევი სინჯებში ვერ გამოავლენს კრიმინალისტი-  
კური მნიშვნელობის ნიშან-თვისებებს, მაგრამ როგორც ბიოხელსაწყო-ინდიკატორი ინსტრუმენ-  
ტი ექსპერტის ხელში და ახდენს სინჯების დიფერენციაციას საძიებელი ობიექტის გამოკვეთით.

როგორც აღვნიშნეთ ბიოდეტექტორმა უნდა გამოავლინოს მყარი რეაქცია რამდენიმე  
ექსპერიმენტის ჩატარებისას და დამატებით მიღებული შედეგები უნდა დადასტურდეს იმავე  
პროცედურით სხვა ძალ-დეტექტორების ჩართვით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ განხილული სახის საექსპერტო კვლევების წარმოების დროს გა-  
მოყენებული უნდა იყოს კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის თეორიის ის სეგმენტი, რომე-  
ლიც განკუთვნილია იმ ობიექტებისათვის, რომლებიც ვლინდება არამყარი გარეგნული ფორმის  
მქონე სინჯის თვისებებით, კერძოდ, პოსტულატი რომ „თხევადი, ფხვიერი და გაზისებური  
ნივთიერებების და მასალების ცალკე მოცულობების, ე.ი. არამყარი გარეგნული ფორმის მქონე  
ობიექტების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის წინაპირობაა შემდეგი:

– ნივთიერების (მასალის) შედგენილობის ინდივიდუალობა, ე.ი. მასში შემთხვევითი  
კომპონენტების კომბინაციის არსებობა;

– ნივთიერების მოცულობის აგებულების ინდივიდუალობა, ე.ი. მასში სხვადასხვა სახის  
კომპონენტების შემთხვევითი განლაგება“.<sup>8</sup>

გამოსაკვლევი სინჯის გარდა, ამ იდენტიფიკაციის პროცესში გამოიყენება ეგრეთ წო-  
დებული შესადარებელი და თავისუფალი ნიმუშები სინჯების სახით.

ინდივიდის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია  
საძიებო ობიექტის იმ ინდივიდუალური ნიშან-თვისებების ანარეკლის საფუძველზე, რომელთა  
მიხედვით საიდენტიფიკაციო პროცესი განხილულია არამყარი გარეგნული ფორმის მქონე ობი-  
ექტების იდენტიფიკაციის თეორიაში.

ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ სუნის კვლების ამოღება იქნება შესრულებული ამ ოპე-  
რაციებისათვის განკუთვნილი საპროცესო ნორმების დაცვით და სუნის ლაბორატორიული  
იდენტიფიკაცია ჩატარდება პროფესიონალურ დონეზე, აღნიშნული თეორიის მოთხოვნებისა და  
შემუშავებული მეთოდის პირობების სრული დაცვით, შემთხვევის ადგილზე დატოვებული

<sup>8</sup> გ. მეფარიშვილი, სიტყვა ეძლევა ჯულბარსს, გაზეთი „სავალ-დასავალი“ N 13,; 31 მარტი – 6 აპრილი, 2008.

და შემდგომ ამოღებული სუნის გამოყენება შესაძლებელია ნივთმტკიცების სახით, იგივენაირად, როგორც სხვა იქ არსებული ამოსაღები კვალი.<sup>9</sup>

თანამედროვე ეტაპზე ექსპერტიზის ჩატარება ლაბორატორიული ანალიზის გამოყენებით წარმოებს სპეციალურად შემუშავებული, აპრობირებული მეთოდის თანახმად. როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ კვლევისა და შესაბამისად მიღებული შედეგების სანდოობა იკვეთება არსებული პრაქტიკით და მათემატიკური, სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

მაგალითად, საფრანგეთის პოლიციის კრიმინალისტიკური ლაბორატორიების მასალებზე, კერძოდ, ლიონის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგების მიერ შესრულებულ კვლევებზე დაყრდნობით, ჩანს, რომ ძალი-დეტექტორები 80-90% შემთხვევებში სწორად აცნობიერებენ და აფიქსირებენ ადამიანის ინდივიდუალურ სუნს.

ამავე დროს, საალბათო-სტატისტიკური გათვლა აჩვენებს, რომ იმ შედეგისათვის, რომლის საიმედოობა განისაზღვრება სიდიდით 0,99999 (100%) და მიღებულ იქნას ერთმნიშვნელოვანი შედეგი, საჭიროა სამი ძალ-დეტექტორის საექსპერტო ექსპერიმენტში ჩართვა. ექსპერტის დასკვნას კი ადგენს არა კინოლოგი, რომელიც ძალ-დეტექტორთან განცალკევებით მოქმედებს, არამედ ექსპერტი ყველა ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნების სრული დაცვით.

კრიმინალისტიკური ოდოროლოგიური ექსპერტიზის გადასაწყვეტად, ძირითადად, შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები:

1. აღინიშნება თუ არა გამოსაკვლევად წარდგენილი ობიექტზე (სუნის სინჯებში) ადამიანის სუნის კვალი და თუ აღინიშნება, წარმოიშვა თუ არა იგი კონკრეტული ადამიანისაგან?
2. სისხლის კვალიდან (ან სხვა ბიოლოგიურ ობიექტებიდან) ამოღებული სუნის სინჯები, წარმოიშვა თუ არა იგი კონკრეტული ადამიანისაგან?
3. ერთი თუ რამდენიმე ადამიანის მიერ არის დატოვებული სუნის კვალი?
4. რა სქესის ადამიანისაგან წარმოიშვა სუნის კვალი?

**Levan Kobulashvili**  
**Davit Chagunava**

## **Introduction to criminological orology**

### **Abstract**

Criminalistic laboratory analysis methodology of human odor trace used in Odorological examination provides such reliable results which can be compared to already existed instrumental methods with its accuracy giving an opportunity to use Expert's conclusion for person's identification as an evidence in criminal law. At the same time, evaluation of its results must be conducted in complex with other evidences.

In our opinion, determination of criminalistic identification of a personality (on a basis of expert examination, with expert's conclusion and evidences) is possible taking in consideration The Unsound Appearance Objects' Identification Theory with the evaluation in the complex of other evidences due process of law.

---

<sup>9</sup> Кобулашвили Л. Л., Основные положения криминалистического исследования веществ не имеющих собственной устойчивой формы. В книге «Вопросы судебной экспертизы и криминологии». Вып.16. ДСП, Вильнюс 1982, с. 59-60.

## ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და საქართველოში არსებული გამოწვევები

### აბსტრაქტი

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას, აქტივების დაცვას და ბიუჯეტის პროგრამული მიზნების მიღწევას. მით უფრო, რომ საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, გატარებული რეფორმების ფარგლებში, ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე საბიუჯეტო სისტემიდან საქართველო 2011–2012 წლიდან გადავიდა პროგრამულ, ანუ შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის პირობებში საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელების ახალი მიდგომები.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება 2010 წლიდან ეტაპობრივად, ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად დაიწყო, თუმცა, რეფორმის დანერგვის აუცილებლობა განპირობებული იყო არა მხოლოდ საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, არამედ მისი დანერგვის შედეგად მიღებული პოტენციური სარგებლით, რადგან სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს საჯარო სამსახურების გამართულ ფუნქციონირებასა და სახელმწიფო სახსრების კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად განკარგვას.

მოცემულ სტატიაში განხილულია შიდა კონტროლის სისტემის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო მართვის სისტემაში, ასევე ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპები საქართველოში. მოცემული საკითხი შეირჩა მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული სფერო არის განვითარებადი ჩვენს ქვეყანაში და საჭიროებს დანერგვის ეტაპზე რიგი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. წარმოდგენილ ნაშრომში კვლევის შედეგად წარმოვაჩინე ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის აუცილებლობა, მიმდინარე დანერგვის ეტაპები და არსებული გამოწვევები. ასევე შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები.

### ძირითადი ნაწილი

აუდიტის ფუნქცია ყოველთვის განიხილებოდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. კონტროლი უზრუნველყოფს მართვის სტრუქტურების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, ეკონომიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულების დადგენას, ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოვლენას და მათი შედეგების კორექტირებას. შესაბამისად, მისი როლი მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებისთვის.



ნირებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ კონტროლი ეს არის დამოუკიდებელი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ობიექტის ფუნქციონირების პროცესისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმება. კონტროლის მთავარი კრიტერიუმია ის, რომ იგი ხორციელდება ერთიანი პრინციპის საფუძველზე, რომელიც მისაღებია ორგანიზაციის ყველა დონეზე ჩართული სუბიექტისათვის, მათი ინტერესებისა და საქმიანობის მასშტაბების მიუხედავად. კონტროლის ღონისძიებები არის ჩამოყალიბებული პროცედურები, რომლებიც ხორციელდება მართვის ყველა დონეზე და რომელიც მიმართული უნდა იყოს რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება 2010 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო. საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, რომელიც სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემას არეგულირებს.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, რომელიც ევროკავშირის მიერ აპრობირებულ მოდელს ეყრდნობა, სამი ელემენტისგან შედგება:

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა;
2. შიდა აუდიტი;
3. ჰარმონიზაციის ცენტრი.

**ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა** უზრუნველყოფს დაწესებულებების მიზნების მიღწევას სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების გზით. სისტემა ინერგება და ხორციელდება დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ<sup>1</sup> გამოყოფ<sup>2</sup> ფინანსური მართვისა და კონტროლის ხუთ ძირითად მიზანს:

- ✓ საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის გამართულ სისტემას;
- ✓ ორგანიზაციული და მენეჯერული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების დროულად, ეფექტურად, შესაბამისი სტანდარტებისა და არსებული სახსრების ფარგლებში მიღწევას;
- ✓ საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა, სახსრების ხარჯვა ეკონომიურობის, ეფექტიანობის, პროდუქტიულობის და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც ასევე მოიცავს რისკის იდენტიფიკაციას, შეფასებასა და მართვას;
- ✓ მენეჯერებისთვის საჭირო ინფორმაციაზე მაქსიმალური წვდომის უზრუნველყოფა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით;
- ✓ საქმიანობის ღირებულების და დაკავშირებული ტენდენციების შეფასების ანალიზის არსებობა, რაც ხელს შეუწყობს მენეჯერს აამაღლოს პროდუქტიულობა;

**შიდა აუდიტი** დამოუკიდებელი, საკონსულტაციო და მარწმუნებელი საქმიანობაა, რომელიც სისტემატიზებული მიდგომით აფასებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესების მიზნით. **ჰარმონიზაციის ცენტრი** კი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია, შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმის მაკოორდინირებელ როლს ასრულებს. იგი ხელს უწყობს და

<sup>1</sup> „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია 2017–2019 წლებისათვის.

უზრუნველყოფს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებასა და ფუნქციურ სრულყოფას. სხვა ქვეყნებში შეიძლება შეგხვდეთ განსხვავებული სახელით, მაგალითად, ამ ერთეულს ფინეთში – შიდა კონტროლის და რისკის მართვის საბჭო (Council for Internal Control and Risk Management) ჰქვია; ლიეტუაში – ცენტრალიზებული შიდა აუდიტის სამსახური (centralized internal audit service); პორტუგალიაში – შიდა ფინანსების ინსპექტორატი (Inspectorate of internal Finance); საქართველოში – ჰარმონიზაციის ცენტრი.

2017 წლის 21 მარტს, საქართველოს მთავრობის №512-ე განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო<sup>3</sup> შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია საჯარო სექტორში „კარგი მმართველობის პრინციპების“ განვითარება და სახელმწიფო რესურსების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის ხელშეწყობა. აღნიშნულის მისაღწევად სტრატეგია მიზნად ისახავს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას და გაძლიერებას შემდეგი საშუალებებით:

- საჯარო სექტორში ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და მისი ეტაპობრივი დანერგვა/განვითარებით;
- შიდა აუდიტის სუბიექტების არსებული კომპეტენციის გაძლიერება/განვითარებით;
- ჰარმონიზაციის ცენტრის კომპეტენტურობისა და ავტორიტეტის გაძლიერება/განვითარებით, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მთელ საჯარო სექტორში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაძლიერება და განვითარება საქართველოს საჯარო სექტორში.

ფინანსური მართვისა და კონტროლის საერთო მიზანი არის ფინანსური კონტროლის ხარისხის გაუმჯობესება პროცესებში მეტი ჩართულობით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი მიზანია საჯარო ფინანსების მართვა ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრინციპებით. შესაბამისად, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება მენეჯმენტის მიერ და რომლებიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის ხარჯვის, პროგრამის შესრულების და ოპერაციების პროდუქტიულობას, ეკონომიურობასა და ეფექტიანობას. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პროცესებს, როგორებიცაა: დაგეგმვა, პროგრამების შედგენა, ბიუჯეტირება, ფინანსური ანგარიშგება, კონტროლი, ანგარიშგება და მონიტორინგი. ასევე განსაზღვრავს შეესაბამება თუ არა ფუნქციები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები დაწესებულების მიზნებს. ასევე ამ მიზნებთან დაკავშირებული რისკის მართვის ღონისძიებები არის თუ არა ფინანსური მართვისა და კონტროლის ნაწილი. გარდა ამისა, როგორც წესი, კარგი მმართველობა მიიღწევა ადეკვატური პრაქტიკით, ეფექტური შიდა კონტროლის სისტემით, გამჭვირვალობითა და ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გაცემით და კარგად განსაზღვრული დაინტერესებული მხარეების ურთიერთობებით. იქიდან გამომდინარე, რომ შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა მოითხოვს ორგანიზაციებში შესაბამისი, მუდმივად არაცვალებადი გარემოს ჩამოყალიბებას, შესაბამისად, საჭიროა აღინიშნოს, ორგანიზაციული სტრუქტურისა და უფლება-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრის საჭიროება. რაც, გულისხმობს

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №512 განკარგულება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

ანგარიშვალდებულებების ნათელი ჯაჭვის არსებობას ორგანიზაციის მართვის სტრუქტურაში. ნათლად განსაზღვრული როლები მნიშვნელოვანი საკითხია მენეჯერული ანგარიშვალდებულების კუთხით. შესაბამისად, ფინანსური კონტროლის სისტემის ძირითადი და მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია:

- **მენეჯერული ანგარიშვალდებულება** - ამ კრიტერიუმების მიზანია იმის შეფასება, თუ რამდენად სწორად არის განაწილებული პასუხისმგებლობა, უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება შესაბამის მენეჯერულ დონეებზე;
- **მიზნების დასახვა** - ამ კრიტერიუმით ფასდება მიზნის დასახვის პროცესი მენეჯერულ და სახედამხედველო დონეზე და აგრეთვე, თუ რამდენად შეესაბამება მიზანი SMART კრიტერიუმებს;
- **რისკის მართვა და კონტროლი** - განსაზღვრავს კრიტერიუმს რისკის შეფასების, მართვისა და კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ასევე რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას;
- **უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა** - მისი მიზანია იმ კრიტერიუმების შეფასება, რომლებიც შიდა კონტროლის კუთხით გასატარებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიზნებთან და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული.
- **დაგეგმვა და კონტროლი** - განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც აფასებს შიდა ანგარიშგების პროცესის ორგანიზების ფორმას, მის შედგენილობას მენეჯერული ინფორმაციის კუთხით (KPI, KFI) და კომუნიკაციას;
- **მონიტორინგი** - უზრუნველყოფს მთლიანად მმართველობითი კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. მისი ძირითადი ელემენტია შიდა აუდიტი.
- **შიდა აუდიტი** - რომელიც იძლევა ობიექტურ და გონივრულ ინფორმაციას ხელმძღვანელობისათვის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების თაობაზე.

იმის გათვალისწინებით რომ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება გარკვეულწილად რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს, ჰარმონიზაციის ცენტრის გადაწყვეტილებით, OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან ერთად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დროში გაწერილი ეტაპობრივი, დანერგვის სისტემა შემუშავდა, კერძოდ, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის განხორციელება დაიწყო სამ ეტაპად<sup>4</sup>:

- 1) **ფინანსური კონტროლი** - რომელიც გულისხმობს ფინანსური რეგულაციებისა და მენეჯერული ანგარიშვალდებულების არსებობას. შესაბამისად, პირველი ეტაპი მენეჯერული სტრუქტურისა და მენეჯერული ანგარიშვალდებულების<sup>5</sup> დანერგვას ემსახურება. კერძოდ, პირველი ეტაპის მიზანია მენეჯერების ანგარიშვალდებულების ზრდა და სამინისტროების სახსრების მართვისა და კონტროლის საკითხებში ჩართულობა, ასევე გადაწყვეტილებების პროცესში ჩართული ხელმძღვანელი პირების ფინანსური ცნობიერების ამაღლება. აღნიშნულის განხორციელება კი მხოლოდ უფლებამოსილებების

<sup>4</sup> სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია 2017–2019 წლებისათვის;

<sup>5</sup> მენეჯერული ანგარიშვალდებულება „გულისხმობს იმას, რომ ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მიზნების მიღწევაზე დროულადმოცემული ბიუჯეტის ფარგლებში, არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით“, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

დელეგირების გზით არის შესაძლებელი. მენეჯერული ანგარიშვალდებულების ზრდა დაწესებულებაში გააუმჯობესებს ბიუჯეტის დაგეგმვის ხარისხს და ფინანსური კონტროლის მექანიზმებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ძირითადი მიზნის – რესურსების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების – მიღწევას.

- 2) **მენეჯერული კონტროლი** - რომელიც გულისხმობს პირველ ეტაპზე განსაზღვრული მენეჯერული ანგარიშგების სტრუქტურის გაუმჯობესებას გაზრდილი დელეგირების საშუალებით. მენეჯერული კონტროლის მიზანია მენეჯერული სტრუქტურის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს თითოეულ დონის დიეგებაზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილების გამიჯვნას. ამ ეტაპზე იზრდება მენეჯერის როლი, რომელიც პასუხისმგებელია მიზნებისა და საქმიანობის შეფასების ინდიკატორების შემუშავებაზე, რომელთა მიღწევაც განსაზღვრული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს (ეფექტურობა). მენეჯერული კონტროლის გაძლიერება საბოლოოდ გაზრდის სახელმწიფო რესურსების ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.
- 3) **ფინანსური მართვა** – ამ ეტაპზე, მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს არამხოლოდ მიზნების მიღწევა, არამედ ეს გააკეთოს საუკეთესო, ყველაზე ეფექტური და ეფექტიანი გზების გამოყენებით. აღნიშნულის ჯეროვნად განხორციელებისთვის, მენეჯერს ესაჭიროება სანდო და დეტალური ფინანსური ინფორმაცია, რათა ნათელი წარმოდგენა შეექმნას გამოყენებულ ფინანსურ რესურსსა და მიღწეულ შედეგს შორის კავშირზე, რაშიც მას ფინანსური/ეკონომიკური სამსახური უნდა დაეხმაროს.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის კუთხით გადადგმული სხვადასხვა ნაბიჯის მიუხედავად (პილოტურ სამინისტროებში), კვლავ გამოწვევად რჩება მკაფიო მენეჯერული სტრუქტურებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის განსაზღვრა, პასუხისმგებლობების მეტად დელეგირება დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერებზე. მოცემულ მდგომარეობაში რთულია დაწესებულებების მხრიდან განკარგული ფინანსური რესურსისა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობის საზომით შეფასება.

იმისათვის, რომ სიღრმისეულად და დეტალურად შეფასდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის მნიშვნელოვანია კვლევის სფეროში მოექცეს შემდეგი ელემენტები:

- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების/ფუნქციონირების კონტექსტი;
- ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება (კონტროლი) და ანგარიშგების პროცესი: მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით და მთავარი მხარჯავი დეპარტამენტები/დანაყოფები;
- ბიუჯეტირებისა და ოპერაციული პროცესების კავშირი;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის რეგულაცია და ორგანიზება: მენეჯერული ანგარიშვალდებულების გადანაწილება, კერძოდ, ოპერაციული ფუნქციების (დაცვის პირველი ხაზი) ჩართვა დამხმარე და ზედამხედველობის ფუნქციების კვალად ბიუჯეტის ციკლის 4 ეტაპზე: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, მოქმედება;
- ფინანსური პროცესების კონტროლი (აღწერების ჩათვლით);
- ბიუჯეტის პროგრამის შესრულების კონტროლი;
- ბიუჯეტის დანახარჯებისა და შემოსავლების კანონიერება და რეგულარულობა;

- ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული რისკები;
- ფინანსური (მენეჯმენტის) ინფორმაციული სისტემა;
- საბიუჯეტო აღრიცხვა, ღირებულების აღრიცხვა და ანგარიშგება;
- აქტივების დაცვა;
- დაცვის მეორე ხაზის/ფინანსური სამმართველოს გამართული ფუნქციონირება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების სირთულეები;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ადაპტირებული მოდელი არ არსებობს;
- რაიმე სტანდარტი არ არსებობს;
- ყველა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომაა (მიუხედავად იმისა რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შედარებით ერთნაირი გამოწვევები აქვთ საჯარო დაწესებულებებში); ყველა ქვეყანაში სისტემა იწყობა არსებული ხარვეზების ანალიზზე დაყრდნობით – საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებით (ნიდერლანდები, ხორვატია).

თუმცა ორი მიმართულება ცალსახად გამოსასწორებელია: გასაძლიერებელია მენეჯერული ანგარიშვალდებულება და გასაძლიერებელია საფინანსო/ეკონომიკური სამსახურების როლი, როგორც დაცვის მეორე ხაზი.

ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების პროცესში არსებული გამოწვევები გამოვლინდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩატარებული შეფასებისას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევებისას. ზემოაღნიშნული პროცესებისათვის მთავარი დამაბრკოლებელი გარემოებაა საჯარო სექტორში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მექანიზმების შესახებ არსებული ცნობიერების დაბალი დონე და ზედა დონის მენეჯმენტის მიერ უფლებამოსილების და პასუხისმგებლობების ქვედა დონის მენეჯმენტზე დელეგირების არარსებობა. ეფექტური მმართველობისათვის აუცილებელია დაბალი რგოლის მენეჯერებმაც იგრძნონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე და, შესაბამისად, გაითავისონ ხელმძღვანელის როლი, ვინაიდან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მენეჯერულ სტრუქტურაში, ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი მენეჯერი არის „ხელმძღვანელი“ მისი უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროგრამული ბიუჯეტის მიზნებისთვის. ზოგიერთ დაწესებულებაში შესაძლებელია არსებობდეს დელეგირების გარკვეული ხარისხი, თუმცა საყურადღებოა, თუ რამდენად ხდება დელეგირება დეპარტამენტების ხელმძღვანელების დონეზე ან – უფრო ქვევით. უფლებამოსილების მაქსიმალური დელეგირება ემსახურება მაღალი რანგის მენეჯერების დროის გათავისუფლებას პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებისათვის. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია მენეჯერული ანგარიშვალდებულება, ისევე როგორც უფლებამოსილების დელეგირების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი ძირეული საკითხია. ამ თვალსაზრისით ამჟამად ქვეყანაში ერთგვაროვანი მიდგომა არსებობს, რაც გულისხმობს მმართველობას „ტრადიციული“, ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით. „ტრადიციული ადმინისტრაციული მიდგომების“ სამი ძირითადი ნაკლოვანება:

- ცენტრალიზებული ადმინისტრირება (გადაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიული პროცესები; ქვედა დონეზე პასუხისმგებლობის დელეგირების ნაკლებობა, თანამშრომელთა დაბალი ჩართულობა საერთო მიზნის მიღწევის პროცესში – მიზნების არარსებობა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე);
- მონიტორინგის სისუსტეები (ანგარიშვალდებულების სუსტი სისტემა/ან არარსებობა);
- მიზნების მიღწევის პროცესში ნაკლები ყურადღება რისკებზე და რისკის მართვაზე;
- აქცენტი შესაბამისობასა და კანონიერებაზე (არ ანალიზდება ხარჯები პროდუქტიულობის დასადგენად, არ ფასდება ეფექტიანობა).

გამოვლენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გავითვალისწინოთ ფინანსური მართვისა და კონტროლის მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებები/რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვის პროცესს საბიუჯეტო უწყებებში:

### 1. კონტროლის გარემოს გაუმჯობესება:

- საჯარო მოხელის ეთიკის კოდექსის მიმართულებით. თითოეული საჯარო მოხელის ცნობიერების ამაღლება;
- სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მათ დაქვემდებარებულ ერთეულში ეთიკის ნომრების დარღვევის კონტროლზე;
- ორგანიზაციული სტრუქტურის მოყვანა შესაბამისობაში პროგრამულ ბიუჯეტირებასთან;
- სტრუქტურული ერთეულების დონეზე მიზნების განსაზღვრა;
- სამუშაო აღწერილობების სტრუქტურული ერთეულების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ძირითადი პროცესების განსაზღვრა სტრუქტურული ერთეულების დონეზე და მათი ოპტიმიზაცია;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შემუშავება;
- თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა;

### 2. რისკის შეფასება

- რისკის მართვის სტრატეგიის შემუშავება დაწესებულების დონეზე;
- პროგრამული ბიუჯეტირების მიზნებისა და შეფასების ინდიკატორების SMART კონცეფციაზე მორგება;
- რისკების იდენტიფიცირება თითოეული სტრუქტურული ერთეულის დონეზე და ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის;
- იდენტიფიცირებული რისკებისათვის რეიტინგის მინიჭება;
- რისკის შეფასების პროცედურა უნდა ხორციელდებოდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
- რისკთან „მოპყრობის“ ღონისძიებების განსაზღვრა;

### 3. კონტროლის ღონისძიებები

- კონტროლის ღონისძიებების იდენტიფიცირება და ფორმალიზება;
- იდენტიფიცირებული ღონისძიებების ანალიზი;
- ანალიზის შედეგების მიხედვით შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ან ახალი კონტროლის ღონისძიებების საჭიროების შემთხვევაში ახლის დამატება.

#### **4. ინფორმაცია და კომუნიკაცია**

- დაწესებულების ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს წვდომა საჭირო ინფორმაციაზე, მაგალითად: სხვა თანამშრომლის საკონტაქტო ინფორმაცია, ან ფილიალის ადგილმდებარეობა;
- თანამშრომლები უნდა იცნობდნენ დაწესებულებისა და ქვეყნის მასშტაბით არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს;

#### **5. მონიტორინგი და შეფასება**

- ანგარიშგების სისტემები უნდა დაინერგოს: ვინ ვის უგზავნის ანგარიშს, რას მოიცავს ეს ანგარიში და რა სიხშირით უგზავნის;
- საჭიროა გაანალიზდეს რა სახის ინფორმაცია სჭირდება თითოეულ მენეჯერს გადაწყვეტილების მისაღებად;
- შიდა კომუნიკაცია უნდა დარეგულირდეს როგორც ზევიდან ქვევით, ისე ქვემოდან ზევით;
- მნიშვნელოვანია განისაზღვროს გარე კომუნიკაციის გზები.

**Mariam Tabatadze**

Doctor of Public Administration

### **Introduction of financial management and control systems in budgetary (public) organizations and existing challenges in Georgia**

#### **Abstract**

Availability of internal financial control system is vital for efficient management of budget resources, that ensures the institutes' accountability, securing the assets and meeting the program budgeting process goals. Moreover, as a result of reform, in order to improve the budgetary process and efficient management, Georgia, since 2011-2012 year, from traditionally organized budget structure moved to program, result oriented budgeting. Consequently, it is crucial to anticipate new internationally accepted approaches of state financial control when following the result oriented budget planning cycle.

Establishment of internal financial control system started gradually from 2010 year in cooperation with EU, though reform was stimulated not only by fulfilling the conditions set within Georgia-EU partnership, but with the potential benefits from its introduction, since the state internal financial control system ensures proper performance of budget institutions as well as transparent, legal, economic, efficient and productive management of state resources.

Current article, describes the role and importance of internal control system on public administration as well as the milestones of introduction of financial management and control system in Georgia. Having considered the fact that the mentioned sector is under the development in Georgia, is significantly important and requires identification of solutions to the challenges, the topic was selected for further investigation. As a result of study, the theses gives the arguments on importance of introduction of financial management and control system, also its steps to introduction and respective existing challenges. Associated recommendations and suggestions are also applicable.

## სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგის საკითხისათვის

### აბსტრაქტი

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა მეტწილად სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილურობაზე გადის. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის პროცესი აბსოლუტურად დაცული არ არის, ის ცივილიზებულ საფრთხეს - საგადასახადო რისკს ექვემდებარება. საგადასახადო რისკების სივრცეში სახელმწიფოს საგადასახადო რისკი ერთ-ერთი ღირებულება, ხოლო ბიუჯეტის შევსების საფრთხეთა შორის პირველადი კი არის. ამიტომ მისი წარმატებული მონიტორინგი სახელმწიფო ბიუჯეტის და არა მარტო მისი შევსების ერთ-ერთი საყურადღებო მოცემულობაა. წარმატებული მონიტორინგის გზაზე ნებისმიერი სახის ქმედება ვერ მოხდება თუ სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგის არსი არ იქნება შეცნობილი, ხოლო მასში არსებული წესებისა და ალგორითმის დაცვა ვერ მოხერხდება.

### ძირითადი ნაწილი

სახელმწიფოს საგადასახადო რისკი არის სახელმწიფოს ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში გადასახადის მიუღებლობის ალბათობა.

წარმოდგენილი მოცემულობა სისტემური ხასიათის მატარებელია. აქ საყურადღებოა სახელმწიფოს საგადასახადო რისკის სახეების ნაირგვარობის მომენტი. სახელმწიფოს საგადასახადო რისკი პირობითად ორ ტიპის ფაქტორების - საშინაო და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებას განიცდის. ამ ფაქტორების წარმოდგენით კი შესაძლებელია სახელმწიფოს საგადასახადო რისკის კლასიფიკაცია, მათი გაანალიზება, რანჟირების გაკეთება, დაბოლოს კი - მონიტორინგი.

სახელმწიფოს საგადასახადო რისკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ყველა დონის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობის წინასწარ დადგენილი მოცულობის მიუღწევლობის რისკებია. ისინი კი, შესაძლოა, საგადასახადო ბაზის შემცირებით, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდისაგან თავის არიდებით, საგადასახადო ტვირთის გაძლიერებით იყოს განპირობებული.

სახელმწიფო საგადასახადო რისკის განმაპირობებელი ზემოთ აღნიშნული დაშვებები შინაარსობრივად ნაირგვარია და მათ შესაბამისი დატვირთვა აქვს. მაგალითად, საგადასახადო ბაზის შემცირების რისკი შესაძლოა, პროვოცირებული იყოს ეკონომიკური რეცესიის მიზეზით. აღნიშნული ნათლად გამოჩნდა დღეს, როცა კორონავირუსმა ქვეყნის ეკონომიკა შეარყია, რის შედეგადაც დღეს-ის, საშემოსავლო თუ ქონების გადასახადის მოქმედების სფერო მკვეთრად შეზღუდა. ყოველივე ეს ხომ სახელმწიფო საგადასახადო რისკს აძლიერებს.



საზოგადოების დაბალი საგადასახადო კულტურა ან გადასახადის გადამხდელის არამართლზომიერი ქმედება სახელმწიფო საგადასახადო რისკის არსებობისათვის „ნოყიერ ნიადაგს“ ქმნის. საგადასახადო ტვირთის „დამძიმება“ სრულად გულისხმობს გადასახადის განაკვეთის ზრდას; ეს კი ლაფერის მრუდის მოთხოვნის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების შემცირებას იწვევს. აქ ძალიან ახლოსაა სახელმწიფოს საგადასახადო რისკი, ანუ საფრთხე გარდაუვალია.

სახელმწიფოსთვის საგადასახადო რისკად აღიქმება საგადასახადო კანონმდებლობის დებულებების ფორმულირების გაურკვევლობიდან და გაუგებრობიდან წამოსული რისკები. ამ სახის „დაავადება“ თითქმის ყველა საგადასახადო სისტემას აქვს - საგადასახადო კანონმდებლობა ხომ ვერასდროს აბსოლუტურად სრულყოფილი ვერ ან/და არ იქნება. ამ ფონზე საგადასახადო კანონმდებლობის დებულებების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია ხდება, ამ ფონზე კი გადასახადის გადამხდელები „ლოგიკურად“ ცდილობენ შეიმსუბუქონ საგადასახადო ტვირთი და საგადასახადო გადასახდელების მოცულობა შეამცირონ.

საქართველოში სახელმწიფო საგადასახადო რისკის არსებობა უცხო არ არის. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მოცემული სახის რისკი მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობის ამა თუ იმ სახის დებულებების ბუნდოვანი და გაუგებარი ინტერპრეტაციის ბრალია. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა სამართლის სხვა დარგებთან, მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობასთან ან თუნდაც გაკოტრების კანონთან შესაბამისობით რეალიზაცია სრულად ვერ ხორციელდება. როცა მათ შორის შეუთანხმებლობა წარმოიშობა ან თუნდაც ჩაისახება, მაშინ სახელმწიფოს საგადასახადო რისკი, როგორც იტყვიან, იქვე სუნთქავს და ცოცხლობს.

სახელმწიფო საგადასახადო რისკების დამატებით სახედ მიჩნეულია საგადასახადო შეღავათების არასწორად გამოყენება, ასევე საგადასახადო შეღავათის არაეფექტიანობა, საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო ადმინისტრირების რისკი და სხვა. აღნიშნული რისკის სახეები ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შემცირების პროცესის მაპროვაცირებელი ქმედებებია. მათ გადასახადის გადამხდელი ზოგჯერ ისე ოსტატურად იყენებს, რომ საგადასახადო ორგანო - შემოსავლების სამსახური - მას არ აღიარებს(!) ან უბრალოდ ვერ ამჩნევს. არადა, ჩვენი ქვეყნის რეალობაში ეს მოცემულობა საკმაოდ გავრცელებულია. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებიდან გამომდინარე ე.წ. მიკრობიზნესის სტატუსის ნიშნულები - ის, ვინც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და მისი ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 30 000 ლარს არ აღემატება. კოდექსი ამ კუთხით სხვა მოთხოვნებსაც აყენებს (მაგალითად, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ განსაზღვრული ნებადართული საქმიანობა და აკრძალული ცალკეული საქმიანობა), მაგრამ გადასახადის გადამხდელი „ოსტატურად“ იყენებს 30 000-ლარიან ნიშნულს - მას ხომ არავინ არ ითვლის - არის თუ არა ეს რეალობა(!), დაინტერესებული მხარე დაქირავებული პირის გამოყენების ფაქტთან „მოხდენილად“ ლავირებს - მათ ხომ ეს პირები ცალკე გადასახადის გადამხდელად აფიქსირებენ და შედეგად რეალობა კანონის მოთხოვნასთან შესაბამისობაში ვერ მოდის: მიკრობიზნესის სტატუსის ერთი გადასახადის გადამხდელი სრულად „ფარავს“ რეალობას. შედეგად სახეზეა სახელმწიფო საგადასახადო რისკი, რომელიც საგადასახადო შეღავათის არასწორად გამოყენების შედეგად წარმოიშვა.

დღეს ყოველი ცივილიზებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფო მოწოდებულია, ქვეყნის საბიუჯეტო სტაბილურობა უზრუნველყოს, ეს კი წარმოუდგენელია სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მართვის გარეშე.

სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მართვა საგადასახადო რისკების იდენტიფიკაციის, რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასებისა და მათი ნეიტრალიზაციის, შემცირების ან აღმოფხვრის პროცესთა ერთიანობას წარმოადგენს.

შესაძლო დანაკარგების სიდიდის მიხედვით ახდენენ საგადასახადო რისკების კლასიფიკაციას. ამ დროს უსათუოდ უნდა მოხდეს ყველა სახის საგადასახადო რისკის რანჟირება დაბალ, მისაღებ (დასაშვებ), კრიტიკულ და კატასტროფულ რისკებად. აქედან გამომდინარე, ხდება რისკების მართვის მეთოდების განისაზღვრა, რამდენადაც ის ბერკეტი, რომელიც კრიტიკული რისკის მიმართ მისაღებია, მისი დასაშვებ რისკთან გამოყენება არ შეიძლება, ხოლო დაბალი რისკის მართვამ შესაძლოა არც კი მოითხოვოს რისკების მართვის ინსტრუმენტების გამოყენება.

სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მართვის ერთ-ერთი არსებითი მიმართულებაა რისკების მონიტორინგი. მონიტორინგი ეს ღონისძიებათა მთელი სისტემაა და ის უნდა განხორციელდეს. მონიტორინგი შესაძლებლობაა, ჩატარდეს შესასწავლი ობიექტის, მოვლენის ან პროცესის მდგომარეობაზე უწყვეტი დაკვირვება, შემდეგ კი დაარეგისტრიროს არსებითი ნიშნულები, შეაფასოს მათი მდგომარეობა და ოპერატიულად დააფიქსიროს ამ ობიექტზე (მოვლენის) სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგები.

სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგი თავისი არსით საკმაოდ ბევრის მომცველი პროცედურაა. ის, უპირველესად, გულისხმობს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაზე დაკვირვებას იმ ნაწილში, თუ რამდენად შეესაბამება ბიუჯეტში დაგეგმილ მონაცემს ფაქტობრივი საგადასახადო შემოსულობები, რამდენად ეფექტიანია არსებული საგადასახადო შეღავათები და პრეფერენციები, საგადასახადო კონტროლი და ადმინისტრირება, რამდენად ზომიერია საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების კორექტირება, რამდენად არსებითია ჩრდილოვანი ეკონომიკის და ოფშორული ზონების არსებობის შედეგად საგადასახადო შემოსავლების დანაკარგები და ა.შ.

საქართველოში სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგი, ჩვენი აზრით, არ ხდება, ხოლო თუ რაიმე ამ მიმართულებით ხდება – ის არ არის სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგი. არადა ამ სახის მონიტორინგის ობიექტები – საგადასახადო სისტემა ზოგადად და სახელმწიფოს საგადასახადო რისკები, კერძოდ, თავის სახით სრულად არის წარმოდგენილი. ასევე ჩამოყალიბებულია ამ სახის საგადასახადო რისკების სუბიექტები – შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ ქვეყანაში ამ სახის მონიტორინგის განხორციელების ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა არ არსებობს – არ გვაქვს შესაბამისი კანონმდებლობა. არადა სახელმწიფოს საგადასახადო რისკების თეორია წინ წავიდა, ხოლო პრაქტიკა არაადეკვატურ რეალობაში „ჩარჩა“.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მოცემულობის დაძლევა სირთულეს არ წარმოადგენს. თავდაპირველად სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგის როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური მიზნების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს, შემდეგ კი მაკროეკონომიკურ დონეზე საგადასახადო რისკებისკენ მოძრაობა უნდა ჩატარდეს მონიტორინგის საინფორმაციო, მაკონტროლებელი, ანალიტიკური და მართველობითი ფუნქციების რეალიზაციის ფონზე. ეს

პროცედურა შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური მეთოდების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ბოლო საფეხური – შესაბამისი დატვირთვის მთელი არეალი – „იკვრება“ მონიტორინგის საფინანსო-ეკონომიკურ მეთოდებზე დაყრდნობით, ადექვაკური დონის ორგანიზაციული ინსტრუმენტების გამოყენებით.

მრიგად, ხაზგასმით უნდა მივანიშნოთ, რომ სახელმწიფოს საგადასახადო რისკების ელემენტები ურთიერთკავშირშია. ეს მოცემულობა კი უსათუოდ მოითხოვს სახელმწიფოს დონეზე საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას. აღნიშნული გარემოება სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგის შინაარსის ორიენტირი ხდება; თვით ამ მონიტორინგის მიზანი ბიუჯეტის სტაბილურობის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ეკონომიკის მიღწევაა.

## **დასკვნა**

სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგი ბიუჯეტის შევსების პროცესის გზაზე არსებული საფრთხეების პრევენციის ერთ-ერთი ღირებული მოცემულობაა. ამასთან, საგადასახადო რისკის მონიტორინგი თავისი არსით რთული პროცესია – მაკროეკონომიკურ დონეზე მონიტორინგი საკმაოდ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა მოძრაობა და მათი სისტემაში მოყვანაა. აქ ყველა წარმატება კი თვით მონიტორინგის არსში ჩაწვდომით არის შესაძლებელი.

**Grigol Abzalava**

PhD Student of Business Administration, GTU

## **Monitoring of State Treasury related risks**

### **Abstract**

Economic stability of our country is heavily dependent of the stability of the state budget. However, the process relating to the availability of the latter is not fully fail-safe and is linked to treasury risks. In the space of treasury risks, state treasury risk is one of primary one, especially when it comes to the risk of fulfilling the budget. Therefore, successful monitoring is one of the key controls for such risks. Successful monitoring in itself may not be achievable, unless there is a thorough and in depth understanding of monitoring requirements and related rules and algorithms are being followed.

Key Words: Treasury risk, government treasury risk, treasury code, tax payer, monitoring of treasury risks, monitoring algorithm.

საერთაშორისო შრომითი ხელშეკრულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი (რომი 1. რეგლამენტისა და საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, საქართველოს კანონის მიხედვით)

## აბსტრაქტი

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მეტად შესამჩნევი გახდა „უცხო ელემენტით“ დატვირთული შრომითი ხელშეკრულებების სიმრავლე. ყოველდღიურად უამრავი სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება სხვა ქვეყნის მოქალაქესთან, რაც, თავის მხრივ, ქმნის პრობლემას – რომელი ქვეყნის სამართლით უნდა დარეგულირდეს მსგავსი ურთიერთობები? განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ურთიერთობებში გამოსაყენებელი სამართლის სწორად განსაზღვრის საკითხი.

„ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ევალეზა ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება/ჰარმონიზაცია.<sup>1</sup> ზემოაღნიშნული შეთანხმება სამართლებრივი მოწესრიგების მრავალ სფეროს მოიცავს, მათ შორის, კერძო სამართალსაც.

მოცემული სტატია აღწერს საერთაშორისო შრომითი ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი სამართლის განსაზღვრის მნიშვნელობას, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 593/2008 რეგლამენტისა (შემდგომში რომი 1) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს (1998 წლის 29 აპრილის) კანონის მაგალითზე.

მართალია, შეთანხმება არ მიუთითებს რომი 1. რეგლამენტზე, მაგრამ ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისთვის იგი კოლიზიური ნორმების მოსაწესრიგებლად უმნიშვნელოვანესი აქტია (სამოქალაქო და კომერციულ სამართალში სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით); ჰარმონიზაციის მიზნებიდან გამომდინარე კი, მნიშვნელოვანია ამ სფეროში შესაბამისი აქტების კვლევა, ანალიზი და მათი შედარება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტატიის ბოლოს, სამართლებრივი მსჯელობისა და არგუმენტაციის ფონზე, გამოვლენილია საყურადღებო ასპექტები, რომლებიც პრობლემური საკითხების გადაჭრის მართებულ გზებს გვთავაზობს.

## I. შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები

შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი ეფუძნება შრომის, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობას.

<sup>1</sup> იხ. „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.  
[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/116187/პარლამენტის\\_სამოქმედო\\_გეგმა](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/116187/პარლამენტის_სამოქმედო_გეგმა)

საერთაშორისო შრომის სამართალი არეგულირებს „უცხო ელემენტით დატვირთულ“ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს. „უცხო ელემენტი“ ვლინდება იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქე („დასაქმებული“), ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირია („დამსაქმებელი“)<sup>2</sup>.

სახელშეკრულებო ბალანსი შესაძლოა დაირღვეს შრომის ბაზარზე დასაქმებულისა და დამსაქმებლის არათანაბარი პოზიციების გამო. პრაქტიკაში, დამსაქმებელი, როგორც წესი, „ძლიერ მხარედ“ გვევლინება, რომელიც ცდილობს აიძულოს დასაქმებული მისთვის ხელსაყრელ პირობებზე დაითანხმოს. ასეთი ქმედებით დასაქმებულის, როგორც ხელშეკრულების „სუსტი მხარის“ კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა საფრთხის ქვეშ დგება. ყველაზე კარგად კი ეს შრომით ხელშეკრულებებში იკვეთება.

იმის გათვალისწინებით რომ ხელშეკრულების მხარეებმა შესაძლოა სადავოდ გახადონ გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებული ნორმები, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონმდებლობა და პრაქტიკა ცდილობს შექმნას სამართლის ისეთი მექანიზმები, რომლითაც მაქსიმალურად დაკმაყოფილდება შრომითი ხასიათის სახელშეკრულებო ურთიერთობათა მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო შრომითი ხელშეკრულების რეგულირებისას გამოიყენება შემდეგი მიმაგრების ფორმულები:

- სუბიექტური მიმაგრების ფორმულა – მხარეთა მიერ სამართლის არჩევა (ე.წ. ნების ავტონომია).
- ობიექტური მიმაგრების ფორმულა – სამართლის დადგენა, როცა მხარეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი.

ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ხელშეკრულება რეგულირდება იმ სამართლებრივი მართლწესრიგით, რომელთანაც მას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს.

მჭიდრო კავშირის კონცეფცია სასამართლოსთვის ერთგვარ ბერკეტს ქმნის ხელშეკრულების მოსაწესრიგებლად. ძირითად ეს მაშინ ხდება, როცა:

1. მხარეები ვერ თანხმდებიან გამოსაყენებელი სამართლის არჩევაზე;
2. მხარეები, უბრალოდ, არ ითვალისწინებენ ხელშეკრულების მიმართ მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხს;
3. გარკვეულ მიზეზთა გამო, ბათილდება მხარეთა მიერ არჩეული სამართალი.

მსგავსი შემთხვევებისათვის აუცილებელია ისეთი საკოლიზიო ნორმის არსებობა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართალს.

რაც შეეხება უშუალოდ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების საერთაშორისო კერძო-სამართლებრივად მაკვალიფიცირებელ უცხო ელემენტს, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, სამუშაოს შესრულების ადგილი, დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილი (სკსკ 36-ე მუხლის 1-ლი ნაწ. და 38-ე მუხლი)<sup>3</sup>, საქმიანობის ადგილი, რომლის მეშვეობითაც დასაქმებული დასაქმდა მის სამუშაო ადგილას, ან სხვა უშუალოდ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან მყოფი,

<sup>2</sup> იხ. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ 2011წ. გვ. 303

<sup>3</sup> იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (29.04.1998) მუხლი 35 (1); მუხლი 38;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

უფრო მჭიდრო კავშირი ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (რომი 1. რეგლამენტის მე-8 მუხლი)<sup>4</sup>.

## II. ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების რეგულირება რომი

### 1. რეგლამენტით

რომი 1. რეგლამენტით ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნები თავმოყრილია მე-8 მუხლში, სადაც კოლექტიური ხელშეკრულებები არ არის გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს სამუშაო პირობებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობების კონტექსტში.

მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულია, რომ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში მხარეთა მიერ სამართლის არჩევა არ უნდა ართმევდეს დასაქმებულს იმ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია იმ ქვეყნის იმპერატიული ნორმებით, რომლებიც ექვემდებარებოდა გამოყენებას, თუ კონტრაქტები არ აირჩევდნენ სხვა ქვეყნის სამართალს.

აქ იგულისხმება იმ ქვეყნის იმპერატიული ნორმები, რომლებიც დასაქმებულს სოციალურად იცავს. კერძოდ, სადაც: ა) დასაქმებული ჩვეულებრივ ასრულებს თავის სამუშაოს, თუნდაც იგი დროებით, მივლინებით გაამგზავრონ სხვა ქვეყანაში; ბ) საწარმო (ორგანიზაცია) მდებარეობს, რომელმაც მიიღო დასაქმებული სამუშაოდ, გ) თუკი იგი თავის სამუშაოს ჩვეულებრივ ასრულებს რომელიმე ქვეყანაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობიდან, შრომის ხელშეკრულება ან შრომითი ურთიერთობა უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ქვეყანასთან. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ უკანასკნელის სამართალი.<sup>5</sup>

რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებს შეეხება, აღნიშნულია, რომ მხარეების მიერ სამართლის აურჩევლობის შემთხვევაში, მოქმედებს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც დასაქმებული ხელშეკრულების შესრულების მიზნით ჩვეულებრივ ასრულებს სამუშაოს. შესრულების ადგილი არ მიიჩნევა შეცვლილად, როცა იგი დროებით სხვა ქვეყანაში ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობას (მაგ.: ბორტგამყოლები, რომლებიც მუშაობენ საჰაერო ხომალდზე, რომლებიც დამსაქმებლის სასარგებლოდ ასრულებენ სხვა სახის ვალდებულებებს, ან თუ არსებობს ბაზა, საიდანაც ხდება ფრენების ორგანიზება)<sup>6</sup>.

მოცემული ჩანაწერი დამატებაა ევროკავშირის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების საფუძველზე, დასაქმებულის მიერ სამუშაოს ჩვეულებრივ შესრულების ადგილის გასაფართოებლად. აღნიშნული შესაძლებელს ხდის ნორმის გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა დასაქმებული დამსაქმებლის სასარგებლოდ მოვალეობას ასრულებს სხვა ქვეყანაში<sup>7</sup>.

<sup>4</sup> იხ. Regulation (EC) no 593/2008 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I) art 8  
<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF>

<sup>5</sup> იხ. იოსელიანი ალ., „მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში“, სადისერტაციო ნაშრომი. 2010 წ. გვ.108

<sup>6</sup> იხ. Proposal for a regulation of the European Parliament and the Council on the Law applicable to contractual obligations (Rome I), p. 7

<sup>7</sup> იხ. შველიძე ზ., „საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის“; შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017. გვ. 46

მე-8 მუხლში მოცემულია სამი ალტერნატივა, რომლებიც გვთავაზობს დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, როცა მხარეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი:

1. დასაქმებული დაცული უნდა იყოს იმ ქვეყნის იმპერატიული ნორმებით, რომელშიც ის ჩვეულებრივ ასრულებს სამუშაოს.
2. თუ ასეთი ქვეყნის განსაზღვრა შეუძლებელია, დასაქმებულს იცავს იმ ქვეყნის იმპერატიული ნორმები, სადაც მდებარეობს მისი დამსაქმებელი დაწესებულება (ადგილზე მოქმედი სამართალი).
3. თუ ხელშეკრულება უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ქვეყანასთან გამოიყენება ამ ქვეყნის კანონმდებლობა (მჭიდრო კავშირის პრინციპი).

აქედან გამომდინარე, მხარეების მიერ ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამართლის არჩევის შემთხვევაში დასაქმებულის დაცვის მინიმალურ სტანდარტს ადგენს ის სამართალი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მხარეების მიერ ხელშეკრულების მიმართ მოქმედი სამართლის აურჩევლობის დროს.<sup>8</sup>

რეგულაციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ მოქმედი სამართალი ვერ დგინდება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებით, ხელშეკრულება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მდებარეობს მისი დამსაქმებელი დაწესებულება.<sup>9</sup> (მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, სად დაიდო შრომითი ხელშეკრულება, ეს დამაკავშირებელი ფაქტორი ძირითადად განკუთვნილია ღია ზღვაში ნავთობის მომპოვებელ ანძებზე, გემებსა და მსგავსი სპეციფიკის ადგილებზე მომუშავე დასაქმებულთათვის)<sup>10</sup>.

რეგულაციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ საქმის გარემოებების ერთობლიობიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებას უფრო მჭიდრო კავშირი აქვს სხვა ქვეყანასთან, მაშინ ამ ქვეყნის სამართალი მოქმედებს. ამ ნორმის ამოქმედების შემთხვევაში აღარ გამოიყენება მე-2-მე-3 პუნქტები<sup>11</sup>.

ამ მხრივ, საინტერესოა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებები Koelzsh<sup>12</sup>-ისა და Voogsgeerd<sup>13</sup>-ის დავებზე, რომლებიც შეეხება საერთაშორისო ტრანსპორტის სექტორში მომუშავე დასაქმებულთა შრომით სამართლებრივ ხელშეკრულებებს, სადაც სასამართლომ, მჭიდრო კავშირის განსაზღვრისას ასეთი განმარტება გააკეთა: ერთ შემთხვევაში, დასაქმებულის მიერ „სამუშაოს შესრულების ადგილად“ მიიჩნია ადგილი, სადაც ხდება ძირითადი ვალდებულებების შესრულება დამსაქმებლის სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ადგილი, სადაც დასაქმებული ასრულებს ძირითად სამუშაოს.

<sup>8</sup> იხ. *Garsimartin Alférez F.J.*, The Rome I Regulation: Much ado about nothing? The European Legal Forum (E) 2-2008

<sup>9</sup> იხ. ზაალიშვილი ვ., „სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკრულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები“, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ. 690.

<sup>10</sup> იხ. *Giuliano M., Lagarde P.*, Report on the Convention on the law applicable to contractual obligations.

<sup>11</sup> იხ. Regulation (EC) no 593/2008 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I) art 8 (4)

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF>

<sup>12</sup> იხ. ECJ, 15 March 2011, Case C-29/10

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62010CA0029>

<sup>13</sup> იხ. ECJ, 15 December 2011, Case C- 384/, Jan Voogsgeerd

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62010CJ0384&from=EN>



მსგავსი შინაარსის მატარებელია გადაწყვეტილებები, რომლებიც სასამართლომ მიიღო *Mulox*<sup>14</sup>, *Rutten*<sup>15</sup> და *Weber*<sup>16</sup> საქმეებში, სადაც ჯერ კიდევ 1992-ჯერ გამოიყენეს ტერმინი „სამუშაო ადგილი“, რომელიც მიუთითებდა სამუშაოს შესრულების ადგილსა და ცნებაზე „ჩვეულებრივ“, რაც განსხვავდებოდა სამუშაოს შესრულების ადგილისგან და მიუთითებდა ადგილს, სადაც დასაქმებული ძირითად ვალდებულებებს ასრულებდა.

### III. ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების რეგულირება საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში

კანონმდებელმა სკსკ 35-ე მუხლით საშუალება მისცა მხარეებს, აერჩიათ გამოსაყენებელი სამართალი. იმავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში კი დაკონკრეტებულია მხარეთა მიერ სამართლის არჩევის შედეგები (რათა არ დარჩნენ მხოლოდ მითითებების ამარა), სადაც ვკითხულობთ: „თუ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი, ასეთი არჩევანი გულისხმობს მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.“<sup>17</sup>

მიზანი ამ შემთხვევაში შემდეგია – მხარეთა ნება-სურვილის შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისშივე მათთვის სასურველი მატერიალური სამართალით დაარეგულირონ არჩეული სამართლებრივი ურთიერთობები და თავი აარიდონ იმ მითითებებს, რომლის გამოყენებითაც მათ მოუწევდათ დაედგინათ გამოსაყენებელი სამართალი, სამართლის აურჩევლობის შემთხვევაში.

შრომითი ხელშეკრულებების საკოლიზიო საკითხებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში ადგილი თითქმის არ ეთმობა, თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლს, რომელიც სოციალური დაცვის იმპერატიულ ნორმებს ეხება და, ფაქტობრივად, იდენტურ რეგულირებას ითვალისწინებს შრომითი და სამომხმარებლო ხელშეკრულებებისათვის<sup>18</sup>.

სკსკ 38-ე მუხლის თანახმად: „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს“<sup>19</sup>.

<sup>14</sup> ECJ, 13 July 1993, Case C-125/92, *Mulox IBC Ltd v. Hendrick Geels*

იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/HR/TXT/?uri=CELEX:61992CJ0125>

<sup>15</sup> ECJ, 9 January 1997, Case C-383/95, *Petrus Wilhelmus Rutten v. Cross Medical Ltd*

იხ. <https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61995CJ0383&qid=1579931249533&from=EN>

<sup>16</sup> ECJ, 27 February 2002, Case C-37/00, *Herbert Weber v. Universal Ogden Services Ltd*

იხ. <https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62000CJ0037&qid=1579931298641&from=EN>

<sup>17</sup> იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (29.04.1998) მუხლი 4 (3)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

<sup>18</sup> იხ. ზაალიშვილი ვ., „სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკრულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები“, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ. 682.

<sup>19</sup> იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (29.04.1998) მუხლი 38

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>



სკსკ-ის 38-ე მუხლით გათვალისწინებული დასაქმებულთა დაცვის მექანიზმი ძალზე განსხვავდება რომი 1. რეგლამენტში მოცემული ანალოგისაგან, რაც რამდენიმე მიმართულებით ვლინდება:

ქართული კანონმდებლობა ერთნაირად აწესრიგებს სამომხმარებლო და შრომით ხელშეკრულებებს. გამოსაყენებელი სამართლის იდენტიფიცირების ნიშნად სუსტი მხარის „საცხოვრებელი ადგილი“ მიჩნეული; თუ არჩეული ქვეყნის სამართალი „სუსტი მხარისათვის“ დაცვის ნაკლებ სტანდარტს ადგენს, სამართლის არჩევა ბათილად მიიჩნევა; ასევე კანონი არ ითვალისწინებს მხარეების მიერ გამოსაყენებელი სამართლის განუსაზღვრელობის შემთხვევას, შესაბამისად, არჩევანის არარსებობის დროს შრომით ხელშეკრულებებს ზოგად კოლიზიურ ნორმას (მუხლი 36) უქვემდებარებს.<sup>20</sup>

სკსკ 36-ე მუხლის მიხედვით, „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია“<sup>21</sup>.

კანონში რამდენიმე ხარვეზი შეიმჩნევა. დავუშვათ, კანონში მოცემული ვარაუდის საფუძველზე, სასამართლომ მითითება გააკეთა ქართულ სამართალზე, როგორც ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულზე. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმა ამ დროს საქართველოს შესაბამისი მატერიალური სამართლის გამოყენებაზე აკეთებს მითითებას, რომელიც კონკრეტული ტიპის (ვთქვათ, შრომით) ხელშეკრულებასთან მიმართებით გამოიყენება. იმ შემთხვევაში თუ საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეს, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებაში სწორედ ეს ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება სკსკ 38-ე მუხლის განხილვას „მჭიდრო კავშირის“ კონცეფციის ჭრილში, ნორმა მიგვითითებს, რომ ხელშეკრულების დადების და დამსაქმებლის საცხოვრებელი ადგილი ერთსა და იმავე ქვეყანაში უნდა მდებარეობდეს, რათა გამოყენებული იქნეს ამ ქვეყნის სამართლის დაცვის სტანდარტები. გაუგებარია ჩანაწერი „შეთანხმებულისა“ და „დადებულის“ შესახებ. რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ტერმინი „შეთანხმება“ არსებით პირობებზე შეთანხმებას გულისხმობს, რაც ხელშეკრულების დადებას ნიშნავს, შესაბამისად, რა დატვირთვა აქვს ტერმინს „შეთანხმებული“ ბუნდოვანია.

## დასკვნა

კერძო ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობები არ არსებობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა და მხარეთა ნების ავტონომიის გარეშე, იგივე დატვირთვა აქვს მას საერთაშორისო კერძო სამართალშიც.

<sup>20</sup> იხ. ზაალიშვილი ვ., „სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკრულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები“, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ. 684.

<sup>21</sup> იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (29.04.1998) მუხლი 36 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

მხარეთა მიერ სამართლის არჩევა დაშვებულია ორივე სამართლებრივ აქტში, სადაც გათვალისწინებულია იმპერატიული და ზეიმპერატიული ნორმები, ასევე მათი მოქმედების ფარგლები.

მხარეთა მიერ სამართლის აურჩევლობის შემთხვევაში ორივე აქტი იძლევა მითითებებს მჭიდრო კავშირზე, სადაც ვაწყდებით განსხვავებას როგორც ტერმინოლოგიურ, ისე შინა-არსობრივ დონეზე. კერძოდ, საერთო ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, რეგლამენტისთვის კოლიზიური საბამია „სამუშაოს შესრულების ადგილი“, როცა ქართულ სინამდვილეში ასეთად „საცხოვრებელი ადგილია“ მიჩნეული.

რომი 1. რეგლამენტი მჭიდრო კავშირის განსაზღვრებისათვის იყენებს როგორც „სამუშაოს ჩვეულებრივი შესრულების ადგილის“ ცნებას, ისე ადგილს, სადაც მდებარეობს პირის დამსაქმებელი დაწესებულება, ხოლო სკსკ მჭიდრო კავშირის ცნებას უკავშირებს „საცხოვრებელ ადგილს“.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ ქართულ კანონმდებლობაში საცხოვრებელი ადგილი „შეიძლება განიმარტოს ადგილად, რომელიც ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს და რომელსაც ძირითად საცხოვრებლად ირჩევს იგი“.<sup>22</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, რომელიც იძლევა საცხოვრებელი ადგილის დეფინიციას, ვკითხულობთ: „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად მიიჩნევს“.<sup>23</sup>

კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლებელია მხარეებმა სხვადასხვაგვარად მიიჩნიონ ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული სამართალი და ყოველი სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის საჭირო გახდეს მოსაწესრიგებლად შესაბამისი კრიტერიუმების ძიება. თუმცა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში „მჭიდრო კავშირის“ განსაზღვრისას რატომ არის „საცხოვრებელი ადგილის“ ცნება მიჩნეული დასაქმებულის დაცვის სტანდარტებისათვის „ყველაზე მჭიდრო კავშირად“, გაუგებარია, როცა ხშირ შემთხვევაში დამაკავშირებელ ფაქტორად გაგებულია იმ ქვეყნის „სამუშაოს შესრულების ადგილი“, სადაც პირია დასაქმებული.

სტატიაში განხილული შედარებების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დასაქმებულის დასაცავად არაა აუცილებელი ხელშეკრულება მის საცხოვრებელ ადგილას იყოს დადებული, ხელშეკრულება შეიძლება გაფორმებული იყოს ნებისმიერ ადგილას, მაგრამ დასაქმებულს ყოველთვის უნდა იცავდეს იმ ადგილის მოქმედი სამართლებრივი სტანდარტები, სადაც ის ჩვეულებრივ ასრულებს სამუშაოს. შესაბამისად, მსგავსი ჩანაწერი ხომ არ უარყოფს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს? ან ხომ არ უგულებელყოფს დასაქმებულის, როგორც „სუსტი მხარის“ დაცვის ნორმებს? რადგან შესაძლებელია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მხარეთა მიერ არჩეული სამართალით უფრო მაღალი სტანდარტით რეგულირდებოდეს მისი დაცვა. (ვიდრე საცხოვრებელი ადგილის, ან ხელშეკრულების დადების ადგილითაა განსაზღვრული).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარი პრობლემა, რომელსაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას ვაწყდებით არის საერთაშორისო კერძო

<sup>22</sup> იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწ. 2011, გვ 207

<sup>23</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26.06.1997) მუხლი 20

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

სამართლის შესახებ საქართველოს კანონის უზუსტობები და ბუნდოვანი ჩანაწერები. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რათა იგი დაუახლოვდეს ევროპულ კანონმდებლობას და „სუსტი მხარის“ ინტერესთა დაცვის სტანდარტები სათანადო დონეზე აიყვანოს საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.

კერძოდ, დასახვეწია 38-ე მუხლი, როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსობრივად. შესაბამისად, მოცემული ნორმა უნდა შეიცვალოს, დაემატოს სხვა ნორმები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ტერმინი „მუშა-მოსამსახურე“, რაც ყველაზე თვალშისაცემია, შეიცვალოს ტერმინით – „დასაქმებული“.
2. მუხლში მოცემული ხელშეკრულების ჩამონათვალიდან, ამოსაღებია ტერმინი „აგრეთვე“, რომელიც გამოყენებულია მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, რადგან ახალს არაფერს გვთავაზობს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების რეგულირებისთვის.
3. ამოსაღებია ტერმინი „შეთანხმებული“, რომელიც ტერმინი „დადებული“-ის საპირწონეა და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.
4. შრომითი ხელშეკრულებები უნდა გაიმიჯნოს სამომხმარებლო ხელშეკრულებებისგან და ცალკე მუხლი დაეთმოს შრომითი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხს.
5. საჭიროა განისაზღვროს მხარეთა მიმართ სამართლის არჩევისა და სამართლის აურჩევლობის შედეგად დასაქმებულის ინტერესთა დასაცავად მინიმალური სტანდარტების დამდგენი სამართალი.
6. საჭიროა დადგინდეს მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლები.
7. შრომითი ხელშეკრულებების რეგულირებისთვის კოლიზიურ საბამს უნდა წარმოადგენდეს არა „საცხოვრებელი ადგილი“, არამედ „სამუშაოს ჩვეულებრივ შესრულების ადგილი“ და „ყველაზე მჭიდრო კავშირის კონცეფცია“.
8. თუ მხარეთა მიერ არჩეული სამართალი „სუსტი მხარის“ დაცვის მიზნით უფრო დაბალ სტანდარტს გვთავაზობს, ნორმის ფორმულირება ისე უნდა მოხდეს, რომ დასაქმებულის დაცვა განხორციელდეს უფრო მაღალი სტანდარტის გამოყენებით ისე, რომ სამართლებრივ შედეგს ნორმის ბათილობა არ წარმოადგენდეს.
9. უნდა გაიმიჯნოს შიდა და საერთაშორისო ხასიათის იმპერატიული ნორმები კანონის 38-ე და მე-6 მუხლებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ რაც უფრო სტრუქტურული იქნება ნორმები საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში, მით უფრო სწორად მოხდება მისი გაგება. შესაბამისად, ის გავლენას მოახდენს მის სწორად გამოყენებაზე.

**Law applicable on International Employment Agreements**  
(according Rome 1 regulation and the Georgian Law on Private International Law)

**Abstract**

The involvement of number of ‘‘foreign elements’’ in employment agreements has become noticeable in Georgia during last years. Countless legal relationships are established with citizens of other countries every day, this in turn creates a problem of identification of legislation of which party should be applicable in such relations. The particular importance is the proper definition of the law applicable in these relations.

The Action Plan of the Parliament of Georgia on the Implementation of the Association Agreement between the European Union and Georgia of 2019-2020 states that Georgia has a duty to bring the country's legislation closer to / harmonize with the EU legislation<sup>24</sup>. The above agreement covers many areas of legal regulation, including private law.

---

<sup>24</sup> See. The Action Plan of the Parliament of Georgia for 2019-2020 on the Implementation of the Association Agreement between the European Union and Georgia.

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/116187/Parliament\\_Action\\_Program](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/116187/Parliament_Action_Program)

**მარინა კობახიძე**  
კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
დოქტორანტი  
(*ემღვნება დედის – დარეჯან ხასიას ხსოვნას,*  
*რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მე მომიძღვნა*)

**„გონივრული მისადაგების“ პრინციპის დაცვა,  
სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით**

**აბსტრაქტი**

მოცემული ნაშრომი ეხება „გონივრული მისადაგების“ ცნებას. თემის აქტუალობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში UNCRPD) რატიფიცირება. CRPD-ს შემოაქვს ისეთი ტერმინი, როგორცაა „გონივრული მისადაგების“ პრინციპი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის რატიფიცირებიდან გასულია 7 წელი, გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმა, როგორც დისკრიმინაციის ახალი ფორმა, დღემდე არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული კი ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საკუთარი უფლებების პრაქტიკაში რეალიზებისას.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია რამდენიმე კვლევა, თუმცა ვერ ვხვდებით სამეცნიერო სტატიათა თუ ნაშრომს. მოცემული ნაშრომი კი ამ საკითხის შესასწავლად წინ გადადგმული ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში, დასახული მიზნის მისაღწევად დეტალურადაა გაანალიზებული გონივრული მისადაგების ცნება აგრეთვე განსხვავება გონივრულ მისადაგებასა და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შორის, გონივრული მისადაგების მიღების აუცილებლობის სამართლებრივი კუთხე და მისი გავლენა არსებულ რეალობასთან. მიმოხილულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. ამასთანავე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გონივრული მისადაგების პრინციპთან მიმართებით.

**პირითადი ტექსტი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ და ისარგებლონ სხვა ადამიანებთან ერთად თანაბარი პირობებით, სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, რომლებიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ევროპის სოციალური ქარტიით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც აშკარად შეიმჩნევა ადამიანის უფლებათა დაცვის სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტების გამოვლინება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ამ სტანდარტებზე ადამიანთა თანასწორ ხელმისაწვდომობას და დისკრიმინაციის აკრძალვას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ბოხაშვილი ბ. – „დისკრიმინაციის აკრძალვა“, I პარაგრაფი. ხელმისაწვდომია <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284> {02.21.2020};

დისკრიმინაცია მე-17 საუკუნიდან ინგლისურ ენაში დამკვიდრებული ტერმინია, რომელსაც საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა *discriminatio*, რაც განსხვავებას ნიშნავს. შესაბამისად, ტერმინის ლინგვისტური მნიშვნელობა განსხვავებულ მოპყრობას გულისხმობს, თუმცა დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია, უნდა გაანალიზდეს თანასწორობის უფლების ჭრილში, რამდენადაც დისკრიმინაცია თანასწორობის უფლების დარღვევაა.<sup>2</sup>

თანასწორობა ადამიანის უფლებათა სამართლის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც, როგორც პრინციპი, გულისხმობს ადამიანის უფლებებით თანასწორად სარგებლობას და, მეორე მხრივ, ის არის ძირითადი უფლებების დამოუკიდებელი კატეგორია.<sup>3</sup>

დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა არ არის ახალი მოვლენა ჩვენი სამართლებრივი სისტემისათვის, ის დაგმობილი იყო ჯერ კიდევ 1921 წლის პირველი ქართული კონსტიტუციით, რომელიც თავისი იდეური ფასეულობებით ევროპის მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციების გვერდით იდგა და ზოგიერთი უფლების აღიარებაში მათზე მოწინავეც კი იყო.

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი. თუმცა გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ცნება არ არის ასახული შესაბამის კანონმდებლობაში. შედეგად, არც საერთო სასამართლოების და არც სახალხო დამცველი აპარატის თანასწორობის დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა, შეისწავლოს გონივრულ მისადაგებაზე უართან დაკავშირებული საქმეები.

„გონივრული მისადაგების“ ცნების არარსებობა საქართველოს კანონმდებლობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რაც გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების პრაქტიკულ რეალიზებაზე. დღესდღეობით აღნიშნული ტერმინი გამოიყენება მხოლოდ გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში (UNCRPD) და, შესაბამისად, ქვეცნობიერად ის ასოცირდება მხოლოდ შშმ პირებთან. მაგრამ გონივრული მისადაგების, როგორც პრინციპის ინტეგრირება კანონმდებლობაში, თავდაპირველად გვხვდება საერთო სამართლის ქვეყნების იურისპრუდენციაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში 1964 წლიდან. აშშ-ის სამოქალაქო უფლებების აქტით, სწორედ 1964 წელს განისაზღვრა დამსაქმებლის ვალდებულება, სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებისთვის გონივრულად მოერგო სამუშაო დრო (რელიგიურ დღესასწაულებთან, დასვენების დღეებთან მიმართებით), თუ ეს მორგება არ იქნებოდა ზედმეტი და არაგონივრული ტვირთი დამსაქმებლისთვის<sup>4</sup>. გონივრული მისადაგების პრინციპი ასევე აქტიურად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე.<sup>5</sup>

<sup>2</sup> *ძამაშვილი ბ.* - „დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები“, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელია (რედ), 2014 წელი, თბილისი.

<sup>3</sup> *ძამაშვილი ბ.* - „თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში“. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 2017 წელი.

<sup>4</sup> „ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის (ანგარიში), 2017 წელი. გვ: 30.

ხელმისაწვდომია

<http://phr.ge/assets/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98 %E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1.pdf> {02.21.2020};

<sup>5</sup> იქვე, გვ.: 31;



როგორც არაერთი კვლევა და პრაქტიკული მაგალითი გვიჩვენებს, შშმ პირებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა ის გარემოებაა, რომ უარი გონივრულ მისადაგებაზე, როგორც ასეთი, ცალსახად არ წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. აუცილებელია, რომ გონივრული მისადაგების პრინციპი ვრცელდებოდეს შშმ პირებზე. ასეთი პრაქტიკა არსებობს ევროკავშირის ზოგ ქვეყანაში და არა მარტო იქ, არამედ ევროკავშირის ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, კანადაში.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს გონივრული მისადაგების ცნების განმარტება. ამასთანავე, ნაშრომი დაასაბუთებს იმას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, „გონივრულ მისადაგებაზე“ უარი კანონმდებლობაში აისახოს როგორც დისკრიმინაციის განსხვავებული, დამოუკიდებელი ფორმა, როგორც ეს არის დიდ ბრიტანეთსა და შვედეთში. გარდა ამისა, ამ ცნების არსებობა კანონში? შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას ყველა უფლებასთან დაკავშირებით.

თანასწორობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია. ის ადამიანის კეთილდღეობის წინაპირობაა, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება<sup>6</sup>. პირველი გლობალური მასშტაბის დეკლარაციის მიღება, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას განურჩევლად კანის ფერისა, წარმოშობისა თუ მრწამსისა – უდავოდ გაბედული წამოწყება იყო, რომლის წარმატება იმ დროს სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა<sup>7</sup>. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომლის პირველი მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი იზადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“. რეგიონულ დონეზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მისი მე-14 მუხლი. დისკრიმინაციის შესაძლო ფორმები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-14 მუხლში, ამომწურავი არ არის და დებულება „სხვა სტატუსი“ ფართო დისკრეციას უტოვებს კონვენციის საზედამხედველო ორგანოს, დაადგინოს დისკრიმინაციის არსებობა ისეთ საფუძველზე, რომელიც ნათლად და ერთმნიშვნელოვნად არ არის მოხსენებული კონვენციის მე-14 მუხლში.

დისკრიმინაცია, რომლის მთავარი მიზანია გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფაა.<sup>8</sup>

საყურადღებოა, რომ დისკრიმინაცია არის საკმაოდ კომპლექსური სამართლებრივი კატეგორია, რომელიც ვლინდება სხვადასხვა სახით და, აქედან გამომდინარე, დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლა საჭიროებს მისი სამართლებრივი ბუნების ზუსტად განსაზღვრას.<sup>9</sup>

კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა იმდენად მნიშვნელოვან და ფართო ასპექტს მოიცავს, რომ ამ კონცეფციის ვიწროდ ან მხოლოდ სიტყვასიტყვით განმარტება,

<sup>6</sup> შუკაკიძე ვ. – „თანასწორობა და დისკრიმინაცია“,

<https://www.academia.edu/35910152/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90> [02.15.2020].

<sup>7</sup> იქვე;

<sup>8</sup> ბოხაშვილი ბ. – „დისკრიმინაციის აკრძალვა“, <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284> [02.15.2020].

<sup>9</sup> ძამაშვილი ბ. – „დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია და მისი გამოვლენის ფორმები“, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელია (რედ), 2014 წელი, თბილისი.

დააკნინებდა მის სამართლებრივ მნიშვნელობას.<sup>10</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეულად და ჯეროვნად გაანალიზება და ამასთანავე, აუცილებელია, გავითვალისწინოთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული არა მხოლოდ ფორმალური, არამედ პრაქტიკული მხარეებიც.

სახელმწიფოს როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში. დისკრიმინაციის აკრძალვა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოხსენებული. პრაქტიკაში უმეტესწილად გვხვდება დისკრიმინაციის გამოვლინება პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებში.

პირდაპირი დისკრიმინაციის კონცეფცია ეწინააღმდეგება ფორმალური თანასწორობის იდეას და წარმოადგენს თანაბარ პირობებში მყოფი პირების არათანასწორ მოპყრობას აკრძალულ ნიადაგზე.<sup>11</sup>

არაპირდაპირ დისკრიმინაციას ვხვდებით მაშინ, როდესაც გარკვეული პრაქტიკა, მოქმედი ნორმა, მოთხოვნა ან პირობა, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ჩანს, მაგრამ მათი შედეგი ან ზეგავლენა ნეგატიურად მოქმედებს კონკრეტულ ჯგუფზე.<sup>12</sup>

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონსოლიდირება და სრულყოფა მოახდინა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ანტიდისკრიმინაციული ნორმებისა. კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. კანონმდებლობაში მოცემული და განმარტებულია როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დისკრიმინაციის ცნება. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა ის გარემოებაა, რომ უარი გონივრულ მისადაგებაზე, ცალსახად არ არის დისკრიმინაციის ფორმა, აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით.

როგორ უნდა იყოს განსაზღვრული გონივრული მისადაგების ვალდებულება: როგორც პირდაპირი დისკრიმინაცია, არაპირდაპირი დისკრიმინაცია თუ დისკრიმინაციის ცალკე, დამოუკიდებელი ფორმა? გონივრული მისადაგების ვალდებულება არის დისკრიმინაციის განსხვავებული ფორმა.

შეიძლება სადავო გახდეს „გონივრული მისადაგების პრინციპის“, როგორც დისკრიმინაციის ახალი ცნების არსებობის აუცილებლობის საკითხი მაშინ, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრულია დისკრიმინაციის ორი ფორმა – პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი დისკრიმინაციის დებულებებისგან განსხვავებით, რომლებიც მოითხოვს იდენტურ მოპყრობას ან ფორმალურად თანასწორ მოპყრობას, გონივრული მისადაგების ვალდებულება მოითხოვს განსხვავებულ მოპყრობას იმ ადამიანებისას, რომელთა მდგომარეობაც განსხვავებულია.<sup>13</sup>

რაც შეეხება არაპირდაპირ დისკრიმინაციასა და გონივრულ მისადაგებას შორის გასხვავებას, ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება არის ის, რომ პირველი მიემართება ჯგუფს, ხოლო

<sup>10</sup> ზოხაშვილი ბ. – „დისკრიმინაციის აკრძალვა“, <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284> [02.16.2020].

<sup>11</sup> დისკრიმინაციის აკრძალვა (საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი). საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. თბილისი, 2014 წელი. გვ.:4; ხელმისაწვდომია <https://gdi.ge/uploads/other/0/188.pdf> [02.23.2020];

<sup>12</sup> იქვე;

<sup>13</sup> Disability Rights and Wrongs (Routledge, London, 2006).



მეორე – ინდივიდს. არაპირდაპირი დისკრიმინაცია „მოითხოვს იმის დადგენას, რომ იმ ადამიანების მოზრდილი ჯგუფი, რომლებიც იზიარებენ რომელიმე დაცულ მარჯვენებელს, არის ან პოტენციურად იქნება ჩაყენებული წამგებიან პოზიციაში განსახილველი ღონისძიების შედეგად“<sup>14</sup>.

საქმეზე „იასინსკისი ლატვიის წინააღმდეგ“<sup>15</sup> სტარსბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იყვნენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფი და სასჯელადსრულების დაწესებულება სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული მათი შეზღუდვის და საჭიროების თაობაზე. ამასთანავე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გონივრული მისადაგება, მათი საჭიროების შესაბამისად.

ხოლო საქმეზე „ჩემი თურქეთის წინააღმდეგ“<sup>16</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობისა და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს უარი შშმ პირთა დისკრიმინაციის საფუძველზე ეთქვა, ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონია მცდელობა დაედგინა განმცხადებლის საჭიროებები. მან ასევე აღნიშნა, რომ აკადემია არ ქმნიდა შესაბამის პირობებს უსინათლო სტუდენტებისთვის გაკვეთილებზე დასასწრებად. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიღებაზე უარის თქმა, რომელიც მხოლოდ მის უსინათლობაზე იყო დაფუძნებული, ასევე უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას მხედველობაში არ მიუღია შშმ პირთათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

აღსანიშნავია, რომ გონივრული მისადაგების, როგორც დისკრიმინაციის ახალი ცნების, ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში მას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებად აქცევს. კერძოდ, გონივრული მისადაგების ვალდებულება ექვემდებარება დაუყოვნებლივ შესრულებას: გონივრული მისადაგების ღონისძიებების მიღება არ არის ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება შესრულდეს თანდათანობით, რათა სრულად მოხერხდეს, რომ უმცირესობათა ჯგუფები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთოს და მონაწილეობდეს. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში მკაფიოდ იყოს განმარტებული გონივრული მისადაგების პრინციპი, რათა აღნიშნულმა ტერმინმა არ გამოიწვიოს დაბნეულობა მოსამართლეებსა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებში და, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს უმცირესობებისათვის თანასწორობა, რაც გამოიწვევს დისკრიმინაციის ფაქტების შემცირებას და გააუმჯობესებს მათ უფლებრივ მდგომარეობას.

კანადის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით,<sup>17</sup> გონივრული მისადაგება სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, შესაძლებელია ასევე გავრცელდეს – შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერულ, ეთნიკურსა და ასაკობრივ ნიშანთან დაკავშირებულ შემთხვევებზე. გონივრული მისადაგების ვალდებულება აქვს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს და ვრცელდება დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის სფეროებსა და მომსახურების მიწოდების პროცესზე.

<sup>14</sup> დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროს იურიდიული ექსპერტების ევროპული ქსელი, გონივრული მისადაგება ევროპაში, 2013.

<sup>15</sup> Jasinskis v. Latvia (Application no. 45744/08). ხელმისაწვდომია <http://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-102393> {02.23.2020};

<sup>16</sup> ÇAM v. TURKEY (Application no. 51500/08) ხელმისაწვდომია <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-161149> {02.23.2020};

<sup>17</sup> Bribosia, E. & Rorive, I (2013). Reasonable Accommodation beyond Disability in Europe? European network of Legal Experts in the Non-discrimination field.

სასამართლოს იურისპრუდენციაში გონივრული მისადაგების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეს – „თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ“<sup>18</sup>, რამაც მე-14 მუხლთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა შეცვალა. სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნულ საქმეში მიუთითა, რომ სახელმწიფოს წარუმატებლობა გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაში შეიძლება შეფასდეს, როგორც დისკრიმინაცია. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციასა და გონივრული მისადაგებით ამ დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა მეორე პრეცედენტული საქმე: „გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ“<sup>19</sup>. აღნიშნულ საქმეში მოცემული იყო როგორც გონივრული მისადაგების გამოუყენებლობის, ისე ირიბი დისკრიმინაციის ფაქტი. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, განეხორციელებინა გარემო პირობების გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ სამხედრო სამსახურის გავლისთვის.

## დასკვნა

როგორც კვლევამ აჩვენა, აუცილებელია სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან დაცვის მიზნით და გონივრული მისადაგების პრინციპის საკანონმდებლო დონეზე ასახვა.

ეროვნული კანონმდებლობით უნდა შეიქმნას თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური შეფასების პროცედურები და, შესაბამისად, მისი პრაქტიკაში იმპლემენტაციის მძლავრი საკანონმდებლო ბერკეტი. კვლევა ცხადყოფს, რომ უმცირესობის უფლებებისა და მათი შესაძლებლობების განვითარების პრინციპი არ ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არ მოიცავს „გონივრული მისადაგების“ პრინციპს, რომელიც CRPD-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაციაა და რომელიც გონივრული მისადაგების გათვალისწინებაზე უარის თქმას დისკრიმინაციის სახედ განიხილავს. გონივრული მისადაგება აუცილებელია და, შესაბამისად, ჩასატარებელია სათანადო მოდიფიკაცია და კორექტირება, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულ შშმ პირს მათი უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობით. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ უზრუნველყოს კონკრეტული სამართლებრივი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახდეს კონსტიტუციური პრინციპების დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანობა.

ანტიდისკრიმინაციული კანონით ერთმანეთისგან გამიჯნულია პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, თუმცა ისინი კანონით თანაბრად იკრძალება. მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოცემული კანონი რეალურად ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების ეფექტურად დაცვასა და მათი აღდგენის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტი კი სახელმწიფოში შიდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობას მოითხოვს. ეს დისკრიმინაციის მსხვერპლებს დარღვეული უფლებების აღდგენის რეალურ შესაძლებლობას მისცემს. სამართლებრივი საშუალებები ერთდროულად უნდა მოიცავდეს როგორც რეპრესიულ და პრევენციულ, ისე რესტიტუციულ (სამოქალაქო) მექანიზმებს. არსებულ საკანონმდებლო

<sup>18</sup> Thlimmenos v. Greece, 6 April 2000.

<sup>19</sup> Glor v. Switzerland, 30 April, 2009.

რეალობაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი რეპრესიული მექანიზმი სისხლის სამართლის კოდექსია, მაგრამ რადგან დისკრიმინაციის საფუძველზე უფლების დარღვევა ხშირად არ აღწევს ძალადობის ან უფლების ხელყოფის საკმარის ინტენსივობას, დისკრიმინაციის ყველა შესაძლო ფორმა არ არის დანაშაული. შედეგად, დისკრიმინაციის ფაქტების უმრავლესობა ყოველგვარი სამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის მუდმივი პროცესის უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა სტანდარტების განვითარებასთან ერთად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადაპტირება ახალ რეალობასა და გამოწვევებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ, აისახოს „გონივრული მისადაგების პრინციპი“, როგორც დისკრიმინაციის ცალკე, დამოუკიდებელი ფორმა.

**Marina Kobakhidze**

**PhD student at the Caucasus University School of Law**

### **Adherence to the principle of reasonable suitability According to the case law of the Strasbourg court**

#### **Abstract**

This article is about the concept of “Reasonable Accommodation”. In 2013, Parliament of Georgia ratified the EU Convention on the Rights of Persons with Disabilities (UNCRPD), that made the topic relevant. The CRPD introduce a term such as the principle of the “Reasonable Accommodation”. However, despite the fact that for seven years now the convention was ratified, there has been no refusal of reasonable accommodation in Georgian law yet, as a reflection of new form of discrimination. This prevents people with disabilities from exercising their rights in practice.

There are posting several research about this topic. However, not work or not even scientific article has been published on this issue yet. Thus, this document is an important step forward to explore this issue.

Within the scope of this work ,in order to reach the seat goal, it will be analyzed in details the main concept of “reasonable accommodation. Also, different between reasonable accommodation and indirect discrimination. The legal aspects of the necessity of reasonable accommodation and its impact with the existing reality. Moreover, reviewed as concept of UNCRPD, as decision of the European Court of Human Rights with respect to the principle of reasonable accommodation.

**გივი კაკუშაძე**  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
მაგისტრატურის სტუდენტი  
**სალომე ჯალაღანია**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მაგისტრატურის სტუდენტი

### **დამოუკიდებლობის პრინციპის მნიშვნელობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში აბსტრაქტი**

დამოუკიდებლობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისა ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.

დამოუკიდებლობის პრინციპი განმტკიცებულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში, რომლის 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება, იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს დამოუკიდებლობის პრინციპს ადვოკატის საქმიანობაში. კოდექსის თანახმად, რიგი მოვალეობები, რომლებიც ადვოკატს აკისრია, მოითხოვს მის სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან, განსაკუთრებით ისეთი გავლენისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებისა ან გარეშე ზეწოლისაგან. ასეთი დამოუკიდებლობა აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ნდობისთვის, ისევე როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობისთვის. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს მისი თავისუფლების ნებისმიერი სახით მიკერძოება და გაუფრთხილდეს მისი პროფესიული სტანდარტების კომპრომეტირებას, რათა ასიამოვნოს კლიენტი, სასამართლო ან მესამე მხარე. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი დამოუკიდებლობის პრინციპზე საუბრისას ასევე დასძენს, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა აუცილებელია არასადავო საქმეებში, ისევე როგორც სასამართლო დავებში. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევას ფასი

არა აქვს, თუ მისი მიზანია ადვოკატის დაფასება, მის პირად ინტერესებს ემსახურება ან გარეშე ზეწოლის შედეგად განხორციელდება.

ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული პრაქტიკა ეთიკის კომისიის პრეცედენტების საფუძველზე. ასევე მოყვანილია ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და შემოთავაზებულია პრეცედენტული მაგალითები, რომლებიც დააინტერესებს არა მარტო ადვოკატის პროფესიის ადამიანებს, არამედ თავისუფალ მკითხველს.

დასკვნის სახით მოცემულია დამოუკიდებლობის პრინციპის მნიშვნელობის და გამოყენების შესახებ მსჯელობა, რომელიც ადვოკატს, როგორც თავისუფალი პროფესიის პირს, იცავს ყოველგვარი შინაგანი თუ გარეშე ზემოქმედების ფაქტორებისაგან.

## აბსტრაქტი

„ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ“ – აღნიშნული წესი მოცემულია საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მეორე მუხლში.

მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში და ურთიერთკავშირშია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა პრინციპებთან. ნაშრომში განხილულია დამოუკიდებლობის პრინციპი, მისი არსი და მიმართება ადვოკატის დანარჩენ პრინციპებთან. ასევე მოყვანილია ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და შემოთავაზებულია პრეცედენტული მაგალითები, რომლებიც დააინტერესებს არა მარტო ადვოკატის პროფესიის ადამიანებს, არამედ თავისუფალ მკითხველს.

## ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრინციპები

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი იწყება შემდეგი სიტყვებით<sup>1</sup>: „ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.“

ამ პრინციპების მნიშვნელობას ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მკაფიოდ აქვს ხაზი გასმული, რომლის თანახმად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრეამბულაში გაცხადებულია საადვოკატო საქმიანობის მნიშვნელოვანი პროფესიული ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობს ადვოკატის, როგორც

<sup>1</sup> საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 1-ლი მუხლი, ხელმისაწვდომია: [http://www.legalaid.ge/files/1/GBA\\_Code.pdf](http://www.legalaid.ge/files/1/GBA_Code.pdf) [12.01.2020].

თავისუფალი პროფესიის პირის, საქმიანობას დამოუკიდებლად, კანონიერების პრინციპის დაცვითა და ისეთი მაღალი სტანდარტებით, რომლებიც უნდა განაპირობებდეს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებასა და განმტკიცებას.<sup>2</sup>

ეთიკის კოდექსის თითოეული პრინციპი, როგორც საადვოკატო საქმიანობისას სახელმძღვანელო ღირებულებების მნიშვნელობა, საინტერესოდ წარმოჩინდა ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს პრაქტიკაში.<sup>3</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ<sup>4</sup>, რომლის მესამე მუხლი ჩამოთვლის საადვოკატო საქმიანობის ძირითად პრინციპებს:

- ა) კანონიერება;
- ბ) სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება;
- გ) პროფესიული კომპეტენტურობა;
- დ) ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა;
- ე) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- ვ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ზ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
- თ) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ი) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- კ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- ლ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

კანონი ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებასა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას. მათ შორის პროფესიული საიდუმლოების, სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების, მათი პროფესიული საიდუმლოებისა და კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების განუხრელად შესრულებას.<sup>5</sup>

### ადვოკატის პროფესიული საქმიანობა

პროფესია ადვოკატი მნიშვნელოვან როლს თამაშობს იურიდიულ პროფესიებში, რადგან ის მართლმსაჯულების ოჯახის განუყოფელი რგოლია<sup>6</sup>.

დემოკრატიულ საზოგადოებებში ადვოკატები უდავოდ თამაშობენ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც ვერცერთი სხვა პროფესიონალი ვერ შეასრულებს: ადვოკატი არის სამართლის

<sup>2</sup> ე. გასიტაშვილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებების შეტანის შესახებ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი "ადვოკატი", N1, 2013, 27.

<sup>3</sup> თ. ხუბულური, ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები 2014-2016 წწ., თბილისი, 2016, 10.

<sup>4</sup> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472?publication=21> [12.01.2020].

<sup>5</sup> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

<sup>6</sup> ი. ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია - ადვოკატი, თბილისი, 2018, 6.



უზენაესობის დამცველი, დამცველი იდეალისა, რომელშიც ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და ამისათვის განსაკუთრებულ მოპყრობას არ იღებს და არც მოელოს.<sup>7</sup>

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში<sup>8</sup>.

ადვოკატი (ლათ. „Advocatus“ მომდინარეობს სიტყვიდან „advoco“ – „ვიხმობ“) არის პირი, რომლის მოვალეობაა იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეს ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებას. ადვოკატი პროცესის მონაწილეა და დამოუკიდებელი საპროცესო უფლებები აქვს<sup>9</sup>.

საადვოკატო პროფესიის ადგილს იურიდიულ პროფესიაში და მისდამი საზოგადოების განწყობას, ნდობას მრავალწილად განსაზღვრავს თვითონ ადვოკატთა საქმიანობა, პროფესიული სტანდარტებისადმი კორპუსის წარმომადგენელთა მიდგომა, პროფესიული მომზადების დონე, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური პროფესიული პრაქტიკა, და, ამ მხრივ, ორმაგად მნიშვნელოვანია პროფესიაში ახლად შემოსულ წევრთა თუ ამ პროფესიით დაინტერესებულ პირთა თავიდანვე სწორი მიდგომა პროფესიისადმი, რათა არ დაკნინდეს ის როლი და დანიშნულება, რომელიც ამ პროფესიის წარმომადგენელთა უშუალო ჩართულობით არის განსახორციელებელი<sup>10</sup>.

ადვოკატის მოვალეობაა იურიდიული რჩევა მისცეს მოქალაქეებს, შეუდგინოს მათ სამართლებრივი დოკუმენტები, განუმარტოს იურიდიული საკითხები, შეაფასოს რისკები, გაუწიოს წარმომადგენლობა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოვიდეს ბრალდებულის დამცველად<sup>11</sup>.

### ადვოკატის უფლებები

საადვოკატო საქმიანობა მრავალფეროვანია და ადვოკატის პროფესიაში არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, კერძოდ, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის იურიდიული რჩევის მიცემიდან დაწყებული, კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას, მათ შორის, ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას<sup>12</sup>.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კლიენტის ინტერესებისადმი ერთგულების ვალდებულებაა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის დამოუკიდებლად რჩევის მიცემას. როდესაც დამოუკიდებლობას გარეშე გავლენა უშლის ხელს, შესაძლოა არსებობდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების

<sup>7</sup> ჯ. მოლიტერნო, ჯ.ჩ. ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, (მთარგმნელი: ირინა ჯაფარიძე), თბილისი, 2014, 2.

<sup>8</sup> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.

<sup>9</sup> იხ.: <https://ka.wikipedia.org/wiki/ადვოკატი>, [12.01.2020].

<sup>10</sup> ი. ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 6, 7.

<sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [13.01.2020].

<sup>12</sup> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

საფრთხე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ყველა ცალკეულ კლიენტთან დაკავშირებით<sup>13</sup>.

ადვოკატის დამოუკიდებლობა მკაფიოდ გამოხატულია მის უფლებებშიც. ადვოკატი თავისუფალია ყოველგვარი ზემოქმედებისაგან და ასეთი დამოუკიდებლობა პირდაპირ მიუთითებს მისი საქმის ეფექტურად განხორციელებაზე.

ადვოკატს უფლება აქვს:

- ა) წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
  - ბ) კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები;
  - გ) დაუბრკოლებლად, ნებისმიერ დროს და კონტროლის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირისპირ შეხვდეს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ადგილებში მოთავსებულ პირს, იქონიოს მასთან მიმოწერა;
  - დ) პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება;
  - ე) ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით<sup>14</sup>.
- ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით<sup>15</sup>.

ადვოკატის უფლებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მას შეუძლია ისარგებლოს საპროცესო კანონით დადგენილი სხვა უფლებებით. კანონმდებელი ხშირად ნორმას გარკვეულწილად „ღიად“ წარმოაჩენს და მას განვითარების უნარს ანიჭებს<sup>16</sup>. თავისუფალი პროფესია გულისხმობს თავისუფალი მოქმედებების ერთობლიობას, ამის გამო კანონმდებლობით ვერ იქნება ზუსტად განსაზღვრული იმ უფლებათა ჩამონათვალი, რომელიც ადვოკატმა შეიძლება განახორციელოს.

### დამოუკიდებლობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა

ადვოკატის დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის ძირითადი ელემენტია. ამიტომ ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპს დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში. ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა, თავის მხრივ,

<sup>13</sup> ს. ჩაჩავა, ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კონფიდენციალობის ვალდებულებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, თბილისი, 2018, 123.

<sup>14</sup> ზ. ხატიაშვილი, დ. ასათიანი, ი. ყანდაშვილი და სხვები, სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ, თბილისი, 2016, 9-10.

<sup>15</sup> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

<sup>16</sup> რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბილისი, 2009, 94.



ნდობისა, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვის გარანტია<sup>17</sup>.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლით, განმტკიცებულია დამოუკიდებლობის პრინციპი. დამოუკიდებლობა საადვოკატო საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპია, რადგან ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი და მისთვის აუცილებელია იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი, თავი შეიკავოს ყოველგვარი ზემოქმედებისა და სუბიექტური შეხედულებებისაგან.

ადვოკატის დამოუკიდებლობის გარანტიები მოცემულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლში, რომლის თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება, იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.

ამგვარი გარანტიები, პირველ რიგში, კლიენტის ინტერესების დაცვას და მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება, მაგრამ ამავდროულად იცავს ადვოკატს, რომელიც არ მოექცევა ზეწოლის ქვეშ და არ მისცემს ჩვენებას საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ<sup>18</sup>.

ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, ბუნებრივია, შებოჭილია პროფესიულ საქმიანობაში და ამგვარი ბოჭვა გამომდინარეობს კანონმდებლის ნებიდან: ადვოკატი ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის კოდექსს, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა მესამე პირთა მხრიდან გავლენის/ზეწოლის გარდა კლიენტის უკანონო მოთხოვნის შესრულების არიდების ვალდებულებას მოიცავს, რაც, საბოლოოდ, ემსახურება თვით კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ადვოკატთა კორპორაციულ მიზანს – ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფალ გარემოში განახორციელონ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისას პროფესიული საქმიანობა და გაამართლონ საზოგადოების მოლოდინი პროფესიისადმი ნდობის თვალსაზრისით<sup>19</sup>.

საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობა იურიდიულ ლიტერატურაში სიტყვა „თავისუფლებასთან“<sup>20</sup> ერთად განიხილება. დამოუკიდებლობა და თავისუფლება ის ძირითადი ფუნდამენტური უფლებებია, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო დირექტივებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა შიდასახელმწიფოებრივი კანონებით. მოცემული უფლებები არა მხოლოდ ინდივიდუალური/პიროვნების უფლებებია, არამედ პროფესიული ღირსების შენარჩუნების სტანდარტებია, რომელთა უპირობო დაცვა შემდგომში ადვოკატის წარმატებასაც

<sup>17</sup> მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორმახია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბილისი, 2011, 5.

<sup>18</sup> მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორმახია, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 18, 6.

<sup>19</sup> თ. ხუბულური, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 3, 11.

<sup>20</sup> თავისუფლება - თვითგანსაზღვრის შესაძლებლობა, იძულების არარსებობა, იხ.: <https://ka.wikipedia.org/wiki/თავისუფლება>, [13.01.2020].

განაპირობებს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ ექცევა ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ და რეგულირების უფლებამოსილება ენიჭება თავად პროფესიას, დამოუკიდებელია პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ინტელექტუალურად<sup>21</sup>.

ადვოკატის დამოუკიდებლობა დაკავშირებულია მის შინაგან დამოუკიდებლობასთან იყოს საკუთარ საქმიანობაში თავისუფალი, განახორციელოს და დაგეგმოს პროფესიული სტრატეგია ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, საკუთარი რწმენისა და პროფესიული გამოცდილების შედეგად.

ადვოკატზე ზემოქმედების ფაქტორები შეგვიძლია ოთხ კატეგორიად დავყოთ:

- სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურისაგან;
- დამოუკიდებლობა მესამე პირთა ზეგავლენისგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან;
- დამოუკიდებლობა კლიენტისაგან;
- დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე<sup>22</sup>.

ამგვარი ჩამონათვალი, ბუნებრივია, ამომწურავი არ არის, თუმცა მოიცავს ყველა იმ ძირითად ფაქტორს, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ადვოკატზე ზემოქმედება.

პროფესია ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლია და პასუხს აგებს ხარისხიან მართლმსაჯულებაზე სისტემის სხვა რგოლებთან, სასამართლო ხელისუფლებასა და სახელმწიფო ბრალდებასთან ერთად, შესაბამისად, საადვოკატო პროფესიის ადგილი თანაბარწილად მნიშვნელოვანია იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად<sup>23</sup>.

## დამოუკიდებლობის პრინციპი საზღვარგარეთის ქვეყნებში

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ცალკე თავად გამოყოფს ადვოკატის დამოუკიდებლობის საკითხს. ადვოკატის პროფესია მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან<sup>24</sup>.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის<sup>25</sup> მიხედვით, რიგი მოვალეობები, რომლებიც ადვოკატს აკისრია, მოითხოვს ადვოკატის სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან, განსაკუთრებით ისეთი გავლენისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებიდან ან გარეშე ზეწოლისაგან. ასეთი დამოუკიდებლობა აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ნდობისთვის, ისევე როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობისთვის. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს მისი თავისუფლების ნებისმიერი სახით მიკერძოება და გაუფრთხილდეს მისი პროფესიული სტანდარტების კომპრომეტირებას, რათა ასიამოვნოს კლიენტი, სასამართლო ან მესამე

<sup>21</sup> ნ. სვანიძე, ს. აბულაძე, პასუხისმგებლობა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპების დარღვევისათვის (გადაწყვეტილებათა ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, თბილისი, 2018, 252, ხელმისაწვდომია: <<https://legalethicschair.newvision.ge/>> [13.01.2020].

<sup>22</sup> ე. გასიტაშვილი, ეთიკის კომისიის საქმიანობა: პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013 წწ., თბილისი, 2013, 10.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორმახია, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 18, 6.

<sup>25</sup> ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.1. მუხლი.

მხარე. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი დამოუკიდებლობის პრინციპზე საუბრისას ასევე დასძენს, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა აუცილებელია არასადავო საქმეებში, ისევე როგორც სასამართლო დავებში. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევას ფასი არა აქვს, თუ მისი მიზანია ადვოკატის დაფასება, მის პირად ინტერესებს ემსახურება ან გარეშე ზეწოლის შედეგად განხორციელდება.

კლიენტის მიმართ ერთგულების ვალდებულება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტია. ადვოკატი ვალდებულია კლიენტი უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, ადვოკატი თავისი კლიენტის სახელით უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას<sup>26</sup>.

ზოგიერთ ევროპულ იურისდიქციებში „დამოუკიდებლობა“ იხმარებასახელმწიფო კონტროლთან მიმართებით. ამ კუთხით „დამოუკიდებლობა“ გამოხატავს სახელმწიფო პოზიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მზაობას. აშშ-ში დამოუკიდებლობის ეს მნიშვნელობა უკვე წინასწარ განსაზღვრულია, ვინაიდან ადვოკატის სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი დამლუპველია ამერიკული სამართლის სისტემისათვის<sup>27</sup>.

საფრანგეთში, ტერმინი „დამოუკიდებლობა“ ვრცელდება განსაკუთრებულად რადიკალურ იდეალებზე. ტრადიციულად, ადვოკატი იყო დამოუკიდებელი პირი, იგი ეხმარებოდა ადამიანს, რომლის პოზიციასაც იზიარებდა და ვისაც მისი დახმარება ესაჭიროებოდა. ადვოკატი არ იყო კლიენტის აგენტი და, შესაბამისად, კლიენტი ვერ აკონტროლებდა ადვოკატს. ადვოკატს თავისუფლად შეეძლო აეყვანა კლიენტი ან უარი ეთქვა მისთვის და მისი საქმის წარმოებაზე დათანხმების შემდეგაც, შეძლო მასთან ურთიერთობის შეწყვეტა დროული გაფრთხილების მიცემის შემდეგ. უფრო მეტიც, ადვოკატებს შორის კომუნიკაცია ითვლებოდა კონფიდენციალურად, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი არ გაამჟღავნებდა ასეთი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციას თავის კლიენტთანაც კი<sup>28</sup>.

### **ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები დამოუკიდებლობის პრინციპის შესახებ**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცებიდან დამოუკიდებლობის პრინციპი გარკვეულწილად შეიცვალა. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, მეორე მუხლის მეორე პუნქტში ჩაიწერა, რომ ადვოკატს ევალება „დამოუკიდებლობის პრინციპის ეთიკური ვალდებულების შესრულებისას არ დაუშვას დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახვევა, რაც წინააღმდეგობაში მოვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულების შესრულებასთან, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, თუნდაც კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასიკეთოდ“<sup>29</sup>.

აპკ-ის მეორე მუხლის ძველი რედაქცია, რომელიც საადვოკატო საქმიანობაზე ზეგავლენად ყოველგვარ გარეშე ფაქტორს ასახელებდა, არასაკმარისად მიიჩნიეს და გააფართოვეს

<sup>26</sup> მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორმახია, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 18, 6

<sup>27</sup> ჯ. მოლიტერნო, ჯ.ჩ. ჰარისი, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 7, 140.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> ე. გასიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 23, 10.

მისი მოცულობა: ყოველგვარი გავლენა, მათ შორის ადვოკატის საქმიანობაზე გარეშე ზეწოლა თუ პირადი ინტერესების ზეგავლენა, მიიჩნეოს დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახვევად<sup>30</sup>.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებას საფუძველი ჩაუყარა ეთიკის კომისიის 2011 წლის 07 მარტის N 057/10 გადაწყვეტილებამ.

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა ორი კლიენტის ინტერესებს. ერთი კლიენტის დაცვისას ადვოკატი თანამშრომლობდა პროკურატურასთან და მონაწილეობდა მის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაში, რაც კლიენტმა არ იცოდა. მეორე კლიენტის საქმეში ადვოკატი და პროკურორი შეთანხმდნენ, რომ გარკვეული ოდენობის თანხის სანაცვლოდ, გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის სასურველი პირობებით. ამისათვის ადვოკატმა პროკურორს ქრთამის სახით თანხა გადასცა. აღნიშნული დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით, რომლითაც პროკურორი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა<sup>31</sup>.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდგომში მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე<sup>32</sup>.

დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დაადგინა ეთიკის კომისიამ 2016 წლის 29 მარტის N 061/14 გადაწყვეტილებაში<sup>33</sup>.

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 19 ივლისს, მისი შვილის, შ. ჭ.-ს მიმართ დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის პირველი სამმართველოს მიერ ქურდობის მუხლით. 2014 წლის 19 ივლისს შ. ჭ. დააკავეს და გადაიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის პირველ სამმართველოში, სადაც ბრალდებული დაკითხა გამომძიებელმა 2014 წლის 20 ივლისს, 04:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე. დაკითხვაში ადვოკატის სახით მონაწილეობდა ადვოკატი ლ. ჭ., რომელიც არც ბრალდებულს და არც მისი ოჯახის წევრებს არ დაუქირავებიათ.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა ლ. ჭ.-მ ბრალდებულს უთხრა, რომ მისმა ოჯახმა დაიქირავა იგი ადვოკატად და ამგვარად მოიპოვა მისი ნდობა. ბრალდებული ენდო ადვოკატს და სამალავიც კი უჩვენა პოლიციელებს. როგორც საჩივრის ავტორი აცხადებს, მისი შვილისგან შეიტყო, რომ ადვოკატს მასთან დაცვის პოზიციაზე არ უსაუბრია, ხოლო ჩვენება გამომძიებელმა დაბეჭდა თავისივე სიტყვებით და ბრალდებულს მხოლოდ ხელი მოაწერინა. ადვოკატის დასწრებას ბრალდებულის დაკითხვის მიმდინარეობისას ერთადერთი მიზანი

<sup>30</sup> იქვე, 28.

<sup>31</sup> თ. ხუბულური, ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმოხილვა, ეთიკის კომისიის 2006-2018 წლის გადაწყვეტილებები, თბილისი, 2019, 9.

<sup>32</sup> ა. წიკლაური, ეთიკის კომისიის 057/10 გადაწყვეტილების ანალიზი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, იურიდიული ეთიკის მიმართულება, თბილისი, 2018, 3, ხელმისაწვდომია: <<https://legalethicschair.newvision.ge/>> [15.01.2020].

<sup>33</sup> ეთიკის კომისიის 2016 წლის 29 მარტის N 061/14 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <[https://gba.ge/pdf/5c653155c1a52.pdf/061\\_14\\_29.03.2016.pdf](https://gba.ge/pdf/5c653155c1a52.pdf/061_14_29.03.2016.pdf)> [16.01.2020].

ჰქონდა: პოლიციის პოზიციების დაცვა, ვინაიდან ადვოკატმა ლ. ჭ.-მ იმის ნაცვლად რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის აეხსნა, რომ პოლიციას ბრალდებულის მიმართ არცერთი მტკიცებულება არ ჰქონდა და რომ მას შეეძლო არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ყველაფერი წინასწარ აღიარებინა შ. ჭ.-ს და ურჩია, ნივთიერი მტკიცებულებები გადაეცა პოლიციისათვის, ისინი კი დაეხმარებოდნენ მას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, რაც პროკურატურამ მის წინააღმდეგ გამოიყენა – მას ჯერ ორი ბრალდება წარუდგინეს, მოგვიანებით კი თვრამეტი დაუმატეს. აქედან მტკიცებულებები მხოლოდ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით არსებობს, ისიც თავად ბრალდებულის მიერ მითითებული სამალავიდან ამოღებული. დანარჩენ თვრამეტ ეპიზოდზე კი ბრალი მხოლოდ ადვოკატ ლ. ჭ.-ს თანდასწრებით მიცემული აღიარებითი ჩვენების გამო აქვს წარდგენილი, ხოლო სხვა მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს.

მოცემულ საქმეში ეთიკის კომისიამ დაადგინა კლიენტის ინტერესების უპირატესობის, ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დარღვევა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ბრალდების მხარის მოწვევით საქმეში ჩართვით ადვოკატმა ლ. ჭ.-მ დაარღვია საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპი, ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობისა და სხვადასხვა პირთა ნების სასარგებლოდ, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას კომპრომისის დაუშვებლობის შესახებ. ადვოკატი საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა შეთანხმების საფუძველზე პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის, კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატ ლ. ჭ.-ს და შ. ჭ.-ს შორის ურთიერთობის დასაწყისიდანვე არ წარმოშობილა ნდობა, რადგან ადვოკატი არც შ. ჭ.-ს და არც მისი ოჯახის წევრებს მოუწვევიათ დაკავებულის ინტერესების დასაცავად. ადვოკატმა საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმ პირობებში, რომ ოჯახთან ან დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

ეთიკის კომისიის მიერ 2010 წლის 22 იანვარს განხილულ საქმეში N 001/10 აღნიშნა, რომ სახაზინო ადვოკატმა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთმა სრულწლოვანმა ექვმიტანილმა უარი განაცხადა მის მომსახურებაზე. ადვოკატის ეს მოქმედება დისციპლინური გადაცდომაა. სახაზინო ადვოკატმა იძულებითი დაცვით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები.

კომისიის აზრით, ადვოკატმა საპროცესო მოქმედებების განხორციელების დროს არ განუმარტა დაცვის ქვეშ მყოფ პირს მისი უფლებების შესახებ, „მისი პოზიცია იყო მოკრძალებული და არაეფექტური, გარკვეულწილად მოქცეული იყო პროკურორის ზეგავლენის ქვეშ. ადვოკატმა ხელი მოაწერა ამოცნობის ოქმს იმ მიზეზით, რომ პრობლემები არ შექმნოდა“.

კომისია მიუთითებს, რომ „მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებში სახეზეა არა იმდენად დისციპლინური გადაცდომა, რამდენადაც ადვოკატის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების სუსტი შესრულება. ადვოკატის ზემოაღწერილ ქმედებებში შეინიშნება დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა“<sup>34</sup>.

<sup>34</sup> მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, ვ. ბოჭორიშვილი, ი. კორძაძე, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 18, 7.

ეთიკის კოდექსის სხვა პრინციპებთან ერთად დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დადგინდა საქმეში N 112/11<sup>35</sup>.

სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა საგამომიებო ექსპერიმენტში, კერძოდ, პროკურორის თხოვნით მივიდა შემთხვევის ადგილზე. ამ დროს საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სავალდებულო დაცვას, ადვოკატი არ იცნობდა კლიენტს, არ იცოდა მისი პოზიცია წარდგენილ ბრალდებაზე, კავშირი არ ჰქონია არც ბრალდებულთან, არც მის ოჯახთან და არ შეთანხმებულან საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. ადვოკატი არც სისხლის სამართლის საქმის მასალებს გაცნობია. ადვოკატმა საგამომიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ შეწყვიტა კლიენტის დაცვა.<sup>36</sup>

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან საგამომიებო მოქმედებაში ჩართვისას ადვოკატს დამოუკიდებლად არ მიუღია გადაწყვეტილება – იგი საქმეში ბრალდების მხარის მოწვევით ჩაერთო, კლიენტსა ან მის უფლებამოსილ პირთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატი საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე დასასწრებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თავად ადვოკატს არ სურდა ბრალდებულის ინტერესების დაცვა და იგი ბრალდების მხარის თხოვნით მოქმედებდა<sup>37</sup>.

ეთიკის კომისიამ საქმეში N 062/15<sup>38</sup> განმარტა ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა და ყურადღება გაამახვილა კვალიფიციურობის კომპონენტზე. „ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის არსი, მისი საქმიანობისას, არა მხოლოდ გავლენებისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობს, არამედ ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკურობაში, რაც მოქმედებათა იურიდიულ ბუნებას/სახეს გულისხმობს, რის გამოც კლიენტი მიმართავს ადვოკატს. შესაბამისად, ადვოკატი პროფესიული საქმიანობისას განსაზღვრავს სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და არჩევს მტკიცებულებებს, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და, როგორც წესი, იგულისხმება, რომ ადვოკატი, როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს“<sup>39</sup>.

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისაგან სესხის აღება ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების შემთხვევაა.

საქმეზე დადგინდა, რომ ადვოკატმა კლიენტისგან ისესხა ფული მაშინ, როდესაც კლიენტისაგან ადვოკატისათვის სანოტარო აქტით მინიჭებულ მინდობილობას იურიდიული ძალა კვლავ ჰქონდა არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სახეზე იყო. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის პრო-

<sup>35</sup> ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 მაისის N 112/11 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.: <<https://gba.ge/pdf/5c4729396cddb.pdf/5c4729396cddb.pdf>> [16.01.2020].

<sup>36</sup> თ. ხუბულური, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 32, 12.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ივლისის N 062/15 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.:<<https://gba.ge/ka/uploads/resolutions/2016/02/02/3f5272f79e35383e6b990a03195b84d1>> [16.01.2020].

<sup>39</sup> თ. ხუბულური, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 3, 14.



ფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის ერთ-ერთი ფაქტორია ადვოკატის პირადი ინტერესი, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ფინანსურად გახდა დამოკიდებული კლიენტზე. ეთიკის კომისიამ განმარტა: ასეთ შემთხვევაში იქმნება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, რადგან შესაძლებელია, რომ ადვოკატისა (მოვალე) და კლიენტის (კრედიტორი) ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდეს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ადვოკატის დამოუკიდებლობაზე მისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც, სავარაუდოდ, ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება საიმისოდ, რომ ადვოკატმა დამოუკიდებელი პროფესიული გადაწყვეტილებები მიიღოს. ადვოკატმა უნდა აირიდოს ყოველგვარი ზეგავლენის, მათ შორის, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ზემოქმედების ფაქტორი<sup>40</sup>.

ეთიკის კომისიამ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დაადგინა და ადვოკატის მიმართ დისციპლინურ სახდელად კერძო სარეკომენდაციო ბარათი გამოიყენა საქმეზე N 001/10<sup>41</sup>. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგია: 2009 წლის 21 აგვისტოს გამთენიისას, აჭარის რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა ექვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო ღონისძიებები. ექვმიტანილებმა უარი განაცხადეს სახაზინო ადვოკატის მომსახურებაზე. ადვოკატმა ამოცნობის პროცესის დროს გაიგო, რომ ექვმიტანილებს ჰყავდათ დაცვა შეთანხმებით, თუმცა ადვოკატმა მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამომიებო მოქმედებაში. ამოცნობის პროცესისას შეინიშნებოდა სხვადასხვა კანონდარღვევა, რომელთაც ადვოკატის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია<sup>42</sup>.

პროკურორი საჩივრის ავტორებს, რომლებიც თავად იყვნენ ექვმიტანილი პირების ადვოკატები, შეუთანხმდა, რომ ამოცნობის საგამომიებო მოქმედება ჩატარდებოდა მეორე დღეს, რის შემდეგაც საჩივრის ავტორებმა დატოვეს იზოლატორის შენობა. ამის შემდეგ კი, პროკურორმა გვიან ნაშუადამევს, დაახლოებით 3-4 საათზე, საჩივრის ავტორთა მონაწილეობის გარეშე, მათგან ფარულად, სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მონაწილეობით ჩატარა ექვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო მოქმედება.<sup>43</sup>

გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებაში ვკითხულობთ, რომ განხილვის კოლეგიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებში სახეზეა არა იმდენად დისციპლინური გადაცდომა, რამდენადაც სახეზეა ადვოკატის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების სუსტი შესრულება. ამის მიზეზი კი, განხილვის კოლეგიის აზრით, ერთი მხრივ, შესაძლოა იყოს ადვოკატ რ. ს.-ის არასაკმარისი პროფესიული მომზადება და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება ადვოკატურის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად. ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატ რ. ს.-ის ზემოაღწერილ ქმედებაში შეინიშნება დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა.<sup>44</sup>

<sup>40</sup> ე. გასიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 23, 15-16.

<sup>41</sup> ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის N 001/10 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <<https://gba.ge/pdf/5c4ec384b14b6.pdf/5c4ec384b14b6.pdf>> [16.01.2020].

<sup>42</sup> ც. კილანავა, ეთიკის კომისიის 001/10 გადაწყვეტილების ანალიზი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, იურიდიული ეთიკის მიმართულება, თბილისი, 2018, 1, ხელმისაწვდომია: <<https://legalethicschair.newvision.ge/>> [17.01.2020].

<sup>43</sup> ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის N 001/10 გადაწყვეტილება.

<sup>44</sup> იქვე.

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი საქმის<sup>45</sup> შესწავლისას ვერ დაადგინა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი, რადგან ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებამდე, სანოტარო წესით დამოწმდა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ორ სუბიექტს შორის, რომელიც ეხებოდა სესხის გაცემას და უძრავ ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაციას. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ურთიერთობა დაიწყო „გამსესხებელსა“ და „მსესხებელს“ შორის, რომელიც მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლენას ემყარებოდა, აქედან გამომდინარე, წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რადგან „გამსესხებელმა“ მოგვიანებით შეიტყო, რომ „მსესხებელი“ პროფესიით ადვოკატი იყო, ამ დროისათვის მხარეებს შორის გაუქმებული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, გაუქმებული ხელშეკრულების მხარემ – „გამსესხებელმა“ იურიდიული დახმარება სთხოვა ადვოკატს და მიიღო კიდეც. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე, მომსახურების ფარგლებში კლიენტმა გარკვეული საზღაური გადაუხადა ადვოკატს, რაც მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა, ასევე არ ყოფილა წამოყენებული სხვა პრეტენზია ადვოკატის წინააღმდეგ. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ეთიკის ნორმების შესაბამისად<sup>46</sup>.

ეთიკის კომისიამ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დაადგინა და ადვოკატის მიმართ დისციპლინურ სახდელად გაფრთხილება გამოიყენა 2019 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებაში<sup>47</sup>.

ადვოკატი მონაწილეობდა საქმეში, რომელზეც დავის საგანი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება იყო. საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და იგი დარჩა საცხოვრებელი სახლის გარეშე, ვინაიდან მოწინააღმდეგის ადვოკატმა ფული გადაუხადა მოსამართლეს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის მარტის თვეში კვლავ მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით, სადაც მოითხოვა მოპასუხისთვის 40 000 აშშ დოლარის დაკისრება, რაც წარმოადგენდა მის მიერ, სადავო სახლზე გაწეულ დანახარჯებს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განსახილველად, რომელმაც საქმეზე მოპასუხეს დააკისრა 40 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა<sup>48</sup>.

საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ ადვოკატმა სადავო სახლი გადაიფორმა საკუთარ თავზე, რის შესახებ საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაიგო, როდესაც გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიმართა სააღსრულებო ბიუროს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ეს იყო ფიქტიური გარიგების შედეგი, ამ უკანონო ქმედებას კი ხელი შეუწყო სახლზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებამ<sup>49</sup>.

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლი – დამოუკიდებლობის პრინციპი. ადვოკატსა და კლიენტს

<sup>45</sup> ეთიკის კომისიის 2011 წლის 045/11 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.: <[https://gba.ge/ka/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisia/saprocso\\_kolegia.pdf](https://gba.ge/ka/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/saprocso_kolegia.pdf)> [17.01.2020].

<sup>46</sup> ე. გასიტაშვილი, დასახ. ნაშრომი, სქოლიო 23, 16.

<sup>47</sup> ეთიკის კომისიის 2019 წლის 25 თებერვლის 086/17 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.: <<https://gba.ge/pdf/5d7255d8182fd.pdf/086.17%20%2025.02.2019%20gaftrxileba.pdf>> [18.01.2020].

<sup>48</sup> იქვე, 2.

<sup>49</sup> ეთიკის კომისიის 2019 წლის 25 თებერვლის 086/17 გადაწყვეტილება.



შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომლებიც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატმა ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენას მოახდენს. აღნიშნული ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და უზრუნველყოფს ადვოკატთა კორპორატიული მიზნის დაცვას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში საქმიანობას<sup>50</sup>.

ადვოკატის მიერ კლიენტის სახელზე აღრიცხული ქონების შესყიდვა, ვინაიდან თავად არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლი, წარმოშობს ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მის შემდგომ საქმიანობაზე. ადვოკატის მიერ ქონების შესყიდვით მისი კლიენტი ჩამოშორდა სადავო სახლს და ახალი დავის ფარგლებში ადვოკატმა განაგრძო საპროცესო მხარედ მონაწილეობა, რაც ადვოკატმა შესაძლოა განახორციელოს, როგორც პირადი ინტერესების, ისე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. თუმცა ასეთ ვითარებაშიც ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა ვერ იქნება გამართლებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით<sup>51</sup>.

## დასკვნა

ადვოკატის პროფესიული ეთიკა დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომელთა დაცვა ადვოკატს განუხრელად ევალება. ეთიკის კოდექსის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესი დამოუკიდებლობის პრინციპია. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით და ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის ნორმებით.

ადვოკატი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელია და პროფესიულ საქმიანობაში დამოუკიდებელია ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. ადვოკატის დამოუკიდებლობა დაკავშირებულია მის შინაგან დამოუკიდებლობასთან იყოს საკუთარ საქმიანობაში თავისუფალი, განახორციელოს და დაგეგმოს პროფესიული სტრატეგია ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, საკუთარი რწმენისა და პროფესიული გამოცდილების შედეგად.

ადვოკატი გვევლინება სამართლის უზენაესობის დამცველად, რომელიც საკუთარ საქმიანობას ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე ახორციელებს. თავისუფალი პროფესია პირდაპირ ასოცირდება დამოუკიდებლობასთან, რომელიც განმტკიცებულია საერთაშორისო დირექტივებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით.

ეთიკის კომისიამ პრაქტიკით დაადგინა ადვოკატზე ზემოქმედების ოთხი ძირითადი ფაქტორი: სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობა მესამე პირთა ზეგავლენისგან, დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.

<sup>50</sup> ეთიკის კომისიის 2019 წლის 25 თებერვლის 086/17 გადაწყვეტილება.

<sup>51</sup> იქვე.

ეთიკის კომისიის საქმიანობა, მისი თითოეული პრეცედენტული გადაწყვეტილება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადვოკატთა კორპუსის განვითარებისათვის. ამ მიზნით მიმოხილულ იქნა ეთიკის კომისიის ის გადაწყვეტილებები, რომელთა მნიშვნელობა დამოუკიდებლობის პრინციპის შესწავლასა და დანერგვაში უდავოდ დიდია.

ადვოკატების მიმართ დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი ადასტურებს, რომ აუცილებელია დადგინდეს სამართლებრივი რეგულაციები, რათა შემდგომში სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. ეთიკის კომისიის პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ პრეტენზიები ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირია. ადვოკატის მიმართ დაწესებული სანქციები ქმედითია, რომელთა შესრულება ყველა ადვოკატისათვის სავალდებულოა.

**Givi Kakushadze**

Master's student at Caucasus International University

**Salome Jalaghania**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Master's student

### **The importance of the principle of independence in the professional activities of a lawyer**

#### **Abstract**

Independence is one of the fundamental principles of a lawyer's professional practice. According to Article 2 of the Bar Code of Professional Ethics, a lawyer is free from any influence or other pressure, including his or her personal interests, in the exercise of his or her professional activity and obeys only to the laws of Georgia, international law and professional ethics. According to paragraph 2 of this Article, a lawyer shall not be obliged to compromise in the performance of his or her professional duties in the interests of the client, the court or any other body of the State or another person.

The principle of independence is enshrined in the Georgian law on Advocates, according to Article 38 of that law, lawyer carries out the practice of advocacy independently. Unlawful interference or obstruction with the activities of a lawyer, improper influence on a lawyer by the state body and/or other person, intimidation, harassment, coercion, persecution, putting pressure, moral and/or material harm, violence or threat of violence against him or her, also any other action that can take encroach on the independence of a lawyer is impermissible.

The European Union Bar Code of Conduct widely discusses the principle of independence in the practice of a lawyer. According to the Code, a number of the duties of a lawyer require his / her complete independence, freedom from any influence, especially from the influence that may arise from his or her own interests or from external pressure. Such independence is essential for trust in the justice process, as well as for the impartiality of the judge. Therefore, a lawyer should avoid any partiality of his or her freedom and be careful not to

compromise his or her professional standards for the benefit of the client, court or third party. Speaking about the principle of independence, The European Union Bar Code of Conduct also adds that the independence of a lawyer is necessary in non-disputed cases as well as in court claims. The advice given by a lawyer to a client has no value if its purpose is to estimate the lawyer, serve his or her interests, or is carried out with pressure.

The paper discusses the existing practice in Georgia based on the precedents of the Ethics Commission. A comparative analysis of the laws of European countries is also provided and case studies are offered which are interesting not only to the lawyers but also to the freelance readers.

As a conclusion, a discussion of the importance and application of the principle of independence is given, which protects the lawyer, as a free practitioner, from any internal or external impact factors.

## ქალაქის მიწების მართვის სამართლებრივი რეჟიმი (თბილისის მაგალითზე)

### აბსტრაქტი

მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი, კაცობრიობის არსებობის ძირითადი პირობა, საზოგადოების ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ელემენტი და ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი საფუძველია. ბუნებრივი ნიშან-თვისებებისა და ამასთან, სამეურნეო გამოყენების მიხედვით, მიწის ფონდი იყოფა კატეგორიებად. მიწის კატეგორიებს შორის ერთ-ერთი, დასახლებული პუნქტის (ქალაქის) მიწებია.

მიწის, როგორც სპეციფიკური თავისებურების მქონე წარმოების საშუალების მართვას, მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი მიმართულება აქვს. მიწის მართვის ხერხები, მეთოდები და პრინციპები ადამიანმა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან შექმნა და კანონების სახით ჩამოაყალიბა. მიწის მესაკუთრე სახელმწიფო თუ ფიზიკური პირი, მიწას იყენებდა სხვადასხვა ფორმით, უშუალოდ თვითონ ან გარკვეული ვადითა და საფასურით გადასცემდა სხვას მფლობელობის ან სარგებლობის უფლებით (იჯარით, ქვეიჯარით, სერვიტუტით, ქირავნობით და სხვ.) მიწის სამართალში ნათლად იყო ასახული მიწის გამოყენების ყველა წესი<sup>1</sup>.

2004 წლამდე მიწის ფონდის მართვას ახორციელებდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. უძრავი ქონების სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო უძრავ ქონებაზე უფლებათა შექმნის, განკარგვისა და გამოყენების უსაფრთხოებას, გადასახადების სწორად გაწერას, საადგილმამულო ურთიერთობების დარეგულირებას, მიწის ბაზრის ფუნქციონირება-განვითარებას, მიწების სწორად მართვისა და გამოყენების ორგანიზაციას და სხვ.

### ძირითადი ნაწილი

ქალაქის ტერიტორია საცხოვრისი, წარმოებებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების ფუნქციონირების ბაზისი და ამავე დროს, მოსახლეობის შრომისა და დასვენების ადგილია. ქალაქის ტერიტორიებს ეკუთვნის: დასახლებული მიწები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, ბუნებადაცვითი და რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები, ტყის, წყლის, მრეწველობისა და კავშირგაბმულობის მიწები, ტრანსპორტისა და სხვა დანიშნულების მიწები.

საჯარო რეესტრს აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, იგი კონტროლს უწევს და მეთოდურად ხელმძღვანელობს ქვეყნის ყველა მარეგისტრირებელ ორგანოს. ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურები მოქმედებს სარეგისტრაციო ზონის ფარგლებში, რომელთა საზღვრები,

<sup>1</sup> ნაუმ ტურაბელიძე, ნელი ბერიძე – „მიწის რესურსების მართვა“. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 2013, გვ.5

ძირითადად, ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრებს. მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილია აწარმოოს საჯარო რეესტრი, უხელმძღვანელოს საჯარო რეესტრს, უზრუნველყოს დარეგისტრირებული მონაცემების შესაბამისობა უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებთან და მათი უსაფრთხოება<sup>2</sup>.

რეგისტრაციის მოხერხებულად და ეფექტურად წარმოების მიზნით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სარეგისტრაციო ზონებად. სარეგისტრაციო ზონის კოდს და საზღვრებს ადგენს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარდგინებით. სარეგისტრაციო ზონის საზღვრები ემთხვევა ადმინისტრაციული ერთეულების (რაიონი, ქალაქები) საზღვრებს. თავის მხრივ, სარეგისტრაციო ზონა დაყოფილია სექტორებად (საკრებულო, ქალაქის რაიონი), რომელიც აღინიშნება ორნიშნა ციფრით 01, 02, 03 და ა.შ. სექტორი იყოფა სარეგისტრაციო კვარტალებად, რომლის საზღვრები შეთავსებული უნდა იყოს ბუნებრივ ან ხელოვნურ მიჯნებთან: ღელე, ხევი, ხრამი, სერი და ა.შ. სასურველია სარეგისტრაციო კვარტალში მიწის ნაკვეთების ოდენობა არ აღემატებოდეს 250-ს. კვარტალში სარეგისტრაციო ნაკვეთი აღინიშნება სამნიშნა ციფრით 001, 002, 003 და ა.შ. კადასტრულ რუკაზე მიწის ნაკვეთების დანომვრა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ. სექტორის და კვარტალის საზღვრებს ადგენს ზონის რეგისტრატორი, ასევე სექტორის, კვარტალის და ნაკვეთების დანომვრა ხდება ზონის რეგისტრატორის ხელმძღვანელობით<sup>3</sup>.

სარეგისტრაციო ზონის არეალებით რეგულირდება ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების უფლებამოსილების გავრცელების საზღვრები. თბილისის სარეგისტრაციო ზონის შემთხვევაში კვარტალი მოიცავს ასევე სარეგისტრაციო ბლოკებს<sup>4</sup>.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 25 თებერვალს 106-ე დადგენილებით, მიღებული იქნა უძრავი ნივთების საკადასტრო კოდის ფორმირების წესი.

### საქართველოს სარეგისტრაციო ზონების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო ზონები			
01 - თბილისი	02 - რუხთაი	03 - ქუთაისი	ნითელი ფერით აღნიშნულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართული სამსახურები.
04 - ფოთი	05 - ბათუმი	06 - ტყვარჩელი	
10 - გაგრა	11 - გალი	12 - გუდაუთა	
13 - გულრიფში	14 - ოჩამჩირე	15 - სოსხუი	
20 - ქობულეთი	21 - ქედა	22 - ხელვაჩაური	
23 - ხულო	24 - შუახევი	26 - ოზურგეთი	29 - წყალტუბო
27 - ლანჩხუთი	28 - ჩოხატაური	32 - ზესტაფონი	35 - ხაჩხუტი
30 - ბაღდათი	31 - ვანი	38 - ჭიათურა	41 - მარტვილი
33 - თერგოლა	34 - სამტრედია	44 - ხენაკი	47 - ნალენჯიხა
36 - ხარაგაული	37 - ხონი	52 -	დედოფლისწყარო
39 - ტყიბული	40 - აბაშა	55 - ხაგარეკო	60 - ახპინძა
42 - მესტია	43 - ზუგდიდი	63 - ახალქალაქი	66 - გორი
45 - ხობი	46 - ჩხოროწყუ	69 - ხაშური	72 - მცხეთა
50 - ახშეტა	51 - გურჯაანი	80 - ბოლნისი	83 - მარნეული
53 - თელავი	54 - ლაგოდეხი	86 - ამბროლაური	89 - ცაგერი
56 - სიღნაღი	57 - ყვარელი	92 - ქრთა	
61 - ადიგენი	62 - ახალციხე		
64 - ბორჯომი	65 - ნინოწმინდა		
67 - კასპი	68 - ქარელი		
70 - ახალგორი	71 - დუშეთი		
73 - თიანეთი	74 - ყაზბეგი		
81 - გარდაბანი	82 - დმანისი		
84 - თეთრიწყარო	85 - ნალკა		
87 - ლენტეხი	88 - ონი		
90 - ცხინვალი	91 - ჯავა		
93 - ერედვი			

სურ. 1 წყარო: [napr.gov.ge](http://napr.gov.ge)

<sup>2</sup> ნაუმ ტურაბელიძე და სხვები, მიწის კადასტრი. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“. 2015, გვ.153

<sup>3</sup> ნაუმ ტურაბელიძე და სხვები, მიწის კადასტრი. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“. 2015, გვ.156

<sup>4</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სარეგისტრაციო საზღვრები, თბილისი, [napr.gov.ge](http://napr.gov.ge) 2008, გვ.1

წარმოდგენილი წესის თანახმად: თბილისის სარეგისტრაციო ზონაში უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი: AA.BB.CC.DDD.EEE.FF.GGGH, ფორმდება შემდეგი წესით:

- ა) AA – სარეგისტრაციო ზონის კოდი;
- ბ) BB – სარეგისტრაციო სექტორის კოდი;
- გ) CC – სარეგისტრაციო კვარტლის კოდი;
- დ) DDD – ბლოკის კოდი (ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საკადასტრო რუკის ფორმირებისას გამოიყენება ბლოკები, სხვა შემთხვევაში, ბლოკის კოდი ფორმდება სამი ნულით – 000);
- ე) EEE – მიწის ნაკვეთის კოდი;
- ვ) FF – შენობა-ნაგებობის კოდი (ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობა არის ცალკე უფლების ობიექტი, სხვა შემთხვევაში, შენობა-ნაგებობის საკადასტრო კოდი არ ფორმირდება);
- ზ) GGGH – მრავალბინიან/მრავალსართულიან შენობაში ბინის/ ინდივიდუალური ერთეულის კოდი (პირველი სამი სიმბოლო აღნიშნავს ინდივიდუალური ერთეულის ნომერს და ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც უფლება რეგისტრირდება ბინაზე/ინდივიდუალურ ერთეულზე; მეოთხე სიმბოლო აღნიშნავს ბინის/ინდივიდუალური ერთეულის ნომრის აღმნიშვნელ დამატებით სიმბოლოს და ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ბინის ინდივიდუალური ერთეულის ნომერს აქვს დამატებითი აღმნიშვნელი სიმბოლო, სხვა შემთხვევაში – არ ფორმდება)<sup>5</sup>.

ქალაქის მიწების მართვა მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სპექტრს. როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწებს, ისე ურბანულ მიწებსაც სჭირდებათ მიწების დაცვა და რაციონალურად გამოყენება, მათი სწორი განვითარება და ეფექტური მენეჯმენტი. ქალაქის მიწების დაგეგმარება დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო ინტერესებზე. მიწათსარგებლობის დაგეგმვა, გარემო პირობების დაცვა, ქალაქმშენებლობა და სხვა საკითხები, რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმების საფუძველზე. ყველა ახალი ნორმა ეფუძნება ქვეყნის კონსტიტუციას და, შესაბამისად, განისაზღვრება მიწის გამოყენებაზე გარკვეული შეზღუდვებისა და უფლებების მქონე ტერიტორიები.

ქალაქის მიწების გამოყენებისა და მართვის დარეგულირების ძირითადი ინსტრუმენტი არის ზონირება (ფუნქციონალური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური). ტერიტორიალური ზონები ცალკეული ტერიტორიებია, რომელთა საზღვრები ფიქსირდება (გამოიყოფა) სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებით. ზონები გამოყოფილია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დაყოფის გათვალისწინებით ქონებრივ ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ბუნების დაცვითი, ქალაქმშენებლობის, სამრეწველო და ა.შ). განაშენიანებული ტერიტორიების ზონირების ქვეშ იგულისხმება ქალაქის საზღვრებში ზონების გამოყოფა ფუნქციონალურად

<sup>5</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სარეგისტრაციო საზღვრები. ბრძანება-106. 25.02.2008. „უძრავი ნივთის და საზოგადოებრივი ნაგებობის საკადასტრო კოდის ფორმირების წესის დამტკიცების შესახებ“. თბილისი, napr.gov.ge. გვ. 2.

სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით. ზონირების მექანიზმი უზრუნველყოფს ქალაქის მოღვაწეობაში ნებისმიერი კომფლიქტის წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანას. გამოყოფილი ზონების მიხედვით დგინდება მიწების გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი.

ქალაქის ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირება რაციონალური მიწათსარგებლობის სხვადასხვა მოთხოვნათა აღრიცხვის უფრო საერთო ფორმაა, ნორმატიული პარამეტრების ჩათვლით (ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულება, მისი ფართობი, ნაკვეთის განაშენიანების კონფიგურაცია, გამწვანების და ღია სივრცის ნაწილი და სხვა). ზონირების პროცესში განიხილება ქალაქმშენებლობის სისტემის სტრუქტურის მფორმირებელი და ლოკალური ტერიტორიები – სატრანსპორტო-ფუნქციონალური, ვიზუალურ-სივრცითი, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული და საინჟინრო-ტექნიკური დანიშნულების ჭრილში<sup>6</sup>.

2019 წლის 15 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა დადგენილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“. (დადგენილება №39–18) გენგეგმა შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან დარგობრივ მიმართულებებს, როგორებიცაა: ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საინჟინრო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის, გაზიფიკაციის განვითარება, ლანდშაფტისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა – „ქალაქის ურბანულ ნაწილში არსებული მწვანე სივრცეები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა თუ არსებული ზონის სახეობისა, პირველ რიგში მოაზრებულია, როგორც მწვანე სარეკრეაციო სივრცეების განვითარების ტერიტორიები“<sup>7</sup>.

სამართლებრივ სიახლეებში შევიდა აგრეთვე, ცვლილებები თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილებაში (დადგენილება – „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“)<sup>8</sup> შეიცვალა განაშენიანების რეგულირების ზღვრული მაჩვენებლები, აიკრძალა განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა და სხვ.

ქალაქის მიწების გამოყენებისა და მისი განაშენიანების რეგულირების წესები შედგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის №59 დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით. ის ქალაქმშენებლობითი რეგულირების სისტემის შემადგენელი ელემენტია და არეგულირებს თბილისის მიწის ფონდისთვის ქალაქმშენებლობის სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს, რეგულირების წესები განსაზღვრავს სამართალურთიერთობის მონაწილეთა მოვალეობებს და მათ ურთიერთობებს.

განაშენიანების რეგულირების წესები მიზნად ისახავს ქალაქის ტერიტორიაზე უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ პროცესებში ცვლილებების შეტანას, სამშენებლო საქმიანობისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის პროცედურების რეგულირებას; ადგენს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და გამოყენება-განაშენიანების პირობებს. ქალაქის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისა და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის საკითხებს.

<sup>6</sup> ნაუმ ტურაბელიძე, ფატიმა ქვაცაბაია, ნელი ბერიძე. ქალაქის /აშენებული ტერიტორიების/ კადასტრი. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. 2016, გვ.96

<sup>7</sup> PwC საქართველო-საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები. თბილისი. 2 აპრილი, 2019, გვ.1

<sup>8</sup>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება – „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“. თბილისი, matsne.gov.ge>documentview. 2019. გვ. 1.

ქალაქის ტერიტორიაზე მიწებისა და სხვა უძრავი ქონების მართვის სამართლებრივი რეგულირების საფუძველს საქართველოს კანონმდებლობა, სივრცითი და ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და მიწათსარგებლობისა და განაშენიანების რეგულირების გეგმები ქმნის.

განაშენიანების რეგულირების წესები განსაზღვრავს მიწების გამოყენება-განაშენიანების რეგლამენტს.

თბილისის ქალაქმშენებლობისათვის პრიორიტეტულია ქალაქის ტერიტორიების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, ამორტიზებული ტერიტორიების განაშენიანების მოწესრიგება, განახლება და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. აუთვისებელი ტერიტორიების განაშენიანება ხდება განაშენიანებული მიწების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის შემთხვევაში, ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ქალაქის მიწების ნებისმიერი სახით გამოყენება-განაშენიანების დროს, ტერიტორიები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

თბილისის ტერიტორიული განვითარების მართვა ორსაფეხურიანი სისტემით ხდება, ეს არის – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ეს არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, განსახლების, საინჟინრო-სატრანსპორტო, სოციალური, კეთილმოწყობის და ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს.

მიწათსარგებლობის გეგმა მუშავდება „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ – საქართველოს კანონის შესაბამისად. ის მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიას დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის დამუშავება მიზნად ისახავს: ადგილზე არსებული სივრცის მაქსიმალურად შესაძლო განვითარებას, ტერიტორიული განვითარების მიმართულებების ფორმირებას თბილისის ისტორიულ-კულტურული, ლანდშაფტური და არქიტექტურულ-სივრცითი თავისებურების შენარჩუნებით, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ნაწილია მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირების რუკა, განაშენიანების რეგულირების გეგმისა კი – კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა.

ზოგადი უფლებრივი ზონირების რუკის შემადგენლობაშია შემდეგი დასახელების ზონები: ფუნქციური, ტერიტორიულ-სტრუქტურული და გეგმარების შემზღუდავი ზონები. კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკაში კი ვხვდებით: ზოგად ან კონკრეტულ, ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებსა და ქვეზონებს, შემზღუდავ ზონებს, განაშენიანების, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის და გამწვანების კოეფიციენტებს და ტერიტორიების განაშენიანებისა და გამოყენების რეგულირების პირობებს.

მიწათსარგებლობის ყოველი ზონა გამოყოფილი უნდა იყოს საზღვრებით. თბილისის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის და დაგეგმვის პირობების მუხლი 6-ის თანახმად, რომელიც ეთმობა ქალაქმშენებლობით დოკუმენტებში მიწათსარგებლობის საზღვრებს და მათი დადგენის პრინციპებს, ვკითხულობთ:


ფუნქციური ზონების საზღვრების გამოკვეთა ხდება გეგმარების შემზღუდავი ზონების საზღვრების დადგენის შემდეგ.



ზოგადი ფუნქციური ზონების საზღვრების დადგენისას, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნეს:

- ა) თბილისის ადმინისტრაციული საზღვარი;
- ბ) თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრები, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო/სააგარაკე განაშენიანების;
- გ) ფიზიკური გარემოს ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები/მიჯნები;
- დ) დაცული ტერიტორიების საზღვრები;

### ზოგადი ფუნქციური ზონირება



სურ. 2 წყარო: Forum.ge

- ე) კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლის ტერიტორიის ან/და დამცავი ზონების ტერიტორიის საზღვრები/ფარგლები;
- ვ) საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, საწარმოო, სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრები;
- ზ) ქუჩებისა და მაგისტრალების ტერიტორიების საზღვრები;
- თ) რკინიგზის, მილსადენებისა და სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორიების ან/და გასხვისების ზოლის საზღვრები.

კონკრეტული ფუნქციური ზონების საზღვრების დადგენისას, ზონების საზღვრების დაზუსტებისათვის დამატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიების განაპირას მდებარე ცალკეული მიწის ნაკვეთის საზღვრები.

ფუნქციური ზონების გამოყოფისას დაცული უნდა იქნეს ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ერთგვაროვნების/შერეულობის ამ წესებით დადგენილი მოთხოვნები, თუ მოქმედი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტებით ან/და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უფლებრივი ზონების საზღვრების დადგენისას, როდესაც ხდება ტერიტორიის გადაფარვა სხვადასხვა მიწათსარგებლობის ზონებით, ასეთი ტერიტორიის საზღვრებში არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება ერთმანეთს,

მაშინ უპირატესად მოქმედებს უფრო მკაცრი ან/და ზემდგომი ნორმატიული აქტით ზონებისათვის განსაზღვრული რეგულირება<sup>9</sup>.

დედაქალაქის ქალაქგანვითარებისას, სავალდებულოა განაშენიანების გეგმის შედგენა და დამუშავება. გეგმის დამტკიცება ხდება ორ ეტაპად და თითოეულზე ხორციელდება დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. გეგმის დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპი იწარმოება მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახურების მიერ და გაიცემა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა. I ეტაპია გეგმარებითი დავალების დამტკიცება, II ეტაპი კი – გეგმის დამტკიცება.

ამდენად, ქალაქის მიწების მართვის ორგანიზებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საადგილმამულო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება. სამართლებრივ რეგულირებაზეა დამოკიდებული ქალაქის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო გარემოს შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

**Kalenike Gabechava**  
Georgian Technical University

### **Legal mode of urban land management (case of Tbilisi)**

#### **Abstract**

The article is dedicated to legal regulation issues of land resource management, in particular, urban land management and regulation of urban development issues.

At the modern stage it is very important to manage properly and effectively urban land as specific resource.

Land use planning, environmental protection, urban development and other issues are regulated by norms of public law.

In his report, author has discussed the main directions of urban land use and protection. He has presented land use and planning and urban land development regulation issues. He also has discussed resolutions adopted by the city council Sakrebulo, and rules of regulation of urban development. In details he has studied and analyzed zoning of city areas and parameters of urban development regulations, discussed city council Sakrebulo 2019 resolution about urban land use plan and has analyzed options for further development and development of urban areas. These issues, presented in report by author are topical and it meets the requirements.

---

<sup>9</sup> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 14-39. "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ". მუხლი 6. თბილისი. [matsne.gov.ge/document/view](http://matsne.gov.ge/document/view). 2016, გვ. 14

## მხარეთა პასუხისმგებლობა უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენებისას სამოქალაქო პროცესში

### აბსტრაქტი

მხარეები სამოქალაქო პროცესში ხშირად საკუთარ უფლება-მოვალეობებს იყენებენ ბოროტად, არადანიშნულებისამებრ, კონკრეტული იურიდიული შედეგის მიღწევის გარეშე. თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ მხარის მიერ სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულება ძირითადი მექანიზმია, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო საქმის სამართლებრივი მოწესრიგება.

მოცემული კვლევის სიახლე თავის უშუალო გამოხატულებას პოულობს შემდეგი საკითხების გადაჭრაში:

. გაირკვეს რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს სასამართლო იმისათვის, რომ გამოვლინდეს და აღიკვეთოს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება.

. დადგინდეს რამდენად ეფექტურია დღეს არსებული სამოქალაქო საპროცესო ნორმები უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

. გამოვლინდეს განმასხვავებელი ნიშნები სამოქალაქო საპროცესო ნორმებს შორის, რომლებიც დაიცავს უფლებებს და პასუხისმგებლობას დააკისრებს სამართალდამრღვევს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, მეცნიერ-იურისტების ნაშრომებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მოსაზრებები მოცემული საკითხის გადასაჭრელად.

### ძირითადი ნაწილი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზანია, რომ სასამართლო პროცესზე საქმეში მონაწილე პირებმა კეთილსინდისიერად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ყველა საპროცესო უფლება-მოვალეობა. ყოველგვარი მცდელობა უფლებების ბოროტად გამოყენების, პროცესის განზრახ გაჭიანურების ან მისთვის ჩრდილის მიყენების მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას საფუძველად უდევს საპროცესო ურთიერთობებისთვის მიუღებელი მოქმედება, რომელსაც იყენებს მხარე საპროცესო უფლების შესრულების დროს. მხარის მოქმედება ფორმალურად შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს, მაგრამ სცილდება ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Грыванов, В. П. Осуществление и защита гражданских прав, М. 2000. გვ. 44-47.

სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა იყოს საზოგადოებისათვის შეუცვლელი სიკეთის მომტანი, რომელიც მას სოციალურ დახმარებას გაუწევს. პროცესის მიზანი უნდა იყოს დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენა. ამისკენ უნდა ისწრაფოდნენ პირები ხელთ არსებული რესურსის გამოყენებით. სახელმწიფომ სასამართლოს მეშვეობით უნდა აიღოს ეს მისია და შესთავაზოს მოქალაქეებს კერძო დავების ცივილიზებული ანუ სამოქალაქო მართლმსაჯულების გზით მოწესრიგება.<sup>2</sup>

სასამართლო ამოწმებს წარმოდგენილი მოთხოვნების სამართლიანობას და დასაბუთებულობას. შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, სთავაზობს მხარეებს თვითმოქმედების დიდ სივრცეს იმისათვის, რომ უკეთესად გამოვლინდეს დაირღვა თუ არა და თუ დაირღვა – რა დოზით, მატერიალური უფლება. საპროცესო უფლება მინიჭებული აქვთ მხარეებს იმისათვის, რომ დაეხმარონ სასამართლოს დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში. ამიტომ, როდესაც მხარეები საპროცესო მოქმედებებს ჩადიან არა ამ მიზნით, არამედ პროცესის გაჭიანურების ან სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, მაშინ მათთვის მინიჭებული საპროცესო უფლება კარგავს თავის შინაარსს და გადის ფარგლებიდან. ე.ი. საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებაში უნდა მოვიაროთ, მხარეების მიერ დროული და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოქმედება.<sup>3</sup>

სამოქალაქო პროცესში მხარეებს მინიჭებული აქვთ უამრავი უფლება და მოვალეობა, რომელთა დარღვევა შესაძლოა გამოვლინდეს სხვადასხვა მოქმედებით. აუცილებელია, რომ მხარეებმა დაიცვან შემდეგი პირობები: 1) მოსარჩელები ვალდებული არიან იყვნენ კეთილსინდისიერები. მათ თავი უნდა შეიკავონ სასამართლოში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელების წარდგენისაგან; 2) მოპასუხეები ვალდებული არიან უსაფუძვლოდ არ უარყონ მათ წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნები; 3) მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები. ვალდებული არიან არ შეეწინააღმდეგონ სასამართლოს საქმის დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>4</sup>

სამოქალაქო საპროცესო უფლება ბოროტად გამოიყენება, როდესაც იგი ხორციელდება მართლსაწინააღმდეგოდ, არაკეთილსინდისიერად, საქმეში მონაწილე პირის ბრალეული მოქმედებებით. მოქმედება მიმართულია საპროცესო უფლების შესასრულებლად, სინამდვილეში კი ვხვდებით ანგარებას ან პირად მოტივებს, მართლმსაჯულების თუ საქმეში მონაწილე პირის ინტერესების საზიანოდ. მაშასადამე, სამოქალაქო საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება ხასიათდება ორი ურთიერთგამომრიცხავი თავისებურებით. მხარე ახორციელებს კანონისაგან მოცემულ საპროცესო უფლებას და ამასთან ეს განხორციელება არის დაუშვებელი, ვინაიდან თავს იჩენს უფლების ბოროტად გამოყენება.

მაგ.: ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიუთითა: დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ აღძრულია სარჩელი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. მოპასუხემ კი სარჩელი აღძრა რაიონულ სასამართლოში იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მოპასუხის მიერ აღძრული სარჩელი სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებაა და იგი არ სცილდება სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებს. თუ მოპასუხეს მიაჩნია, რომ იპოთეკის ხელშეკრულება ბათილია, მას აქვს სრული უფლება დაიცვას თავი

<sup>2</sup> Klein. Zeit-und Geistesströmungen im prozesse , Dresden, 1901 გვ. 36.

<sup>3</sup> Васьковский Е В Курс гражданского процесса გვ. 676

<sup>4</sup> Юделсон, К. С. Промлема доказывания в советском гражданском процессе, М. Юрид. Лит. 1951 გვ. 293.

სარჩელისაგან შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარდგენით იმავე სასამართლოში. საკასაციო პალატის აზრით, რადგან მოპასუხემ სარჩელისაგან თავდაცვის ნაცვლად მიმართა სხვა სასამართლოს, იგი მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაჭიანურებას. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის განხილვა შესაძლებელია და არ არსებობდა შეჩერების საფუძველი.<sup>5</sup>

სამართლის თეორიის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელია ოთხი ძირითადი ნიშანი: ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე. ერთ-ერთი ნიშნის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევას. აღწერა სამოქალაქო საპროცესო სამართალდარღვევის შემადგენელი ელემენტების, როგორც საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების, საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, გავაძლიეროთ ზემოქმედება არაკეთილსინდისიერი პირების მიმართ, ვინც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლებებს და, მეორე მხრივ, დავიცვათ ის პირები პასუხისმგებლობისაგან, ვისაც ამგვარი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. საპროცესო სამართალდარღვევა შეიძლება დავახასიათოდ ორ ობიექტიან სამართალდარღვევად. ძირითადი ობიექტი სამართალდარღვევისა არის მართლმსაჯულების ინტერესები. მეორე დამატებითი ობიექტი არის პროცესის მონაწილის საპროცესო უფლებები და ინტერესები. ობიექტური მხარე ხასიათდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მიყენებული ზიანით. მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირით ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის.<sup>6</sup>

მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე:

**სამოქალაქო საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენება არის სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირის მიერ საპროცესო უფლების განზრახ არაკეთილსინდისიერი განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებსა და ამოცანებს.**

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა პასუხისმგებლობის საკითხს უნდა განიხილავდეს იმ მხარის მიმართ, ვინც თავისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს აყენებს, როგორც მართლმსაჯულების, ისე მეორე მხარის ინტერესებს.

პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოს რეაქცია პირის არამართლზომიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე. იურიდიული პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი იძულებით. სახელმწიფო იძულება ვლინდება იურიდიული პასუხისმგებლობით და მიმართულია იმისკენ, რომ სამართალდამრღვევს დააკისროს დამატებითი პირადი ან ქონებრივი ხასიათის ვალდებულებები.<sup>7</sup>

სამოქალაქო პროცესში დაცვის ზომები და პასუხისმგებლობის ზომები ერთმანეთისაგან განსხვავდება. 1. სამოქალაქო პროცესში პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საფუძველი არის ბრალეულობით ჩადენილი სამართალდარღვევა. დაცვის ზომები გამოიყენება სამართალდარღვევის დროს, რომელიც არ ხასიათდება პროცესის მონაწილის სუბიექტური მხარის განსაზღვრული ხედვით. ეს ზომები გამოიყენება, რათა პროცესის მოძრაობა სწორად წარმართოს. 2. პასუხისმგებლობის ზომები, განსხვავებით დაცვის ზომებისგან, გამოიწვევს გარკვეული სახის დამატებით ღონისძიებებს. 3. პასუხისმგებლობის ზომების ფუნქციაა – აღადგინოს

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებანი, კრებული, 2002. წ., #7 1067-1069.

<sup>6</sup> Бутнев, В., В., Сушность и порядок реализации гражданской процессуальной ответственности, Ярославль, гв. 25. 1989

<sup>7</sup> Астемиров, З. А. Понятие юридической ответственности, М. Советское государства и правую, 1979, №6, გვ 70.

სამართლიანობა, დაცვის ზომების ფუნქციაა – არ დაუშვას სამართალდარღვევა. 4. გამოყენება და მოცულობა პასუხისმგებლობის ზომებისა განისაზღვრება სასამართლოს შეხედულებით. 5. დაცვის ზომები, განსხვავებით პასუხისმგებლობის ზომებისაგან, არ უკავშირდება სამართალდამრღვევის საზოგადოებრივ გაკიცხვას.<sup>8</sup>

ქართველი მკვლევრები სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნევენ სანქციების დაჯგუფებას უფლების დაცვის (ან ვალდებულების შესრულების) და პასუხისმგებლობის საშუალებად. უფლების დაცვის საშუალების გამოყენება, როგორც წესი, ვალდებული პირის ბრალეულ მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული და მატერიალური ან პირადი ხასიათის რაიმე უარყოფით შედეგებს არ იწვევს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ პასუხისმგებლობის გამოყენება სამართალდარღვევისათვის უარყოფით შედეგებს გამოიწვევს. მსესხებლისათვის სესხის დაბრუნების დაკისრება არის სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალება და არა პასუხისმგებლობის საშუალებები, რადგან იძულების ეს საშუალებები ვალდებულ პირს აკისრებს კრედიტორს გადასცეს ის, რაც ვალდებულ პირს არ ეკუთვნის.<sup>9</sup>

განცხადების დატოვება უმოძრაოდ, უარის თქმა განცხადების მიღებაზე და განცხადების დაბრუნება არის საპროცესო დაცვის საშუალება, რომელსაც იღებს სასამართლო განცხადების განხილვის სტადიაზე. საპროცესო პასუხისმგებლობისა და დაცვის ზომები, განსხვავდება ერთმანეთისაგან დანიშნულების მიხედვით. თუკი საპროცესო პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება საპროცესო სამართალდამრღვევის მიმართ, საპროცესო დაცვის ზომები მიმართული იქნება იმისკენ, რომ ეს უფლებები არ გამოიყენონ ბოროტად.<sup>10</sup>

დამცავი ნორმების გამოყენება საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენების დროს ნაკლებად ეფექტურია ასეთი გამოვლინებების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამდენად, სავსებით საფუძვლიანია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება:

საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის არაკეთილსინდისიერი მონაწილეები საპროცესო ინსტიტუტების გამოყენებით ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ ანგარებიან მიზნებს და ამით ხელი შეუშალონ სასამართლოს სწორად საქმიანობას. დრო, რომელიც იხარჯება „ფუჭი“ საქმეების განხილვაში, შესაძლოა გამოვიყენოთ „ნამდვილი“ საქმის განსახილველად. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ადეკვატური ზომა, წინ აღუდგეს საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას, იქნება იმ მხარის დაჯარიმება, ვინც ცდილობს ამგვარი მოქმედებებით წინ აღუდგეს სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მიზანშეწონილია დამკვიდრდეს ნორმა, რომელსაც სასამართლო გამოიყენებს პროცესის არაკეთილსინდისიერი მონაწილეზე.<sup>11</sup>

<sup>8</sup> Ермаков, А. Н. Мери защиты в арбитражном процессуальном праве, Дис. Канд. Юрид. Наук, Саратов, 2002. გვ. 14-15.

<sup>9</sup> სუხიტაშვილი დ. სუხიტაშვილი თ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 2016, გვ. 14-15.

<sup>10</sup> Ермаков, А. Н., დასახელებული ნაშრომი 2002 გვ. 20.

<sup>11</sup> Юдин А., В., Злоупотребление процессуальными правами в гражданском судопроизводстве, Диссерт. на соискание Докт. Юрид. Наук, Санкт-петербург, 2009 გვ 413.

დღევანდელი მდგომარეობით, როგორც ამას პრაქტიკა ცხადყოფს, საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობაზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ლაპარაკობენ სასამართლოები. ასეთი შეფასებებისაგან, მით უმეტეს, თავს იკავებენ პირველი ინსტანციის სასამართლოები. მაგ.: ერთ-ერთ პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე, ხოლო მისმა წარმომადგენელმა წინა დღით წერილობით ამცნო სასამართლოს, რომ ის იმყოფებოდა სხვა ქალაქში სასამართლო პროცესზე და ვერ მიიღებდა საქმის განხილვაში მონაწილეობას. ამიტომ ითხოვდა, რომ ეს ჩათვლიდა საპატიო მიზეზად. განცხადებას თან არ ერთვოდა მოპასუხის მიერ მის სახელზე ნოტარიულად დამოწმებული რწმუნება და არც წარმომადგენლის სახელზე სხვა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი.

სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოებები საპატიოდ და მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.<sup>12</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა. რა თქმა უნდა, ეს იყო ერთგვარი ხერხი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თავიდან ასაცილებლად. მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ვერც საჩივრის განხილვის პროცესზე წარმოადგინა სხვა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი და არც წარმოსადგენი პირის მიერ მის სახელზე გაცემული ნოტარიულად დადასტურებული რწმუნება. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.<sup>13</sup> სამაგიეროდ მოპასუხე მხარემ მიაღწია იმას, რომ მოიგო დრო და დიდი ხნით აიცოცხლა თავიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. სასამართლოს რაიმე შეფასება მხარის ამგვარი მოქმედებისთვის არ მიუცია.

დადებით მოვლენად და სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წარსულ საბჭოთა დროსთან შედარებით სასამართლოებს მიმართავს უფრო მეტი ადამიანი. მეორე მხრივ, სასამართლოები აწყდებიან დიდ პრობლემას, რომელსაც სასამართლოების გადატვირთულობა ჰქვია. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმის განხილვა გაჭიანურდება არასაპატიო მიზეზების გამო. სამოქალაქო სამართალწარმოებაში საპროცესო პასუხისმგებლობის ნორმებმა უნდა განაპირობონ ის აუცილებლობა, რომ მხარეებმა წინასწარ განსაზღვრონ რა შეფასებები შეიძლება მოჰყვეს მათ მოქმედებას და რა სანქციებს გამოიყენებს სასამართლო მათ წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერი მოქმედებების დროს.

ასეთი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი ევროპული ქვეყანა მკაცრი ფულადი სანქციების გამოყენებასაც არ ერიდება. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-1-ლი მუხლის მიხედვით: პირს, რომელიც ახორციელებს საპროცესო მოქმედებას იმისათვის, რომ შეაფერხოს საქმის განხილვა ან სხვა მხრივ ბოროტად იყენებს მის უფლებას, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა სამოქალაქო წესით 15-დან 1500 ევრომდე, რაც არ ათავისუფლებს მას მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც შეიძლება მომავალში დაეკისროს.<sup>14</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ სასამართლოს მითითებები, არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედებების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითი

<sup>12</sup> ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე # (2/1768-17) 22.02.18.

<sup>13</sup> ქ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე# (2/176-17) 25.12.2018.

<sup>14</sup> Киев, истина, 2004, Новый гражданский процессуальный кодекс Франции, გვ. 6

განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით, სასამართლოში სხდომის თავჯდომარის განკარგულებით წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით შეიძლება დაეკისროს როგორც მხარეს, ისე ნებისმიერს, ვინც იმყოფება სხდომის დარბაზში. ჯარიმა შეიძლება განისაზღვროს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლეს შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში. ფაქტობრივად, საფუძველი სასამართლოს მხრიდან ქონებრივი, ფულადი პასუხისმგებლობის დაკისრებისა, არის სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა. პირის დაჯარიმებას აქვს ორმაგი ხასიათი. პირი, რომელიც უბრალოდ ესწრება სხდომას არ არის სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობის სუბიექტი და მისი ქმედება ვერც საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება. ასეთი პირის დაჯარიმება არის საპროცესო დაცვის ზომა, მარამ თუ სასამართლო აჯარიმებს მხარეს, ეს უკვე საპროცესო პასუხისმგებლობაა.

### **დასკვნა:**

ზემოთ მოყვანილი ნორმები არ არის ზოგადი. ისინი გამოიყენება მხოლოდ მოცემული შემთხვევებისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ არაკეთილსინდისიერი გამოვლინებები საქმის მომზადებისას და სასამართლოში წესრიგის დარღვევისას.

სასამართლო უნდა მოუწოდებდეს მხარეებს იყვენენ კეთილსინდისიერი და არ დაუშვან საპროცესო უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება. მართლმსაჯულება, როგორც იურიდიული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, უნდა აკეთებდეს ამ სახის განმარტებებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს კანონსაწინააღმდეგო გამოვლინებები. უკიდურეს შემთხვევაში, ჯარიმების გამოყენება საშუალებას მისცემს მართლმსაჯულებას უფრო ეფექტურად განახორციელოს საკუთარი მიზნები და ამოცანები. ამასთან, არაკეთილსინდისიერი მხარისათვის იქნება შემაკავებელი საშუალება, როგორც მორალური ისე მატერიალური თვალსაზრისით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამკვიდრდეს შემდეგი სახის ნორმა:

სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ფულადი ჯარიმა ან სასამართლო ხარჯების გადახდა მხარეს, რომელიც ბოროტად იყენებს საპროცესო უფლება-მოვალეობებს და სისტემატურად ეწინააღმდეგება დროული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას, მიუხედავად იმისა, ვის სასარგებლოდ იქნება გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.



**Responsibility of the parties in the abuse of rights  
and obligations in the civil process**

**Abstract**

Parties in civil proceedings often abuse their rights and responsibilities without having any specific legal effect. The subject matter of the issue is conditioned by the fact that the proper performance of the civil procedural rights and obligations by the party is the basic mechanism on which the legal settlement of the civil case should be based.

The novelty of this study finds its immediate expression in solving the following issues:

- Find out what measures the court should take to detect and prevent abuse of procedural rights.
- Determine how effective the current civil procedure rules are to prevent abuse of rights and responsibilities.
- Distinguish marks between civil procedural norms that protect the right and impose responsibility on the offender.

Based on the analysis of the Georgian Civil Procedure Code, the works of the Scientists and the Judicial Practice, the following considerations are presented to resolve this issue.

# შინაარსი

ვალერი ხრუსტალი. სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის კანონიერი ძალა /თეორიული და პრაქტიკული ასპექტები/ .....	3
ელიკო წიკლაური-ლამიხი, თეოდორ ლამიხი. იურიდიული განათლება გერმანიაში – მოძველებული სისტემა?.....	10
ზვიად გაბისონია. დომენის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები ელექტრონულ კომერციაში.....	16
ქეთევან ქოქრაშვილი, ლაშა გორგაძე. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში .....	27
ირაკლი იმერლიშვილი. სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებანი .....	35
მიხეილ მამნიაშვილი, გიმზერ ალანია. წინასასამართლო გამოძიების თავისებურებები საფრანგეთსა და გერმანიაში .....	39
მარიამ მამულაშვილი. ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებების გამო .....	44
ნინო ხოლუაშვილი. „სტრატეგიული მართვა,“ როგორც იურიდიული პირის გრძელვადიანი არსებობის გარანტი .....	51
ლევან ქობულაშვილი, დავითი ჩაგუნავა. კრიმინალისტიკური ოდოროლოგიის საკითხები .....	56
მარიამ ტაბატაძე. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და საქართველოში არსებული გამოწვევები .....	64
გრიგოლ აბრალავა. სახელმწიფოს საგადასახადო რისკების მონიტორინგის საკითხისათვის .....	72
სალომე თოთიბაძე. საერთაშორისო შრომითი ხელშეკრულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი (რომი 1. რეგლამენტისა და საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, საქართველოს კანონის მიხედვით).....	76

მარინა კობახიძე. „გონივრული მისადაგების“ პრინციპის დაცვა, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით .....	85
გივი კაკუშაძე, სალომე ჯალაღანია. დამოუკიდებლობის პრინციპის მნიშვნელობა ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში აბსტრაქტი .....	92
კალენიკე გაბეჩავა. ქალაქის მიწების მართვის სამართლებრივი რეჟიმი (თბილისის მაგალითზე) .....	108
კობა საყვარელიძე. მხარეთა პასუხისმგებლობა უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენებისას სამოქალაქო პროცესში.....	115

# CONTENTS

<b>Valeri Khrustali.</b> THE VALIDITY OF THE DESCRIPTIVE PART OF THE JUDGMENT /THEORETICAL AND PRACTICAL ASPECTS / .....	3
<b>Eliko Ciklauri-Lammich, Theodor S. Lammich.</b> LEGAL EDUCATION IN GERMANY – AN OUTDATED SYSTEM? .....	10
<b>Zviad Gabisonia.</b> LEGISLATIVE BASIS OF DOMAIN USAGE IN E-COMMERCE .....	16
<b>Ketevan Kokrashvili, Lasha Gorgadze.</b> THE NEED TO DETERMINE THE MINIMUM AMOUNT OF AUTHORIZED CAPITAL .....	27
<b>Irakli Imerlishvili.</b> INVESTIGATIVE ACTIONS CARRIED OUT BY THE COURT DECISION .....	35
<b>Mikheil Mamniashvili, Gimzer Alania.</b> FEATURES OF PRELIMINARY INVESTIGATION IN FRANCE AND GERMANY .....	39
<b>Mariam Mamulashvili.</b> EXEMPTION FROM RESPONSIBILITY FOR VIOLATION OF OBLIGATION DUE TO SIGNIFICANTLY ALTERED CIRCUMSTANCES .....	44
<b>Nino Kholuashvili.</b> "STRATEGIC MANAGEMENT" - AS A GUARANTEE OF THE LONG-TERM EXISTENCE OF A LEGAL ENTITY .....	51
<b>Levan Kobulashvili, Davit Chagunava.</b> INTRODUCTION TO CRIMINOLOGICAL OROLOGY .....	56
<b>Mariam Tabatadze.</b> INTRODUCTION OF FINANCIAL MANAGEMENT AND CONTROL SYSTEMS IN BUDGETARY (PUBLIC) ORGANIZATIONS AND EXISTING CHALLENGES IN GEORGIA .....	64
<b>Grigol Abralava.</b> MONITORING OF STATE TREASURY RELATED RISKS .....	72
<b>Salome Totibadze.</b> LAW APPLICABLE ON INTERNATIONAL EMPLOYMENT AGREEMENTS (ACCORDING ROME 1 REGULATION AND THE GEORGIAN LAW ON PRIVATE INTERNATIONAL LAW) .....	76
<b>Marina Kobakhidze.</b> ADHERENCE TO THE PRINCIPLE OF REASONABLE SUITABILITY ACCORDING TO THE CASE LAW OF THE STRASBOURG COURT .....	85

<b>Givi Kakushadze, Salome Jalaghania. THE IMPORTANCE OF THE PRINCIPLE OF INDEPENDENCE IN THE PROFESSIONAL ACTIVITIES OF A LAWYER .....</b>	<b>92</b>
<b>Kalenike Gabechava. LEGAL MODE OF URBAN LAND MANAGEMENT (CASE OF TBILISI) .....</b>	<b>108</b>
<b>Koba Sakvarelidze. RESPONSIBILITY OF THE PARTIES IN THE ABUSE OF RIGHTS AND OBLIGATIONS IN THE CIVIL PROCESS .....</b>	<b>115</b>

რედაქტორები: თ. ბოკუჩავა, ლ. ჭანუყვაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა ქ. ფხაკაძისა

გადაეცა წარმოებას 13.04.2020. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.06.2020. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,  
scripta manent